საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№253 (12 323)
26 ოქტომბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ხელბურთი. ჩელენჯ ტროფი. I ტური

# ფინალამდე ორი მოგება დაგვრჩა



ჩელენჯ ტროფი. გუშინ სპორტის სასახლეში. საქართველო-აზერბაიჯანი 36:24. რეზო ჭანტურიას შეტევა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

11

## სენეგალი თითქმის გადაწყდა

რა სჯობს: სენეგალთან საფრანგეთში თუ ბოსნიასთან თბილისში? 2



## მე ვეკითხები ახალქაცს...

ინტერვიუ კობა ჟორჟიკაშვილთან 3



## ქართველი მწვრთნელი გვინდა თუ უცხოელი?

ინტერვიუ ირაკლი ხოშტარიასთან 12



UEFA CUP

## ბაიერნის ბელგრადული ომი

უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური 16

## მოსახდენი მოხდა...

### მარტინ იოლმა ტოტენჰემი დატოვა. რამოსი თუ ლიპი?

ლამის პირველი ტურიდან ელოდნენ "ტოტენჰემიდან" **მარტინ იოლის** წასვლას, მაგრამ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა გადადგომის განცხადება მხოლოდ გუშინ დაწერა. რა და როგორ იყო, ამაზე ვწერდით და თავს აღარ შეგაწყენთ. "მამლები" უმძიმეს მდგომარეობაში არიან. წუხელ, "ტოტენჰემმა", საკუთარ "უაით ჰართ ლეინზე", მადრიდულ "ხეტაფესთან" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩიც წააგო (1:2). საინტერესოა, რომ იოლმა პოსტიდან წასვლის განცხადება თამაშამდე გააკეთა, თუმცა ესპანურ კლუბთან შეხვედრაში გუნდს მაინც წარუძღვა. სხვათა შორის, ტრიბუნებმა ის ოვაციებით გააცილეს...

რაც შეეხება მის შემცვლელს. დროებით, ეს მოვალეობა **კლაივ ალენს** დაეკისრება. მაგრამ შემდეგ? ცნობილი ამბავია, რომ ყველაზე დიდი შანსი "სევილიის" მწვრთნელ **ხუანდე რამოსს** აქვს. მაგრამ არა ახლა, არამედ სეზონის ბოლოს, თუმცა "მამლების" ბოსები იქამდე ვერ მოიცდიან. ისე კი, არ არის გამორიცხული, "ტოტენჰემმა" რამოსზე ხელი აიღოს და **მარჩელო ლიპის** უხმოს. საქმე ისაა, რომ გუშინ საეჭვოდ გავრცელდა მაესტროს კომენტარი - აქაოდა, ფეხბურთში დასაბრუნებლად მზად ვარ და თუ სადმე სიამოვნებით ვიმუშავებდი, მხოლოდ და მხოლოდ ინგლისშიო...



იოლის ყოფა არ იყო იოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# ალბათ, მაინც სენეგალთან

მაშ ასე, ნოემბერში, ლიტვის ნაკრებთან საშინაო მატჩამდე ჩვენი ნაკრები სავარაუდოდ სენეგალის ეროვნულ გუნდს ეთამაშება პარიზში. ქართულ მხარეს არაერთი შეთავაზება ჰქონდა. იყო ვარიანტი, ბოსნიასთან თბილისში გაგვემართა ამხანაგური შეხვედრა, ყატარიც მზად იყო თბილისში სტუმრობისთვის, იორდანია თავისთან გვეპატიჟებოდა, სენეგალი კი საფრანგეთში გვთავაზობდა თამაშს. ამ ოთხი ვარიანტიდან ფედერაცია სენეგალს ანიჭებს უპირატესობას. ეს "ლელოსთან" საუბარში ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** თქვა.

**კლაუს ტოპმიოლერს** სურს სენეგალთან გავმართოთ ამხანაგური მატჩი, მაგრამ არა 17, არამედ 16 ნოემბერს, რათა ლიტვასთან 21 ნოემბერს საშინაო მატჩისთვის მოსამზადებლად მეტი დრო გვქონდეს. ამასთან ტოპმიოლერს უნდა, რომ 17 ნოემბერს თავად დაესწროს ლიტვა-უკრაინის მატჩს და კიდევ ერთხელ ნახოს ლიტველთა გუნდი. თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ სამწვრთნელო შტაბის რომელიმე წევრი გაემგზავრება ბალტიისპირეთში. სენეგალი თანახმაა გვეთამაშოს და პირობებზეც შეთანხმებულები ვართ, მაგრამ ახლა თარიღზე მიდის მოლაპარაკებები.

ფიფას რეიტინგში 33 ადგილით ზემოთ აწევის შემდეგ, ევროპის ქვეყნების რეიტინგში 35-ე ადგილზე ვართ. შესაბამისად, დღევანდელი მონაცემებით მე-4 კალათაში (თითო კალათაში 9 ნაკრები) ვიმყოფებით. ფიფას მორიგი რეიტინგი 23 ნოემბერს გამოქვეყნდება. მომდევნო რეიტინგში, თუ ევროპულ ქვეყნებს შორის 36-ე საფეხურს ქვემოთ არ დავეშვებით, მაშინ 25 ნოემბერს სამხრეთ აფრიკაში გასამართ, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრაში მე-4 კალათაში დავრჩებით.

**დავით ცაბაძე**



# ახალგაზრდული სტილი და სამი ყუმბარა

**შოტლანდიასთან მოგებასა და რეიტინგში საქართველოს სარეკორდო წინსვლას საკმაო აჟიოტაჟი მოჰყვა. ფიფას ოფიციალურმა ვებგვერდმა ამას ვრცელი და საინტერესო მასალა მიუძღვნა.**

**კლაუს ტოპმიოლერი** უზომოდ ბედნიერია. სიმართლე რომ ვთქვათ, მას მართლაც საკმაო საფუძველი აქვს, რომ გახარებული და ბედნიერი იყოს. საქართველოს ნაკრებმა გასულ კვირაში საფეხბურთო მსოფლიოს სენსაცია შესთავაზა, თბილისში შოტლანდიის ნაკრები დაამარცხა. შოტლანდიელებზე გამარჯვების შემდეგ საქართველომ ფიფას რეიტინგში წარმოუდგენელი ნახტომი გასაკეთა წინ. ამ გამარჯვებას კლაუს ტოპმიოლერი დიდი ემოციებით იხსენებს. შოტლანდიასთან საქართველოს ნაკრების გამარჯვებამ ათასობით გახარებული ადამიანი გამოიყვანა თბილისის ქუჩებში. ხალხს საამისო საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. შოტლანდიამ, რომელმაც ორჯერ დაამარცხა საფრანგეთი და ცხრილში ვიცე-ჩემპიონებთან ერთად ჩემპიონ იტალიასაც უსწრებდა, ვისაც ძალზე ცოტა აკლდა ევროპს ჩემპიონატზე გასასვლელად, სწორედ თბილისში წაიფორხილა. თანაც საქართველოს ნაკრებთან, რომელიც შედეგებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. შოტლანდია საქართველოსგან ამას ნამდვილად არ ელოდა.

### ახალგაზრდა ტალანტებმა ქომაგს რწმენა დაუბრუნეს

თბილისში შოტლანდიის დამარცხებამ იტალიასა და საფრანგეთს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსები მნიშვნელოვნად გაუზარდა. საქართველოს ნაკრებს უკვე კარგა ხანია აღარ აქვს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი, მაგრამ ამ გამარჯვებამ ქართველ ქომაგებს მომავლის რწმენა გაუღვივა – ყველამ დაინახა რომ საქართველოს ნაკრებს აქვს დიდი პოტენციალი. თავად განსაჯეთ, საქართველომ შოტლანდიას სამი თინეიჯერით მოუგო და ამაზე ამაყად საუბრობს კლაუს ტოპმიოლერი:

*"შოტლანდიელთა წინააღმდეგ ჩვენ 17 წლის მეკარე გიორგი მაკარიძით, 17 წლის ფორვარდ ლევან მჭედლიძითა და 16 წლის ნახევარმცველ ლევან ყენიათი ვიასპარეზეთ. შოტლანდია ჩვენ სკოლის მოსწავლეებით დავამარცხეთ. ამ მატჩში მოპოვებული 3 ქულის გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის რწმენა და იმედი, რომელიც გულშემატკივრებს ჩავუსახეთ. გამოჩნდა თაობა, რომელსაც ნიჭი არ აკლია"*, - სიამოვნებით აღნიშნავს "აინტრახტის", "ბოხუმის", "ლევერკუზენისა" და "ჰამბურგის" ყოფილი თავკაცი. ტოპმიოლერი საქართველოს მეორე სამშობლოდ მიიჩნევს. ამ ქვეყანაში კი ფეხბურთი ნომერ პირველ სპორტად ითვლება.

### ნახტომი 33 საფეხურით

**ფიფა-კოკა კოლას ბოლო რეიტინგში საქართველომ სარეკორდო ნახტომი გააკეთა წინ. 5 მილიონიანი ქვეყანა ახლა 104-ის ნაცვლად 71-ე ადგილზეა. საქართველოსთვის საუკეთესო მაჩვენებლად 42-ე ადგილი რჩება.**

### ტოპმიოლერი სამხრეთაფრიკულ გზაზე

*"საქართველოში მხოლოდ ეროვნული ნაკრების თავკაცად არ მთვლიან. უფრო მეტად მაფასებენ და მეც ყველაფერს ვაკეთებ ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის. ამ ქვეყანაში ჩემი შტაბით ჩამოვედი, რომლის წევრებიც 17, 19 და 21-წლამდელთა ნაკრებებს ხელმძღვანელობენ"*, - აცხადებს "კაიზერსლაუტერნის" ცოცხალი ლეგენდა. ტოპმიოლერი საკმაოდ ამაყია და ოპტიმიზმით სავსე. მის ოპტიმიზმს კი ახალგაზრდა, დიდი ნიჭის მქონე ახალგაზრდები ამყარებენ და ქართველთა მწვრთნელი ამას არც მალავს:

*"შოტლანდიასთან" ჩვენ სამი ახალგაზრდა, სამი ყუმბარა გამოვიყენეთ. ჩვენს "არსენალში" კიდევ სხვა არაერთი ყუმბარაა, რომელთაც მომავალში გამოვიყენებთ. შოტლანდიელები გუნდის ლიდერების, კახა კალაძისა და ლევან კობიაშვილის გარეშე დავამარცხეთ. ჩვენი მიზანია გუნდის ლიდერების, გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების შერწყმით ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბოთ. საფეხბურთო თვალსაზრისით, კარგი გუნდი გვყავს. მთავარია, როგორც ადრე ხდებოდა, ის ფეხბურთელები არ დაგვაკლდნენ, რომლებზეც ფსონს ვდებ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არაერთი სენსაციის ავტორები ვიქნებით. ჩვენი მიზანი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობაა"*, - ოპტიმისტურად აცხადებს კლაუს ტოპმიოლერი".

მოამზადა
**დავით ცაბაძე**



ინტერვიუ დავით სირაძესთან

# ერთსულოვნები გავხდით!

**ვინ შეცვლის შოთა არველაძეს? სანამ ამ კითხვაზე ხალხი პასუხს ეძებდა, დავით სირაძეს ნაკრებში გოლები გაჰქონდა და ჯვაროსნების არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი შედეგიანი ფორვარდი გახდა. შვიდი მატჩი ოთხი გოლი - ვერაფერს იტყვი, ჩინებული შედეგია.**

**ის განსაკუთრებით შოტლანდიასთან გამოირჩეოდა. თუკი იმ დღეს ემოციების გარეშე გაიხსენებთ (რაც ძალიან ძნელია), "პადერბორნის" ფორვარდი საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო გახლდათ. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მისი გოლით საქართველოს ნაკრებმა შოტლანდიელთა იმედებს საბოლოოდ გადაასხა ცივი შხაპი.**

**- დათო, ნაკრებში ერთობ იღბლიანი გამოდექი. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, მხოლოდ იღბლით გოლების გატანა. ეტყობა, ეს შეხვედრები განსაკუთრებით მოტივირებულს გხდის.**

- ორივეა, იღბალს ნამდვილად არ ვუჩივი, ნაკრებში განსაკუთრებული მოტივაცია კი არაა გასაკვირი. იმავენაირადაა მთელი გუნდი. ნაკრებში თამაში და ბურთის გატანა სულ სხვა სტიმულია, ვიდრე კლუბში. ხუთ ოფიციალურ თამაშში უკვე სამი ბურთი გავიტანე. შოტლანდიასთან გოლი კი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია.

ეტყობა, სანაკრებო შეხვედრები, სტადიონზე მოსული ხალხი ჩემზე მაგრად მოქმედებს. სხვათა შორის, ასეთ დროს, ცოტა კი მიკვირს, ნერვიულობის ნაცვლად, უფრო თავდაჯერებული და მობილიზებული ვხდები. თავდაჯერება ნაკრებში შევიძინე, ცოტა გავუშინაურდი და რაც მთავარია, მწვრთნელისა და გუნდელების ნდობა ბევრს ნიშნავს.

"პადერბორნში" ჯერ ასე არ ვარ. გუნდიც ვერაა ფორმაში. თითქოს, ზაფხულში ძლიერი მოთამაშეები შეიძინეს, ბუნდესლიგაში გადასვლაც გვინდოდა, მაგრამ ძალიან ცუდად დავიწყეთ სეზონი. ასეთ გუნდში თავდამსხმელს თავის გამოჩენა ძალიან გაუჭირდება.

უფრო მეტად უცხოელს გამიჭირდა, რადგან გაცილებით მეტია ჩემი პასუხისმგებლობა, ვიდრე გერმანელების. მესმის და არ მინდა, სალაპარაკო გავხდე. იქ ვალდებულიც ვარ, ჩემს თავზე ბევრი ავილო.

**- შოტლანდიასთან ჩვენი მოგება გუნდში ყველას გააოცებდა.**

- ბუნებრივია. ადრე თავდახრილი მივდიოდი, ახლა კი თბილისშივე რომ ატყდა რეკვები, ბაზაზე მისვლამდე არ შეწყვეტილა. ისიც გამიხარდა, რეგიონის გაზეთში რაც დაწერეს, მთლიანად გუნდზე და პირადად ჩემზე.

**- 17 წლის ბავშვებმა დღეს არა მარტო ჩვენ, მთელი ევროპა აალაპარაკეს. შენი აზრით, ეს ერთი ლამაზი გაელვება იყო, თუ მართლა ასეთი ნიჭიერი თაობაა?**

- ძალიან მაგარი თაობაა! ბედნიერი ვარ, ასეთი თაობა რომ მოდის. იმ დღეს ერთნაირად კარგები იყვნენ გამოცდილებიც და ბავშვებიც. ვერც ვიჯერებდი, რომ საქართველოს ნაკრები ასე გამართულ და რაც მთავარია, ლამაზ ფეხბურთს აჩვენებდა. ხიზანა, ასკა, მენთეშა, კანკავა, კვირკველია, შაში, ყველა მაგარი იყო. ნახევარდაცვას საქართველოს ნაკრებში როდესმე ასე უთამაშია? მე თითქმის არ მახსენდება. ეს მართლა ერთი გუნდი იყო და არა უბრალოდ თერთმეტი ფეხბურთელი.

საერთოდ, გუნდი ასე ყალიბდება - ახალგაზრდებს გამოცდილებმა უნდა შევუწყოთ ხელი, ძმურად უნდა მივილოთ და ბევრი შოტლანდია გაგვახსენდება. მათ ერთსულოვნებით მოვუგეთ.

**- ნაკრებში გულშემატკივარი კი გაახარე, მაგრამ თვითონ ვერა და ვერ გაიხარე. ახლა უფრო გულდასაწყვეტია, რომ ზაფხულში არც "კაიზერსლაუტერნის" წინადადებას დაელოდე, "მიუნხენ 1860-საც" უგანე. "პადერბორნში" გადასვლას არ ნანობ? რეალურია, გუნდი რომ შეიცვალო?**

- ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ასეთ არეულ გუდში დარჩენის დიდი სურვილი ნაღდად არ მაქვს. მწვრთნელის ფაქტორი მაბრკოლებს. ფოლხერ ფახმა კარგად მიმიღო, მენდობა და ადამიანურად, მისი მდგომარეობის მესმის. სხვათა შორის, მას მართლა არ უმართლებს. რატომღაც გუნდი ვერ აეწყო. ასეთი ფეხბურთელებით ბუნდესლიგაში გადასვლაც შეიძლება, ამბიციაც გვქონდა, მაგრამ ჯერ არაფერი გამოდის.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ჩაფლავებამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ჩვენს ასაკობრივ ნაკრებში უცხოელ მწვრთნელთა ყოფნა-არყოფნის საკითხი. ვერც ერთმა მათგანმა საქმეს თავი ვერ გაართვა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან ადეკვატურ მოქმედებას ველით.

მანამდე კი ამ საკითხზე კობა ჟორჟიკაშვილს ვესაუბრეთ, ვინც ახლა ცხინვალის "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელია. "სპარტაკამდე" ჟორჟიკაშვილს არა ერთი გუნდი გაუწვრთნია, დიდი გამოცდილება აქვს ახალგაზრდებთან მუშაობაში. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები 2002 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა და ურიგოდ არც იქ გამოსულა. ჟორჟიკაშვილი საქართველოს ნაკრების გერმანელ მწვრთნელთა შტაბშიც მუშაობდა, თუმცა შარშან იქიდან გამოუშვეს გაუგებარი მიზეზის გამო.




ინტერვიუ კობა ჟორჟიკაშვილთან

# ასე მხოლოდ საქართველოშია: ყველა ნაკრებში უცხოელი მწვრთნელი

## კითხვა ნოდარ ახალკაცს: სად არის კრიტერიუმები?

**- რა კომენტარს გააკეთებდით ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების შედეგებზე?**

- ყველა ასაკობრივი ნაკრები ფინალური ეტაპის მიღმა დარჩა. ამ გუნდების მწვრთნელები ამბობენ, მთავარია, ფეხბურთელები მივაწოდოთ უფროს ნაკრებსო, მაგრამ რა დანიშნულება აქვს ასაკობრივ ნაკრებს, ეს ისედაც ყველამ ვიცით და ეს ვერ გამოდგება ცუდი შედეგის გასამართლებლად. ფეხბურთის ფედერაციის წლევანდელ არჩევნებამდე ინგა გრიგოლიას თოქ-შოუში ნოდარ ახალკაცს კითხვა დავუსვი, რა კრიტერიუმით შეურჩიეთ ეს მწვრთნელები ასაკობრივ ნაკრებებს-მეთქი. ახალკაცმა მაშინ არ გასცა პასუხი ამ კითხვას. როცა ქართველი მწვრთნელები ვმუშაობდით ასაკობრივ ნაკრებებში, არანაკლებ სელექციას ვაწარმოებდით და შედეგიც უკეთესი გვქონდა. საქართველოს გარდა მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომლის ყველა საფეხბურთო ნაკრებს უცხოელი წვრთნის.

**- თქვენ რა მიზეზით დაგითხოვეს ნაკრებთა სამწვრთნელო შტაბიდან?**

- შარშან საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა რუმინეთში პირველი შესარჩევი ეტაპი დაძლია და მაშინ ჰაინც ტოპმიოლერს ვეხმარებოდი. საქართველოში რომ დავბრუნდი, ახალკაცმა დამიბარა და მითხრა, მწვრთნელთა ერთიან გუნდში ვერ ჩაჯექიო. ვეცადე, გამერკვია, თუ რატომ ვერ ვჯდებოდი მწვრთნელთა გუნდში. ეს გერმანელ მწვრთნელებს ჰკითხეო და მათ რომ ვკითხე, ეს ჩვენ კი არა, ქართულ მხარეს, ფედერაციას უნდა ჰკითხოო. მოკლედ, მიზეზი ვერ დავადგინე, ისე გავეცალე ნაკრებთა სამწვრთნელო შტაბს.

**- ჰაინც ტოპმიოლერის გაწვრთნილ 19-წლამდელებში ყველაზე მეტად რა გეხამუშათ? მიგაჩნიათ, რომ ვინმე იმსახურებს 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშს და მას გუნდში არ იწვევენ?**

- სპარტაკელ ფორვარდ დავით ჯანელიძეს ნაღდად ავიყვანდი ნაკრებში. ამ ფორვარდმა მიმდინარე სეზონში უკვე ხუთი გოლი გაიტანა. არიან სხვებიც, ნაკრებში თამაშს რომ იმსახურებენ. 1989-90 წლებში დაბადებულებთან 1998 წლიდან ვმუშაობ და კარგად ვიცი ყველას პოტენციალი. ლევან მჭედლიძე, ლევან ყენია, დავით თარგამაძე... ეს ფეხბურთელები ქართველმა მწვრთნელებმა აღმოაჩინეს და არა გერმანელებმა. 19-წლამდელთა ნაკრებმა შესარჩევი ციკლი რომ ჩააგდო, პირველ რიგში, ეს მწვრთნელის შეცდომებით იყო გამოწვეული. გუნდმა ჯერ ბათუმში დაიწყო მზადება, მერე წალვერში გააგრძელა და ციკლი თბილისში ითამაშა... საჭირო იყო მიკროცვლის ჩატარება, რათა გვენახა, თუ ვინ როგორ უძლებს დატვირთვებს ისეთ გრაფიკში, როგორიც შესარჩევში იყო. მარცხი იმითაც იყო დასანანი, რომ 19-წლამდელთა ამ ნაკრებში მართლაც კარგმა თაობამ მოიყარა თავი...

**- მოკლედ, მიგაჩნიათ, რომ ჩვენი ასაკობრივი ნაკრებები აუცილებლად ქართველმა მწვრთნელებმა უნდა გაწვრთნან?**

- ნებისმიერი ქართველი მწვრთნელი ინატრებდა იმ პირობებს, რაც ჩვენი ნაკრებების უცხოელ მწვრთნელებს აქვთ. ამაში მართლაც დიდი პლუსი უნდა დავუწეროთ ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ, როცა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ყაზახებთან 1:4-ს აგებს... ქართველი მწვრთნელები რატომღაც იგნორირებულები ვართ. თუ ზოგადად, ქართველს არ შეუძლია საქმის კეთება, მაშინ მმართველიც უცხოეთიდან მოვიწვიოთ და ფეხბურთის გარდა სხვა სფეროშიც ასევე მოვიქცეთ.

**- კლაუს ტოპმიოლერთან ნაღდად გააგრძელებს კონტრაქტს ფეხბურთის ფედერაცია და შესაძლოა, მისი ერთ-ერთი მოთხოვნა ისიც იყოს, რომ ასაკობრივ ნაკრებში ისევ ამ ან სხვა უცხოელმა მწვრთნელებმა იმუშაონ...**

- ტოპმიოლერის მოთხოვნაა, ძმას მიემხროს. აბა, წარმოიდგინეთ, ქართველს რომ მიეყვანა მწვრთნელად თავისი ძმა, ასეთი შედეგის მერე მას პოსტზე დატოვებდნენ? გერმანელს ჩვენზე უფრო შესტკივა გული ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებზე? გერმანელებმა უფრო კარგად იციან ჩვენი ახალგაზრდების ფსიქოლოგია? ახალგაზრდულ ასაკში ჩვენ და ევროპელ ფეხბურთელებს შორის ფუნქციური მომზადების მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის და ასეთ დროს მთავარია ნიჭი, გუნდური თამაში და სათამაშო დისციპლინა, ანუ მწვრთნელებს უკეთესი შედეგი მოეთხოვებათ.

**დავით თავართქილაძე**



# ერთი კვირის ათასი წვრილმანი

ხელის მაგრად ჩამორთმევა და პირზე კოცნა - ქართული გამარჯობა კარგად აითვისეს პეტარ სეგრტმა და ჰერბერტ ცანკერმა, მაგრამ მათ ალბათ მალე მოუწევთ საქართველოდან წასვლა. ბავარიელი ცანკერი, ვინც "1860-ის" ფანია და არა "ბაიერნის", ქართული ენის გრამატიკასაც კი უკირკიტებდა, სუფთა წერის რვეულებიც კი ჰქონდა გავსებული ქართული ასოებით და დღენიადაგ ვარჯიშობდა მისთვის უხერხული ბგერების წარმოთქმაში - წ, ძ, ც, ჭ, ყ...

ამდენი არ უწვალია კლაუს ტოპმიოლერის ძმა ჰაინცს, რამეთუ ალბათ კარგად ჭვრეტდა თავის ქართულ პერსპექტივას.

ამასობაში დაიკარგა ძვირფასი დრო ჩვენი ასაკობრივი ნაკრებებისთვის ანუ ქართული ფეხბურთის მომავლისთვის და ამაზე პასუხისმგებელი მწვრთნელების გარდა მათი დამნიშნავიც უნდა იყოს. მაგრამ რას წარმოადგენს მწვრთნელების დამნიშნავის პასუხისმგებლობის მექანიზმი? არაფერს, რამეთუ პასუხისმგებლობა პრივილეგირებული ხალხისთვის ფუყე ცნებაა.

თვით ტოპის კი განაღდებული აქვს კონტრაქტის გაგრძელება. "კიკერი" გვამცნობს, ეს საკითხი ჰერ კლაუსმა საქართველოს სპორტის მინისტრთან მოაგვარაო. ჰოდა, ტოპი კმაყოფილია, გასულ უქმეებზე რუსთავის ავტოდრომსაც კი ესტუმრა და "ჰონდა სივიკი" ისეთნაირად გახედნა, იქ მყოფთ პირი დააღებინა.

საფრანგეთთან 0:3 იმიტომ წავაგეთ, რომ ტოპიმ ოთხი შემტევით ათამაშა გუნდი, რამეთუ ქართველების შემტევი ხასიათი იცოდა - ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე, დავით მუჯირი და შოთა არველაძე. კიდევ იმიტომ, რომ 37-ე წუთზე მოუწია პირველი შეცვლის გაკეთება - კახა ალადაშვილი ილია კანდელაკით შეცვალა.

უკრაინასთან 2:3 იმიტომ წავაგეთ, რომ ტოპის უკვე 35-ე წუთზე მოუწია ცვლილების გაკეთება - დავით იმედაშვილი ილია კანდელაკით შეცვალა.

იტალიასთან 1:3 იმიტომ წავაგეთ, რომ გიორგი ლომაიამ დანიელე დე როსის შორიდან დარტყმული გაუშვა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში ჯაბა კანკავა გააძევეს.

შოტლანდიასთან 1:2 იმიტომ წავაგეთ, რომ ტოპიმ პირველ ტაიმში ჩინებულად მოთამაშე გიორგი დემეტრაძე თავდასხმიდან ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე გადასწია, რითაც ჩვენს იერიშებს ჯანი გამოაცალა. თურმე, დემეტრაძემ კარგად ვერ გაიგო მწვრთნელის დავალება, ნახევარმცველად კი არა, მარჯვენა გარემარბად უნდა გადაქცეულიყო.

ლიტვასთან 0:1 იმიტომ წავაგეთ, რომ არ გაგვიმართლა, ლიტვას ყარაულის თოფივით გაუვარდა.

საფრანგეთთან 0:1 იმიტომ წავაგეთ, რომ წასაგები იყო.

იტალიასთან 0:2 იმიტომ წავაგეთ, რომ გიორგი ლომაიამ არგასაშვები გაუშვა.

ამათ გარდა ორჯერ მოვუგეთ ფარერებს, ფრე უკრაინასთან და გამარჯვება სქოთებთან.

ტოპმიოლერი უნდა დარჩეს!

ეჰ, დამღლელია ეს ყველაფერი. საქართველოში ყველაფერი ორიგინალურად, თავისებურად ხდება და რაც ჩვენს ეროვნულ გუნდში და მის ირგვლივ დატრიალდა, ეს ნამდვილი ამბავია - არანაირი ცდომილება.

ამასობაში ეროვნულ ჩემპიონატს ლიდერი შეეცვალა. "ვიტ ჯორჯიასთან" დამარცხებულ "დინამოს" "ზესტაფონმა" გადაასწრო. ზესტაფონელი ფეხბურთელები ერთმანეთში არ ჩხუბობენ, ყოველ შემთხვევაში, ამას სახალხოდ არ აკეთებენ და ვინ იცის, იქნებ ამიტომაც მოექცნენ ცხრილის კენწეროში "დინამოს" ნაცვლად.

კარგი საქმე არ მოსვლიათ იმ შოტლანდიელ ფანებს, თავისი გუნდის საქომაგოდ თბილისში რომ ჩამოვიდნენ. ამის შესახებ გლაზგოური "დეილ რეკორდი" იუწყება. კილტებში გამოწყობილ ბრიტანელებს თურმე საშინელი ფაღარათი დამართნიათ და დაუჩივლიათ, კილტი ასეთ დროს ვერ ყოფილა კარგი სამოსი, ძალიან მოუხერხებელია სტომაქური პრობლემების დროსო. სტატიაშია მოყვანილი აბერდინის უნივერსიტეტის ბაქტერიოლოგის მოსაზრებაც. მავანი პროფესორი მიიჩნევს, რომ რუსეთში და ყოფილი საბჭოეთის სხვა ქვეყნებში ონკანის წყლის დალევას უნდა მოვერიდოთ, ასეთ ქვეყნებში წყალი ნაირგვარი მწერებით არის დაბინძურებულიო. შოტლანდიელი ექიმების ვარაუდით ფაღარათი იმ ყინულის ნატეხებსაც შეეძლო გამოეწვია, რომელსაც თბილისში ჩამოსული სქოთები გამაგრილებელი თუ ალკოჰოლური სასმელებისთვის იყენებდნენ.

**დავით თავართქილაძე**



ტოპმიოლერი და სეგრტი რუსთავში, რალიზე

www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნები აჭარის ფეხბურთის ფედერაციაში

# გოგიბერიძემ მოხსნა, თავართქილაძე პრეზიდენტია

## ბათუმის დინამოს ახალი მწვრთნელი გუნდში შიშველი ხელებით მივიდა



აჭარის ფედერაციის ყოფილი და ახალი პრეზიდენტები: ალექსანდრე ახვლედიანი და დავით თავართქილაძე

გუშინ, აჭარის ფეხბურთის ფედერაციის ახალ შენობაში, ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. ამ პოსტზე ორი კანდიდატურა განიხილებოდა - **სულხან გოგიბერიძე,** რომელიც თავდაპირველად ულტერნატივოდ მიიჩნეოდა და **დავით თავართქილაძე,** რომელიც აირჩიეს კიდეც პრეზიდენტად. თუმცა არჩევნების დაწყებამდე, აჭარის ფეხბურთის ფენდერაციის აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა **ალექსანდრე ახვლედიანმა** მისი პრეზიდენტობის ოთხწლიან პერიოდზე ისაუბრა. ალმასკომის წევრებმა მისი მუშაობა დადებითად შეაფასეს და მიუხედავად ამისა, თავად ყოფილმა პრეზიდენტმა გულისტკივილი გამოთქვა აჭარის ფეხბურთში არსებული ვითარების გამო და განსაკუთრებით ბათუმის „დინამოს" მძიმე მდგომარეობაზე ისაუბრა. თუმცა, ამასთანავე იმედი გამოთქვა, რომ ახალი პრეზიდენტი და მისი გუნდი სიტუაციას აუცილებლად გამოასწორებდა.

38 დელეგატიდან, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ, ხმის მიცემის უფლება მხოლოდ 19-ს ჰქონდა. აჭარის ფეხბურთის ფედერაციიდან არჩევნებს ვეტერან ფეხბურთელთა დახმარების ფონდის ხელმძღვანელი **ვაჟა ჟვანია** ესწრებოდა.

კენჭისყრის დაწყებამდე ვისთვის მოულოდნელი, ვისთვის კი მოსალოდნელი განცხადება გააკეთა ერთ-ერთმა კანდიდატმა **სულხან გოგიბერიძემ,** - „გავეცანი „ლელოში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს დავით თავართქილაძესთან. ის საკმაოდ ენერგიული და პრინციპული ადამიანია. როგორც ინტერვიუში თავად აღნიშნავდა, საკმაოდ სერიოზული ინვესტიციის ჩადებას აპირებს ფეხბურთში, გარდა ამისა, აპირებს ქალაქს ერთი სტადიონი აუშენოს თავის ბაზასთან ერთად. საკუთარ ამბიციებზე მაღლა, ყოველთვის საერთო საქმეს ვაყენებ. სწორედ ამის გამო, ჩემს კანდიდატურას ვხსნი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფეხბურთს ჩამოვშორდები. ვეცდები, ყველანაირად გვერდში დავუდგე ბატონ დავითს და ქართულ ფეხბურთში სასიკეთო საქმეები ვაკეთოთ".

მოსალოდნელი ეს იმ მხრივ იყო, რომ მოვლენების ამგვარად განვითარების ვარიანტი მან გუშინწინ "ლელოსთან" საუბრისას დაუშვა. ამის შემდეგ, დელეგატებს ისღა დარჩენოდათ, რომ არჩევნების ფორმალური მხარე მოეგვარებინათ. 19 დელეგატიდან დავით თავართქილაძის კანდიდატურას ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი და აჭარული ფეხბურთის განკარგვა, უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში, სწორედ მას მიანდეს.

„ჩემი გეგმების შესახებ უკვე გესაუბრეთ. გეგმები დიდია და მის განხორციელებას ჩემს მეგობრებთან ერთად შევეცდებით. აქვე მინდა გითხრათ, რომ ლაპარაკზე მეტად საქმის კეთება მიყვარს და ამიტომაც, ამ მცირე კომენტარით შემოვიფარგლები. გამოცხადებული ნდობისთვის კი ყველას მადლობა მინდა გადავუხადო", - აღნიშნა ახალარჩეულმა პრეზიდენტმა.

ალექსანდრე ახვლედიანი, **აჭარის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი:** „ახალ პრეზიდენტს ახალი სახლი დავახვედრეთ. მან კარგად იცის, თუ რა მდგომარეობაშია აჭარაში ფეხბურთი და ისიც იცის, რომ სამუშაო მართლაც ბევრი აქვს. წარმატება მინდა ვუსურვო და აქვე დავპირდები, რომ მის გვერდში ვიქნები ყოველთვის."

არჩევნების დასრულების შემდეგ, სტუმარ-მასპინძელმა „ადელის" სტადიონზე გადაინაცვლა, სადაც ბათუმის „დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელი, **ავთანდილ კუნჭულია** წარადგინეს. მას საფეხბურთო წრეებში კარგად იცნობენ, ბათუმის „დინამოში" თამაშობდა, ბოლო 10 წლის განმავლობაში კი ბავშვთა ფეხბურთში მწვრთნელად მუშაობდა. ასე რომ, გარკვეული გამოცდილება სამწვრთნელო საქმეში აქვს, მაგრამ როგორც თავად აღნიშნა, უმაღლესი ლიგა მაინც სხვაა.

**- საკმაოდ მძიმე ვითარებაშია გუნდი და ასეთ დროს თქვენს მდგომარეობაში ყოფნას ბევრი არ ისურვებდა...**



ბათუმის ფეხბურთელებს გუშინ ახალი მწვრთნელი ავთანდილ კუნჭულია წარუდგინეს

- კარგად მესმოდა, რაზე „ვაწერდი ხელს", მაგრამ როდესაც ჩემს მშობლიურ გუნდს უჭირს, გვერდზე გავდგე და შორიდან ვუყურო, არ შემიძლია. დარწმუნებული ვარ, რომ გუნდის კრიზისიდან გამოყვანას შევძლებთ. ამ ეტაპზე კი პირველი საზრუნავი ისაა, რომ „დინამო" უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადავარჩინოთ.

**- ამისთვის ახალი ფეხბურთელების დამატება დაგჭირდებათ, ამასთან მარტო ამ ფეხბურთელებით დასახულის მიღწევა გაგიჭირდებათ.**

- გეთანხმებით. ფეხბურთელებს აუცილებლად დავიმატებთ, მაგრამ ეს მეორე წრიდან მოხდება. მხოლოდ ჩვენ მიზნის მიღწევა გაგვიჭირდება.

**- დახმარებას ითხოვთ?**

- დახმარებასა და თანადგომას, როგორც ჩემი მეგობრებისგან, ასევე საფეხბურთო წრეების წარმომადგენლებისგან. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მთავრობა დაგვეხმარება და პრობლემასაც გადავჭრით. თუკი სატურნირო ცხრილის ფსკერს თავს დავაღწევთ და უმაღლეს ლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ, ჩემზე ბედნიერი კაცი არავინ იქნება.

**- ფაქტობრივად, ნულიდან იწყებთ...**

- დიახ. შიშველი ხელებით მოვედი, კლუბის ბიუჯეტში ერთი ლარიც კი არ დევს, მაგრამ ერთობლივი ძალისხმევით, მდგომარეობის გამოსწორებას ვეცდებით. ჩემი სურვილია - და იმედია, განხორციელებასაც შევძლებთ - გაიხსნას ბათუმის „დინამოს" სახელზე საბანკო ანგარიში, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლება, შეძლებისდაგვარად, თანხის გადარიცხვა. არავის დავალდებულება არ მინდა, მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, როგორც ჩემი, ასევე თითოეული ბათუმელის ვალია, გუნდი ფეხზე დააყენოს და ძველი ტრადიციების აღდგენაში დაეხმაროს. პირადად მე გპირდებით, რომ ყოველგვარი მოქმედება, რაც კლუბის საქმიანობასთან იქნება დაკავშირებული, ღია და გამჭვირვალე იქნება.

**- კანტიძე და ნასუაშვილი დარჩებიან გუნდში?**

- ალეკო კანტიძესა და სოსო ნასუაშვილს გაწეული მუშაობისთვის მადლობას მოვახსენებ. ამ ეტაპზე ისინი ბავშვთა ფეხბურთს დაუბრუნდებიან. ჩემი ასისტენტი კი ბათუმის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, ედიშერ კაკაბაძე იქნება, რომელიც მანამდე „დინამო 2-ს" ედგა სათავეში.

**- „დინამო 2-ს" ვის ხელში ტოვებთ?**

- ახალგაზრდებს ასევე ყოფილი დინამოელი ვანო მახარაძე ჩაუდგება სათავეში.

**- „დინამოში" თქვენი შვილი, ვასიკოც თამაშობს, რომელიც ამ ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში არც თუ ხშირად ჩნდებოდა.**

- გუნდი ერთი ოჯახია. რადგან ჩემი შვილია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმე პრივილეგიებით ისარგებლებს. ითამაშებს ის ფეხბურთელი, რომელიც გარკვეული თამაშისთვის იქნება მზად. ე. წ. „ლუბიმჩიკები" არ მეყოლება.

რაც შეეხება თავად ფეხბურთელებს, აცხადებდნენ, რომ მათ მოტივაცია, შემართება და შეთამაშება აკლდათ, თუმცა იმედი გამოთქვეს, რომ ახალი მწვრთნელის ხელში ყველაფერი გამოსწორდება და „დინამო" ეროვნულ ჩემპიონატში თავის სიტყვას უთუოდ იტყვის.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

გურამ ტურაშვილის ფოტოები

# მუჯირმა თასზეც გაიტანა

აზერბაიჯანში თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩები გაიმართა. დედაქალაქის "ბაქომ" "ინტერ 2-ს" უმასპინძლა და 3:0 გაანადგურა. ანგარიში უკვე მეორე წუთზე **ამირან მუჯირმა** გახსნა. მან კვირას "ნეფთჩისაც" გაუტანა ჩემპიონატის მატჩში. "ნეფთჩიმ" საჩემპიონატო ფიასკოს შემდეგ (1:5 "ბაქოსთან") თასზე 3:0 აჯობა "აბშერონს". აზერბაიჯანული პრესის ცნობით გუნდიდან რვა ფეხბურთელს უშვებენ, თუმცა ვის არ აკონკრეტებენ. ქართველთა "კაბალამ" მერვედფინალის პირველ მატჩში შინ 1:0 მოუგო "სიმურგს".

# ხვალ ინგლისს ვეთამაშებით

შაბათს, 27 ოქტომბერს საქართველო, კიდევ ერთი ტურნირის შესარჩევ ეტაპს უმასპინძლებს - ამჯერად 17-წლამდე ქალთა ნაკრებებს შორის. ჯგუფში საქართველოს მეტოქეები ინგლისი, რუსეთი და სლოვაკეთი იქნებიან. **მაია ჯაფარიძის** გუნდი ამ ტურნირისთვის უკვე ემზადება. პირველი მატჩი ინგისელებთან გვიწევს. თამაშების განრიგი კი ასე გამოიყურება:

**12:00 რუსეთი-სლოვაკეთი**
27 ოქტომბერი. რუსთავი. ფოლადი
არბიტრი: ევგენია კასკანტარი (საბერძ.)

**15:00 ინგლისი-საქართველო**
27 ოქტომბერი. თბილისი. მიხეილ მესხი
არბიტრი: დ. ჟელევა-ტერჩიევა (ბულგ.)

**12:00 საქართველო-რუსეთი**
29 ოქტომბერი. რუსთავი. ფოლადი
არბიტრი: დონკა ჟელევა-ტერჩიევა (ბულგარეთი)

**15:00 ინგლისი-სლოვაკეთი**
29 ოქტომბერი. თბილისი. მიხეილ მესხი
არბიტრი: კრისტინ ბანგო (ავსტრია)

**15:00 სლოვაკეთი-საქართველო**
1 ნოემბერი. თბილისი. მიხეილ მესხი
არბიტრი: ევგენია კასკანტარი (საბერძნეთი)

**15:00 რუსეთი-ინგლისი**
1 ნოემბერი. 15:00 სთ. რუსთავი. ფოლადი
არბიტრი: კრისტინ ბანგო (ასტრია)

ლეგიონერი

# ადამიამ, პეტრუელას პრეტენზია არ აქვსო

აზერბაიჯანულმა სააგენტო "აპასპორტმა" გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ბაქოს "ნეფთჩის" ჩეხი მწვრთნელი **ვლასტიმილ პეტრუელა** გუნდის გაწმენდას და, მათ შორის, ქართველი **გიორგი ადამიას** გაშვებასაც აპირებს.

*"პეტრუელა ეძებს მარცხენა ნახევარმცველს. მან კლუბის ხელმძღვანელობას უკვე აცნობა თავისი გადაწყვეტილება და სთხოვა, სასურველი მოთამაშე მოუძებნონ.*

*პეტრუელა "ნეფთჩიში" ორი თვეა მუშაობს და 4-4-2 ტაქტიკურ განლაგებას იყენებს. ის უკმაყოფილოა მარცხენა ნახევარმცველ ადამიას თამაშით, არ ემადლიერება არც ვლადიმირ ბორეცს და რამად რადიგოვს".*

ინფორმაცია ისე იყო მოწოდებული, თითქოს დღეს-ხვალ გიორგი ადამია კლუბს დატოვებს.

გიორგის ბაქოში დავუკავშირდით და მან განსხვავებულად გვიამბო: *"ეს ინფორმაცია ჩვენც პრესიდან შევიტყვეთ. დაწერეს, თითქოს ნახევარი გუნდის გაშვებას აპირებდა და პეტრუელას ვესაუბრეთ. თვითონ იყო გაოცებული, როგორც ვხვდები, ეს "ნეფთჩის" მწვრთნელის ნაცვლად, სხვებს უფრო სურთ. ყოველ შემთხვევაში, პეტრუელა პირადად ჩემით უკმაყოფილო არ იყო. სხვა საქმეა, რომ თავად აღარ მსურს დარჩენა. კარიერის აზერბაიჯანში დასრულებას არ ვაპირებ. აქედან წასვლა მინდა".*

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ადამია

ფუტზალი

# ორი მატჩი სომხეთთან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური სპონსორი იტალიური კომპანია "დიადორაა". შესაბამისად, როგორც ეროვნული, ახალგაზრდული, ასევე ქალთა და ასაკობრივი ნაკრებები "დიადორის" ფორმებით ასპარეზობენ. ახლა ისაა საკითხავი, თუ რომელი კომპანია შემოსავს ფუტზალის ნაკრებებს - ეროვნულსა და ახალგაზრდულს.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს ფუტზალის ასოციაცია, ტექნიკურ სპონსორობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს იტალიურ LEGEA-სთან, დანიურ HUMMEL-თან და შვედურ SALMING-თან. ასოციაციის გენერალური მდივნის **ბექა კვიციანის** ინფორმაციით, ქართულ მხარეს ამ კომპანიებიდან ყველაზე კარგ პირობებს LEGEA სთავაზობს. ასოციაცია საბოლოო არჩევანს 3-4 კვირაში გააკეთებს.

ამას გარდა მოლაპარაკება მიმდინარეობს ერთ-ერთ უძლიერეს პორტუგალიურ კლუბ ლისაბონის "ბენფიკასთან". ქართული მხარის სურვილია, რომ "ბენფიკაში" ორმა ქართველმა ფეხბურთელმა, 18 წლის **დავით კეფაშვილმა** და ასევე 18 წლის **დავით წიწკალაძემ** ორკვირიანი შეკრება გაიარონ.

დაბოლოს, ფუტზალში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, 7 და 8 ნოემბერს, სპორტკომპლექს "ქარიშხალაში" სომხეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ორ მატჩს გამართავს.

**დავით ცაბაძე**



ჯაბა მუჯირი (მარცხნივ)

# მუჯირი თასსა და კალაძეს უახლოვდება

**ჯაბა მუჯირის** ისპაჰანის "სეპაჰანი" აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა - არაბეთის გაერთიანებული საემიროების "ალ ვაჰდს" შინ 3:1 მოუგო და სტუმრად 0:0 ითამაშა. ბოლო 19 წლის განმავლობაში ირანული გუნდი პირველად გავიდა აზიის ჩემპიონთა თასის ფინალში.

მუჯირმა საემიროებშიც 90 წუთი ითამაშა. ფინალში "სეპაჰანის" მეტოქე იაპონური "ურავა რედსი" იქნება. ფინალიც ორ მატჩად გაიმართება.

სატელეფონო საუბარში მუჯირმა გვითხრა, რომ ფიფას მიერ ჩატარებულ მე-4 საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატში შესაძლოა, აზიის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულიც დაუშვან და ფინალისტიც. მოკლედ, არის შანსი, რომ ამ ტურნირში მილანელი **კახა კალაძის** გარდა კიდევ ერთმა ქართველმა ითამაშოს.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

## ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის განცხადება

"ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა" ულოცავს სრულიად საქართველოს შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებთან გამარჯვებას! ეს გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა იმით, რომ მის შემოქმედთა რიგებში მრავლად იყვნენ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, რაც, უთუოდ, ოპტიმისტურად განგვაწყობს ჩვენი ფეხბურთის მომავლისადმი.

როგორც საზოგადოებამ იცის, "ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა" დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ინიციატორებმა დავაფუძნეთ. ჩვენ 17 წლის წინათ, როდესაც ერისთვის ამ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას ვიღებდით, სწორედ დიდ გამარჯვებებზე ვფიქრობდით. ნუ გაგიკვირდებათ და, ჩვენი მიზნები იყო და არის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობა. რა გასაკვირია, რომ ქართველები ასე თამამად ვფიქრობდეთ?! განა იმ ერს საფეხბურთო წარმატებები უნდა უკვირდეს, რომელსაც სხვადასხვა თაობის არაერთი შესანიშნავი ფეხბურთელი ჰყავდა და ჰყავს...

"ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის" სურვილია, რომ შოტლანდიასთან გამარჯვება არ იყოს სიხარულის წამიერი გაელვება და მსგავსი და უკეთესი შედეგები იქცეს კანონზომიერ, შეუქცევად პროცესად. ამისთვის კი საჭიროა, მოვაგვაროთ ყველა ის პრობლემა, რომლებიც, სამწუხაროდ, მრავლად დაგროვდა ჩვენს ფეხბურთში.

საზოგადოებას მოვახსენებთ, რომ "ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგამ", ამა წლის 6 ივლისს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შეიტანა განცხადება, რომელშიც ვითხოვთ, რომ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე, განხილულ იქნას ქართულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობა.

ჩვენი მოთხოვნები 9 პუნქტადაა ჩამოყალიბებული. აქ, გარდა წმინდა საფეხბურთო საკითხებისა, არის ისეთებიც, როგორიცაა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის დანიშნული 13 მაისის საფეხბურთო ყრილობის საბოლოო შედეგების რეალური და მიუკერძოებელი შეფასება, ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორწელიწადნახევარში ათვისებული 26 მილიონი ლარის განკარგვის საკითხი (რაში დაიხარჯა ეს თანხა) და სხვა. პარლამენტში შეტანილ განცხადებას, ჩვენ ვაფასებთ, როგორც ერისთვის ღირსების დაბრუნების მცდელობას და მიგვაჩნია, რომ ჩვენს სამშობლოში, საზოგადოებრივი ცხოვრება უნდა ემყარებოდეს გამჭვირვალე, დემოკრატიულ პრინციპებს. ვთვლით, რომ ყრილობის რეალური შედეგების გაყალბება დამღუპველია არა მარტო ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების, არამედ, ზოგადად, ერის ზნეობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმისთვის.

საქართველოს პარლამენტიდან მიღებულ ოფიციალურ წერილში გვატყობინებენ, რომ სექტემბერ-დეკემბრის მონაკვეთში, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი განიხილავს ქართულ ფეხბურთში არსებულ მდგომარეობას.

დღეისთვის, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაცა და ქვეყნის ხელისუფლებაც, შოტლანდიის ნაკრებთან მოგების შემდეგ, ეიფორიაში არიან და ისე წარმოადგენენ ვითარებას, თითქოს, ამ გამარჯვებამ ჩვენს ფეხბურთში არსებულ პრობლემათა უმრავლესობა მოაგვარა. რეალურად არსებული ვითარებიდან გამომდინარე კი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, ჩვენს ფეხბურთში ვითარების ნორმალიზებისთვის, მოვუწოდებთ, რომ ურთიერთობა ააგონ ურთიერთპატივისცემასა და კოლეგიალობაზე, თავი ანებონ საკუთარ სუბიექტებთან ბრძანების ტონით ლაპარაკსა და აბუჩად აგდებას, რადგან ასეთი დამოკიდებულებით მიღებული შედეგის მაგალითად ისიც გამოადგებათ, თუ სადამდე მიიყვანა საკუთარი ხალხისადმი აგრესიულმა განწყობამ ხელისუფლება უახლოეს წარსულში. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს მით უმეტეს მართებთ კორექტულობა, რადგან მთელმა საქართველომ იცის, რომ ქართულ საფეხბურთო სამყაროს ისინი არ აურჩევია - ისინი პირდაპირ დანიშნა ქვეყნის ხელისუფლებამ.

შოტლანდიის ნაკრებთან გამარჯვება გვიხარია, მაგრამ, ამასთანავე გვახსოვს, რომ აბსოლუტურად ჩამკვდარია საფეხბურთო ცხოვრება რეგიონებში, მცირდება ბაზები, დღითიდღე ეცემა ეროვნული ჩემპიონატის დონე, რის გამოც, მეზობელ ქვეყნებში გარბიან ჩვენი ფეხბურთელები, ვერაფრით ვერ მოწესრიგდა ბავშვთა ფეხბურთი. რას ნიშნავს ყველა ასაკობრივ ნაკრებში (ეროვნულის ჩათვლით) მხოლოდ უცხოელის და თანაც საეჭვო კვალიფიკაციის მწვრთნელის მუშაობა, როგორია მათი შედეგები? - მხოლოდ ბოლო ადგილები.

რა თქმა უნდა, კარგი ბიჭები არიან მაკარიძე, მჭედლიძე, ყენია, თუმცაღა, უნდა გვახსოვდეს, რომ არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი იკარგება რაიონებსა და სოფლებში იმის გამო, რომ მათ გასაქანი არ აქვთ - იქ, საფეხბურთო ცხოვრება არ ჩქეფს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, იმისთვის, რომ მთელ საქართველოში გამოაცოცხლოს ფეხბურთი, პირველ რიგში, საჭიროა, რეგიონების ფედერაციები დააფინანსოს, ასწიოს მათი ავტორიტეტი, მისცეს საშუალება ჩაატარონ რეგიონული თუ სარაიონო პირველობები. სამწუხაროდ, როგორც შევიტყვეთ, რეგიონების დაფინანსებას ვინ ჩივის: თბილისის, აფხაზეთის, იმერეთის და სამეგრელოს ფედერაციებს რეგიონული პირველობების ჩატარების უფლება ჩამოართვეს და, ფაქტობრივად, უსაქმოდ დატოვეს, ისჯება გურიის რეგიონული ფედერაციაც...

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშიდან შევიტყვეთ, 2007 წელს, ფედერაციის სახელფასო ფონდმა შეადგინა 3 მილიონამდე ლარი და ეს იმის ფონზე, რომ ჩვენი სახელოვანი კლუბები, ფოთის "კოლხეთი 1913" და ქუთაისის "ტორპედო" მხოლოდ იმის გამო ვერ თამაშობენ უმაღლეს ლიგაში, რომ 300 ათასი ლარის საბანკო გარანტია ვერ წარმოადგინეს. ასევე უსახსრობის გამო ვერ აყალიბებენ გუნდებს ისეთი ტრადიციების მქონე რაიონებში, როგორებიცაა წყალტუბო, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ქობულეთი, გურჯაანი, ხაშური, სენაკი და ა.შ. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ დასავლეთი საქართველოდან უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ზუგდიდი, ზესტაფონი და ბათუმი თამაშობენ.

როგორც პრესიდან შევიტყვეთ, სახელმწიფო 50 მილიონი ლარის გამოყოფას აპირებს ფეხბურთის დასახმარებლად. სასიხარულო ამბავია, მაგრამ გვიჩნდება კითხვა: ეს ფული ფეხბურთს მოხმარდება თუ ვილაცების ჯიბეებში დაილექება? ჩვენი აზრით, ფეხბურთის განვითარება არ უნდა იყოს ხელისუფლების კეთილ სურვილზე დამოკიდებული. ნამდვილი დახმარება ის იქნება, თუ შეიქმნება საკანონმდებლო ბაზა, რომელიც წაახალისებს ინვესტორს ფეხბურთში ფულის დაბანდების საქმეში. სწორედ ასეთი ინვესტიციები შექმნის მყარ საფუძველს ჩვენი ფეხბურთის სტაბილური განვითარებისთვის. აქვე გვინდა დავამატოთ: ფეხბურთის ფედერაცია დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და სახელმწიფოს მხრიდან დახმარება არ შეიძლება გამოიყენონ ფედერაციის საქმიანობაში ჩარევის საშუალებად, რისი ნიშნებიც, დღეისათვის აშკარაა...

"ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა", ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე მოითხოვს, გადაუდებლივ მოხდეს ქართულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობის საპარლამენტო-საკომიტეტო განხილვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა გზა აღარ გვრჩება გარდა იმისა, რომ სამართალი საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებში (ფიფა, უეფა) ვეძებოთ და ფედერაციის სუბიექტებს რიგგარეშე ყრილობის მოწვევისაკენ მოვუწოდოთ!

წინამდებარე განცხადება ვერ დაიტევს ყველა იმ სათქმელს, რასაც ჩვენი ფებურთის დღევანდელი მდგომარეობა ითხოვს. ვიდრე ნამდვილი საფეხბურთო არჩევნები ჩატარდებოდეს, ფეხბურთის ფედერაციას მოვუწოდებთ, გაითვალისწინოს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და იყოს ღია, გამჭვირვალე, კეთილმოსურნე და კოლეგიალური ყველა მათ მიმართ, ვისაც შეხება აქვთ ჩვენს ფეხბურთთან, ნუ დაყოფს მათ თავისიანებად და მოწინააღმდეგეებად, პირიქით - იფიქროს ყველა საფეხბურთო ძალის კონსოლიდაციაზე. ეს აუცილებელია ქართული ფეხბურთის ფეხზე დადგომისა და დიდი გამარჯვებებისთვის, რომლებისაც ჩვენ ღრმად გვჯერა!

**ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიფა

# სად გაიმართება 2018 წლის მუნდიალი?

## ბლატერი ტურნირის კონტინენტიდან კონტინენტზე მოგზაურობას ეწინააღმდეგება



ზეპ ბლატერმა არ გამორიცხა 2018 წლის მუნდიალი ინგლისში ჩატარდეს

**ზეპ ბლატერს** მუნდიალების მასპინძლობის როტაციული სქემა არ მოსწონს. მან აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს ამ საკითხის განხილვა შესთავაზა. თუ სქემას გააუქმებენ, 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ის ქვეყანა უმასპინძლებს, რომელიც საამისოდ ყველაზე უკეთ იქნება მომზადებული. დღევანდელმა სისტემამ 2010 წლის მუნდიალის აფრიკის კონტინენტს უბოძა. ტურნირს სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა ჩაატარებს. 2014 წელს ჩემპიონატი სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრება. ფავორიტად ბრაზილიას ასახელებენ. 2018 წლის მუნდიალი წესით, აზიაში უნდა გამართულიყო. ბლატერის განცხადების შემდეგ საკითხი ჰაერში გამოეკიდა. როტაციული სქემის გაუქმების შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მსოფლიოს პირველობა ბევრ კონტინენტზე გაიმართება. ევროპაში კი ინგლისი ულაპარაკო ფავორიტია.

ფიფას პრეზიდენტმა განცხადება მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ლონდონში ყოფნისას გააკეთა. ის მსოფლიოს უძველესი კლუბის "შეფილდის" 150-წლიან იუბილეს დაესწრო. შემდეგ კი დაუნინგ სტრიტის 10 ნომერში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ **გორდონ ბრაუნს** შეხვდა. ბრაუნი ღიად ლობირებს ინგლისი 2018-ის პროექტს. ბლატერმა თქვა, რომ ინგლისის კანდიდატურას მიესალმება: *"ეს ქვეყანა ფეხბურთის სამშობლოა. ფეხბურთის მსოფლიო თასს კი მხოლოდ ერთხელ, 1966 წელს უმასპინძლა. 2018 წლამდე ქვეყანაში თითქმის სამი თაობა შეიცვლება. ლოგიკური იქნებოდა, ტურნირის ორგანიზება ინგლისისთვის მიგვენდო. მაგრამ ჯერ ჩემპიონატის მასპინძლობის წესზე უნდა შევთანხმდეთ. 2018 წლის მუნდიალზე პრეტენზიას აცხადებს ჩინეთი. ისინი ძალიან მონდომებულები არიან. მზადაა ავსტრალია, ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა, კანადა, ევროპაში - რუსეთი, ბელგია და ჰოლანდია."*

ბლატერმა ისარგებლა შემთხვევით და მდიდარი ინვესტორებისაგან მომდინარე საფრთხეზე ისაუბრა: *"სადღეისოდ ფეხბურთს ყველაზე დიდი საფრთხე ამ ადამიანებისაგან ემუქრება. ისინი მზად არიან, თავიანთ კლუბებს აურაცხელი თანხა დაახარჯონ. თუ მდიდარი კლუბები ყველა ნიჭიერ ფეხბურთელს შეიძენენ, მივიღებთ თითებზე ჩამოსათვლელ კოლექტივებს, რომლებიც დანარჩენებზე ათი თავით მაღლა დადგებიან და კონკურენციას წერტილს დაუსვამენ. ფეხბურთი დაკარგავს სოლიდარობის თვისებას. საჭიროა ეფექტური მექანიზმების მოძებნა, რათა ამგვარი რამ თავიდან ავიცილოთ."*



ფრენკ ლემპარდი და უეინ რუნი

იუვენტუსი. ტრანსფერები

# ლემპარდთან მოლაპარაკება დაწყებულია

"იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო ფრენკ ლემპარდის** აგენტს **სტივ კუტნერს** შეხვდა. ამ ინფორმაციას "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს. საუბარი ინგლისელი ვარსკვლავის ტურინში ტრანსფერს შეეხო. "ბებერი ქალბატონი" ფეხბურთელის შეძენას გაისად ზაფხულში აპირებს, მაგრამ დღეს წინასწარი კონტრაქტის გაფორმება სურს. სატრანსფერო კანონმდებლობის თანახმად, სეზონის ბოლოს ლემპარდის გამოსყიდვა 10 მილიონ ევროდ იქნება შესაძლებელი. "ჩელსისთან" შეთანხმება ძნელი არ უნდა იყოს. მიმომხილველების აზრით, ბევრად უფრო ძნელი იქნება ფეხბურთელთან კონტრაქტის პირობებზე შეთანხმება. ფრენკს წლიურად 6 მილიონ გირვანქას უხდიან. "იუვენტუსი" შეეცდება, ის ხელფასის შემცირებაზე დაიყოლიოს. ფეხბურთელის წარმომადგენლებს მიმდინარე მოლაპარაკებების თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ტურინელებს პრემიერლიგიდან კიდევ რამდენიმე მოთამაშის გადაყვანა სურთ. მათი ყურადღება "არსენალის" სამმა ვარსკვლავმა - **ვილიამ გალასმა, კოლო ტურემ** და **ჟილბერტო სილვამ** მიიპყრო. "იუვე" ლივერპულელ მომო სისოკოზეც არ იტყოდა უარს. მალელ ნახევარმცველს ტურინში გასულ ზაფხულს ეპატიჟებოდნენ. ფეხბურთელი ნანობს, რომ მათთან კონტრაქტი არ გააფორმა. "იუვე" იანვარში 26 წლის პორტუგალიელი ნახევარმცველის, **ტიაგო მენდესის** გაყიდვას აპირებს. ის პორტუგალიელ ლეგიონერში 13 მილიონ ევროს ითხოვს. მენდესი "ფიორენტინას", "ბარსელონას", "ვილიარეალსა" და ლისაბონის "სპორტინგს" სურთ. ინტენსიურად განიხილება "იუვეს" რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის იჯარით გაშვების საკითხი. "ქალბატონი" "რეინჯერსთან" გარიგებას გეგმავს. **კლაუდიო რანიერის** სურს, მომავალმა ვარსკვლავებმა გამოცდილება დააგროვონ. თუ გლაზგოელები ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში გავლენ, შემადგენლობას "იუვენტუსის" ახალგაზრდებით გააძლიერებენ. შეგახსენებთ, ტურინული გიგანტი წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში არ ასპარეზობს.

ვილიარეალი

# რიკელმე ბრაზილიაში?

## არგენტინელის შეძენის სურვილი ფლუმინესეს გაუჩნდა

საქვეყნოდ ცნობილია, რომ **ხუან რომან რიკელმეს** "ვილიარეალის" დამრიგებელთან სერიოზული კონფლიქტი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ რომანმა არგენტინის ნაკრებში სამთვიანი უთამაშებლობის შემდეგ ფანტასტიკურად იასპარეზა და "ალბისელესტეს" ზედიზედ ორი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა, **მანუელ პელეგრინის** გული ვერა და ვერ მოინადირა. ჩილელი სპეციალისტი მას შემადგენლობას კვლავ არ აკარებს. ამასობაში კი, "ვილიარეალის" ხელმძღვანელობას რიკელმესთვის მუქთა ხელფასის გადახდა უწევს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე არაერთ მილიონ ევროს ეხება, პრეზიდენტ **ფრანსისკო როიგის** შეშფოთება გასაკვირი სულაც არ არის. ესპანური კლუბის უმაღლესი ხელისუფალი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რიკელმე სარფიანად გაყიდოს. რამდენიმე დღის წინათ "იუვენტუსის" დაინტერესების შესახებ მოგახსენეთ, ახლა კი ცნობილი გახდა, რომ რომანს თანამშრომლობა "ფლუმინესემ" შეთავაზა. ბრაზილიური კლუბის მესვეურები არ მალავენ, რომ არგენტინელი მეტისმეტად ძვირადღირებული მოთამაშეა, თუმცა მის შესაძლებლობებს იმდენად აფასებენ, რომ მზად არიან, სოლიდური ფული ისესხონ და ტრანსფერი გაჩარხონ. სენიორ როიგმა სამხრეთამერიკელი კოლეგები ყოველი შემთხვევისთვის მოსალაპარაკებლად ესპანეთში დაპატიჟა. მას რა ენაღვლება, "ვილიარეალისთვის" აშკარად უკეთესია, რაც უფრო მეტი შეთავაზება ექნება. ერთია, როცა არჩევანი არ გაქვს და მეორე, როცა საუკეთესოთა შორის, საუკეთესო წინადადებას განიხილავ.



ხუან რომან რიკელმე
სამხრეთ ამერიკაში დაბრუნებას აპირებს

## ირლანდია: რობსონი თუ ვენეიბლზი?

ირლანდიის საფეხბურთო ასოციაცია ნაკრების მწვრთნელს ეძებს. წარუმატებელი საკვალიფიკაციო კამპანიის შემდეგ **სტივ სტონტონს** კარისკენ მიუთითეს. უელსთან ბოლო ტურის მატჩში გუნდს ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელი **დონ გივენსი** გაიყვანს. ეს შეხვედრა ყოველგვარ მნიშვნელობასაა მოკლებული. მეტოქეებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი დაკარგული აქვთ. ირლანდიელმა მიმომხილველებმა ნაკრებში დანიშვნა უწინასწარმეტყველეს ვეტერან ინგლისელ მწვრთნელ **სერ ბობი რობსონს**. რობსონი სტონტონის სამწვრთნელო შტაბის წევრი იყო. ის მთავარი მწვრთნელის მრჩევლად მოღვაწეობდა. ირლანდიური ასოციაციის თავმჯდომარე **ჯონ დელენეი** რობსონთან დაკავშირებულ სპეკულაციებს არ გამოხმაურებია. მიმომხილველებს კი მისი დანიშვნა საეჭვოდ მიაჩნიათ. სერ ბობი ჯანმრთელობას უჩივის. ის სტონტონის მრჩევლადაც ფორმალურად მუშაობდა. ინგლისურმა სააგენტოებმა **ტერი ვენეიბლზის** დანიშვნა ივარაუდეს. ვენეიბლზი ინგლისის ნაკრების ყოფილი დამრიგებელია. ამჟამად ის ეროვნული გუნდის მეორე მწვრთნელად მოღვაწეობს. ვენეიბლზი **სტივ მაკლარენის** მარჯვენა ხელია, მაგრამ თუ ინგლისი ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩება, ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. ირლანდიელებს არსად არ ეჩქარებათ. მათ ოპტიმალური კანდიდატურის შესარჩევად დრო თავზე საყრელად აქვთ.

## ბოლტონი მეგსონს ჩააბარეს

"ბოლტონს" ახალი მწვრთნელი ჰყავს. პრემიერლიგის აუტსაიდერებმა კონტრაქტი "ლესტერის" თავკაც **გარი მეგსონს** გაუფორმეს. მეგსონმა "ბოლტონის" გულისთვის ძველი სამსახური რამდენიმე დღის წინათ მიატოვა. ის სემ ელერდაისის მაგივრობას მომდევნო ორწლინახევრის განმავლობაში გასწევს. ელერდაისის "ნიუკასლში" გადასვლის შემდეგ ბოლტონელებმა მისი ასისტენტი **სემი ლი** დანიშნეს. ლის გუნდისთვის გასული სეზონის ბოლომდე უნდა ეხელმძღვანელა. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დირექტორებმა გარისკეს და ეს სპეციალისტი თანამდებობაზე დატოვეს, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ. გასულ უქმეებზე "ბოლტონს" დროებითმა მწვრთნელმა **არჩი ნოქსმა** უხელმძღვანელა. ზეგ მეგსონის დებიუტი "ასტონ ვილასთან" კალენდარულ შეხვედრაში შედგება. გუშინ ახალი მწვრთნელი პორტუგალიურ "ბრაგასთან" უეფას თასის მატჩს დაესწრო. 48 წლის მეგსონის ყველაზე დიდ წარმატებად პრემიერლიგაში "ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" ორჯერ ალზევება ითვლება. სხვადასხვა დროს მას "ნორვიჩში", "ბლექპულსა" და "ნოტინგემ ფორესტშიც" უმუშავია.

## რაიტ-ფილიპსი უკმაყოფილოა

ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში "ჩელსიმ" "შალკე" აუღელვებლად დაამარცხა (2:0). **ავრაამ გრანტი** პოზიციებს დღითიდღე იმტკიცებს. მან გერმანელებთან მატჩის 18-კაციან განაცხადში **შონ რაიტ-ფილიპსი** არ შეიყვანა. ახალგაზრდა გარემარბმა უკმაყოფილება ვერ დამალა და მწვრთნელი საჯაროდ გააკრიტიკა. რაიტ-ფილიპსს ეს აღშფოთება, შეიძლება, ტრანსფერზე დაყენების ფასად დაუჯდეს. 26 წლის ფეხბურთელი ლონდონში 2005 წლის ზაფხულში 21 მილიონ გირვანქას გადავიდა. მან ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერა და ვერ შეძლო. ორი სეზონის განმავლობაში შონმა სასტარტოში მხოლოდ 29-ჯერ ითამაშა. თუ რაიტ-ფილიპსი სამსახურის შეცვლას გადაწყვეტს, მას "ტოტენჰემი" და ყოფილი კლუბი, "მანჩესტერ სიტი" დაუკავშირდებიან.



მიკაელ ლაუდრუპი

ხეტაფე

# ლაუდრუპი მადლობას იხდის

## იტალიაში აქამდე გაგდებული ვიქნებოდი

პრობლემებით დამძიმებული "ხეტაფეს" მთავარმა მწვრთნელმა, **მიკაელ ლაუდრუპმა** ესპანელი, დანიელი და იტალიელი ჟურნალისტებისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მადრიდელთა დამრიგებელმა უამრავ საკითხზე ისაუბრა. იმის გათვალისწინებით, რომ "ხეტაფეში" მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმაციებს ყოველთვის ოპერატიულად განვდით, ამჯერად თქვენს ყურადღებას ლაუდრუპის მხოლოდ იმ განცხადებაზე შევაჩერებთ, რომელიც დანიელ სპეციალისტს აქამდე არასოდეს უთქვამს: *"დავრწმუნდი, რომ ესპანეთში მწვრთნელის კვალიფიკაციას ყველაზე დიდ პატივს სცემენ და მის ცოდნას ყველაზე დიდ ხანს ენდობიან. როგორც იცით, ჩემმა გუნდმა პირველი პრიმერადივიზიონური გამარჯვება მხოლოდ გასულ უქმეებზე მოიპოვა. მანამდე ქულას ქულაზე ვკარგავდით. არადა, თამაშის ხარისხის თვალსაზრისით, არავის ჩამოვუვარდებით. მათ შორის, "ბარსელონასა" და "რეალს". მიუხედავად ამისა, შედეგი არცთუ სახარბიელოა. დარწმუნებული ვარ, "ხეტაფე" იტალიური კლუბი რომ ყოფილიყო, თანამდებობიდან ძალიან დიდი ხნის დათხოვნილი ვიქნებოდი. აპენინელთა პრაგმატიზმი მწვრთნელებს მხოლოდ ერთ შანსს აძლევს. აქ კი გაცილებით უფრო ადამიანური სიტუაციაა. ცხადია, ჩვენს პრეზიდენტს წაგებათა სერია არ სიამოვნებს, მაგრამ ის მეუბნება, რომ გუნდს სწორად ვმართავ და მთხოვს არაფრის მეშინოდეს. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მაშ, გაუმარჯოს ესპანეთს, სადაც მწვრთნელებს ფრთების გასაშლელად გაცილებით მეტ დროსა და სივრცეს აძლევენ."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# რობინიო პატიებას ითხოვს

## 19 იანვარს ალფრედო დი სტეფანოს მეფურ საღამოს აჩუქებენ



რობინიომ ბოდიში ორი გოლით მოიხადა

ოთხშაბათს, მადრიდის "რეალმა" ჩემპიონთა ლიგაში მორიგი გამარჯვება იზეიმა. ბევრისთვის მოულოდნელად, მასპინძლებს სამი ქულის მოპოვება ძალიან გაუჭირდათ. რომ არა რობინიოს ფანტასტიკური თამაში სამეფო კლუბი სერიოზულ უსიამოვნებას ვერ ასცდებოდა. თავად განსაჯეთ, ბრაზილიელმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა. გარდა ამისა, პენალტი აიკიდა და ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა. დაგვეთანხმებით, ახალგაზრდა სამხრეთამერიკელს მატჩის გმირის წოდება სრულიად დამსახურებულად მიანიჭეს.

**რობინიოსთვის** აღიარება და გულშემატკივრების ტაში ისეთი საშური იყო, როგორც არასოდეს. შეგახსენებთ, გასულ კვირაში მას **ბერნდ შუსტერთან** სერიოზული კონფლიქტი შეემთხვა. ამის მიზეზი ბრაზილიის ნაკრებიდან მადრიდში გვიან დაბრუნება გახდა. იცით, რომ გერმანელმა სპეციალისტმა შეგირდისგან ახსნა-განმარტება მოითხოვა. ამის შემდეგ ესპანურმა პრესამ გვამცნო, რომ მწვრთნელმა და ფეხბურთელმა ყველაფერი გაარკვიეს. აშკარად მისასალმებელი ფაქტია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რობინიოს დაგვიანების თაობაზე ფართო საზოგადოებისთვის გუშინდლამდე აბსოლუტურად არაფერი უთქვამს. "რეალის" ფორვარდმა მასმედიის მაღალი შეფასებით დიდად გაიხარა და ჩათვალა, რომ ეს ის მომენტი იყო, როცა საგანგებო პრესკონფერენცია უნდა გაემართა და ქომაგებისთვის გული გადაეშალა: "მოდით, ყველაფერზე გულწრფელად ვისაუბროთ. დაძაბულობა ჯერ კიდევ მაშინ იგრძნობოდა, როცა სამშობლოში 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის მოსამზადებლად მივემგზავრებოდი. ბევრი აცხადებდა, რობინიოს ხელფასს "რეალი" უხდის და გაგანია სეზონზე მისი შორს წასვლა მიზანშეწონილი არ არისო. კეთილი, ეს კონკრეტული ადამიანების მოსაზრებაა, მაგრამ "სელესაოში" წასვლის გამო ბოდიშს ვერ მოვიხდი. მე ბრაზილიელი ვარ. ბრაზილიაში დავიბადე, იქ გავიზარდე და ფეხბურთის თამაშიც ბრაზილიაში ვისწავლე. ამიტომ, თავს მოვალედ ვთვლი, ჩემს სამშობლოს ყოველთვის ვემსახურო, როცა კი დავჭირდები. "სელესაოს" დათქმულ დროს შევუერთდი. მოკლედ, ამ თვალსაზრისით, არაფერი დამიშავებია. პირიქით, აბსოლუტურად სწორად მოვიქეცი... მაგრამ პრობლემა მადრიდში დაბრუნებისას შეიქმნა. სამწუხაროდ, ექვსი საათით გვიან ჩამოვფრინდი. აი, ამის გამო კი ნამდვილად ბოდიში მაქვს მოსახდელი. გულშემატკივრებს ვთხოვ მაპატიონ. მართალია, ჩემი ბრალი არ იყო. ახლა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მაინც ვიტყვი. თვითმფრინავი გრაფიკიდან ამოვარდა. აეროპორტში შეფერხებით მუშაობდნენ. რა თქმა უნდა, მე აბსოლუტურად უძლური ვიყავი, თუმცა შემეძლო კლუბში დამერეკა და ხელმძღვანელობა საქმის კურსში ჩამეყენებინა. ვაღიარებ, ნომრის აკრეფვა დამავიწყდა. ამასთან, მახსოვდა, რომ მომდევნო ტურის მატჩი არა შაბათს, არამედ კვირას გვქონდა. ვფიქრობდი, თამაშისთვის მომზადებას მაინც მოვასწრებთ-მეთქი. ბერნდ შუსტერი გაკვირვებული დამხვდა. მან სასაუბროდ კაბინეტში დამიბარა. ჩვენ ყველაფერზე გულწრფელად ვილაპარაკეთ. მწვრთნელმა მითხრა, რომ პრეტენზია აღარ აქვს. იმედია, მსგავსი რამ აღარასოდეს მოხდება."

რობინიოს აღსარება ყველამ დიდი ინტერესით მოისმინა, თუმცა ჟურნალისტებს გავრცელებული ჭორებიც არ დავიწყებიათ. ბრაზილიურ პრესაში ეწერა, რომ რობინიომ ნაკრებიდან გათავისუფლების შემდეგ ერთ-ერთ სასტუმროში სექსუალური ორგია მოაწყო და ესპანეთში დაბრუნება ამიტომაც დააგვიანა. სამეფო კლუბის თავდამსხმელი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს: "ასეთი ცილისწამებების მოსმენის შემდეგ სურვილი მიჩნდება, რომ ყველას საკადრისი პასუხი გავცე, მაგრამ საუბედუროდ, დრო არ მაქვს. წარმოდგენა არ მაქვს, რატომ გამივრცელეს ეს ჭორი. აეროპორტში დროულად გავემგზავრე. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, შეუძლია რეგისტრაციის გავლის დრო გადაამოწმოს. რა გაეწყობა, იძულებული ვარ, ნერვები მოვთოკო და პროვოკაციებს არ ავყვე. დაგვიანების გამო თავს არ ვიმართლებ, თუმცა იმასაც ვერ დავიბრალებ, რაც არ გამიკეთებია. იმედია, გულშემატკივრებს სჯერათ ჩემი. მათ ნახეს, რომ "ოლიმპიაკოსთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში თავი არ დამიზოგავს. გამიმართლა და ორი გოლი შევაგდე. მერწმუნეთ, "რეალისთვის" ძალ-ღონეს არასოდეს ვიშურებ. ამ გუნდის მადლიერი ვარ, რადგან მან მსოფლიო ფეხბურთის ავანგარდში ყოფნის შესაძლებლობა მომცა."

ამასაობაში, მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ **ალფრედო დი სტეფანოს** პატივსაცემად პომპეზური ღონისძიების გამართვის თარიღი დაასახელა. ლეგენდარულ ფეხბურთელს 19 იანვარს მიაგებენ პატივს. პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** ამბობს, რომ ეს საუკეთესო დროა, რადგან მომდევნო დღეს, "რეალს" "ვისენტე კალდერონზე" "ატლეტიკოსთან" დედაქალაქურ დერბიში დაპირისპირება მოუწევს. კალდერონი დარწმუნებულია, რომ ბიჭები "როხიბლანკოს" მოუგებენ და საპატიო პრეზიდენტი, დონ ალფრედო დი სტეფანო კიდევ უფრო კარგ ხასიათზე დადგება. მადრიდელებმა ღონისძიებაზე ფიფასა და უეფას პრეზიდენტები დაპატიჟეს. აღსანიშნავია, რომ მოსაწვევები პირველად სწორედ **იოზეფ ბლატერსა** და **მიშელ პლატინის** გაუგზავნეს.

19 იანვარს, სამეფო კლუბის ბაზაზე დი სტეფანოს ძეგლის პრეზენტაციას მოაწყობენ. მონუმენტი 2.5 მეტრის სიმაღლისაა და 500 კილოგრამს იწონის. რა თქმა უნდა, სადღესასწაულო ღონისძიება ამით არ შემოიფარგლება. კალდერონს დიდი გეგმები აქვს. ამ დღისთვის ის მადრიდში უამრავი თაობის სახელგანთქმულ საფეხბურთო მოღვაწეს მიიწვევს. ფაქტობრივად, ყველას ვისაც სენიორ დი სტეფანოსთან რაიმე შეხება ჰქონია. 19 იანვარს მადრიდელები არაერთ ლეგენდარულ ფეხბურთელსა და მწვრთნელს იხილავენ. **პელე, მარადონა, კრუიფი, კოპა, ხენტო, ზიდანი**... ეს გენიოსები, ცხადია, ბატონი ალფრედოს გვერდით იქნებიან. როგორც ამბობენ, კალდერონი იმ პრეზიდენტებსაც დაპატიჟებს, რომელთა მმართველობის დროს ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთს თამაშობდა და მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა. უფრო მეტიც, ღონისძიებას მსაჯების სოლიდური შემადგენლობაც დაესწრება. გასაკვირი არ არის, რომ ამ ღონისძიების გამოტოვება არავის სურს.

ღონისძიების ფარგლებში "სანტიაგო ბერნაბეუზე" ალფრედო დი სტეფანოზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის პრემიერას მოაწყობენ. ბოლოს კი მის მიერ დაწერილ წიგნსაც გამოამზეურებენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**




შტუტგარტის ფეხბურთელები თავჩაქინდრულები დადიან

"შტუტგარტი" გერმანიის ყველა დროის ყველაზე სამარცხვინო ჩემპიონის იარლიყს უკვე ველარ მოიშორებს - ფაქტია, რომ შვაბები მიმდინარე სეზონში ისეთს ველარაფერს გააკეთებენ, დამსახურებული ქებით დღემდე ნაჩვენები ამაზრზენი შედეგები რომ გადაწონონ. "ლიონთან" მარცხის შემდეგ, გერმანიის სენსაციური ჩემპიონის ერთადერთი ამოცანაა გადარჩენაა. რამდენადაც დიდი იყო ეიფორია გაჩემპიონებისას, იმდენადვე დიდია იმედგაცრუება და ქაოსი დღეს, როცა VFB ბუნდესლიგაში მე-14 ადგილზეა, ჩემპიონთა ლიგაში კი სამიდან სამი თამაში აქვს წაგებული.

რატომ დაემართა "შტუტგარტს" იგივე, რაც "ჰამბურგს" გასულ სეზონში? მართალია, შარშან HSV ჩემპიონი არ იყო, მაგრამ განა ვინმე იტყვის, რომ "შტუტგარტი" "ჰამბურგზე" ძლიერი

შტუტგარტი

# მაისტერ კაპუტ!

## შარშან ჰამბურგი, წელს შტუტგარტი... და ამათ ჰქვიათ ჩემპიონები?

გუნდია? იმის შიში, რომ "დოიჩე მაისტერი" ჩემპიონთა ლიგაზე და ბუნდესლიგაზე ძალებს ვერ გადაანაწილებდა და ორი კურდღლის დევნაში საერთოდ ხახამშრალი დარჩებოდა, გერმანელ ექსპერტებს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდათ, როცა ეს გუნდი "ვერცხლის სინის" მოპოვებას ზეიმობდა. ახლა კი, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოხდა ის, რაც ნამდვილად მოსალოდნელი იყო, წაგებული კი, ამ ყველაფრიდან ისევ და ისევ გერმანული ფეხბურთია. და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ სეზონში "შტუტგარტსაც" ისეთივე გზის გავლა მოუწევს, როგორიც შარშან "ჰამბურგმა" გაიარა.

"ლიონთან" წაგების შემდეგ, გერმანელი ჟურნალისტები ყველაზე მეტად კაპიტან **ფერნანდო მეირას** შემოსწყრნენ. მიზეზი ის გახლდათ, რომ პორტუგალიელმა მცველმა საფინალო სასტვენის შემდეგ, მორიგი სამარცხვინო მარცხის კომენტირება არ ისურვა, მედიის წარმომადგენლებს თავი აარიდა და სტადიონიდან ისე გაუჩინარდა, რომ მისთვის თვალი არავის მოუკრავს. არადა, სწორედ მეირა გახლდათ ის კაცი, ვინც თამაშის წინ ყველაზე მეტს იქადნებოდა. იმ დროს, როცა მისი თანაგუნდელები თავის მართლებით იყვნენ დაკავებულები და ისედაც ცუდ ხასიათზე მყოფნი, ჟურნალისტების მწარე კითხვებს ნაძალადევად პასუხობდნენ, კაპიტანი სამშვიდობოს იყო და ეს საქციელი მას დიდ დანაშაულად ჩაეთვალა. თუმცა გუნდის მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** მეირა კიდევ ერთხელ გაამართლა - ხანდახან არის მომენტები, როცა უბრალოდ არაფერი გაქვს სათქმელი და ლაყბობას ისევ ის ჯობია, რომ ენას კბილი დააჭიროო. მეორე დღეს კი, მწვრთნელმა **არმინ ფეემ** ქაოსით მოცული და სასოწარკვეთილი გუნდი ბაზაზე შეკრიბა და ბიჭებს 75 წუთიანი ლექცია წაუკითხა.

მიმდინარე წლის 19 მაისს ფეე და ჰელდტი ალბათ მსოფლიოში უბედნიერესი ადამიანები იყვნენ, რადგან ამ დუეტმა გუნდი, რომელსაც სამეულში მოხვედრასაც ძნელად თუ უწინასწარმეტყველებდა ვინმე, ყველასათვის მოულოდნელად, გერმანიის ჩემპიონი გახადა. 19 მაისიდან ზუსტად 5 თვის შემდეგ კი, ფეესა და ჰელდტის წყვილი სასოწარკვეთილია. "ლიონთან" წაგება გერმანიის ჩემპიონისთვის ზედიზედ მეხუთე მარცხი იყო და შტუტგარტში მდგომარეობა უკვე დრამატულია. ფეე და ჰელდტი კარგი მეგობრები არიან, ეს მწვრთნელი გუნდში სწორედ ამ მენეჯერმა მიიყვანა და მას ნდობა გამოუცხადა, მაგრამ ფაქტია, რომ ცოტაც და გერმანიის წლის საუკეთესო სპეციალისტად შერაცხული მწვრთნელი უმუშევარი დარჩება. შაბათს VFB "ლევერკუზენს" მასპინძლობს, ოთხშაბათს კი, გერმანიის თასზე **დავით სირაძის** მეორებუნდესლიგურ "პადერბორნს" შეხვდება. საკმარისია, უმძიმეს კრიზისში მყოფმა ჩემპიონმა ეს ორი თამაში დათმოს (ან ვერცერთი ვერ მოიგოს), რომ ჰელდტი იძულებული გახდება, ფეეს კარისკენ მიუთითოს. მართალია, მენეჯერი ჯერაც იმ აზრზეა, რომ რაკი ბედნიერების ჟამს ერთად ვიყავით, უბედურებაც ერთად უნდა გადავიტანოთო და მაქსიმალურად ცდილობს, რომ მწვრთნელზე არ ისაუბროს, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ ასეთ ამბებს არა მთელი გუნდი ან ხელმძღვანელობა, არამედ ყოველთვის მწვრთნელი ეწირება ხოლმე. გუნდში შექმნილი ვითარება ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა - "შტუტგარტი" ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მკვდარია.

ზაფხულში ნაყიდმა ფეხბურთელებმა იმედები ვერ გაამართლეს. მაგალითად, **ჩიპრიან მარიკა**, რომელიც გუნდის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა, მიმდინარე სეზონში ჯერაც უგოლოდაა, **ილდირაი ბაშთურქს** ყველა თამაშში მთელი სტადიონი უსტვენს, ბრაზილიელ **ევერტონს** კი ჭარბი წონა აქვს (!). ცხადია, თუ არაფერი გამოსწორდა, ამ ყველაფერს მწვრთნელი უნდა შეეწიროს და უნდა შეგახსენოთ, რომ 2006 წლის ზამთარში, როცა ჰელდტმა მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან **ჯოვანი ტრაპატონი** დაითხოვა, მისი კომენტარი ასეთი იყო, ტრაპი გენიალური პიროვნება და უდიდესი მწვრთნელია, მაგრამ ახლა საქმე სახელს კი არა, გუნდს ეხება და მთავარი სწორედ გუნდიაო. დღესდღეობით ამ კონტექსტში ფეეს გვარიც იდეალურად ჯდება, რადგან ეს უკანასკნელიც ფეეს ახლო მეგობარი და შესაბამისად "კარგი ადამიანი", ზაფხულს აქეთ კი, დიდი მწვრთნელიცაა...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

# გამარჯვებული მწვრთნელი გუნდიდან წავიდა!




## A ჯგუფი

### ბეშიქთაში-ლივერპული 2:1

**ბეშიქთაში:** ჰაქან არიქანი, ალი, გიოქან ზანი, იბრაჰიმ თორამანი, იბრაჰიმ უზულმეზი, სერდარი ქურთულუში (42. ქორაი), ე. სისე, ტელო, სერდარ ოზქანი, დელგადო (63. ფ. იგუაინი), ბობო (86. დიატა).

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, კარაგერი, ჰიიპია (83. კრაუჩი), რიისე, პენანტი (59. ბენაიუნი), ჯერარდი, მასკერანო (76. ლეივა), ბაბელი, ვორონინი, კუიტი.

**გოლები:** 1:0 ჰიიპია (13-საკ. კარში), 2:0 ბობო (82), 2:1 ჯერარდი (85)

**მაყურებელი:** 32 145

**არბიტრი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)

სტამბოლში მარცხმა "ლივერპულის" საპლეიოფო შანსები დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. თუკი ჩემპიონთა ლიგის ბოლო ფინალისტი შინაურ ფრონტზე ჯერაც წაუგებელია, ევროარენაზე უკვე მეორე მარცხი იგემა. "ლივერპულს" რალაც სჭირს. მაგალითად, **სემი ჰიიპიამ** ამ ხუთ დღეში მეორე ავტოგოლი მიითვალა. ვფიქრობთ, ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. ცხადია, ამ ლაფსუსმა თამაშის სცენარი ძირფესვიანად შეცვალა...

თურქებმა, რომლებიც აქამდე უქულოდ და უგოლოდ იყვნენ, თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს. პირველი მომენტი "ბეშიქთაშს" უკვე მე-3 წუთზე ჰქონდა, როცა **სერდარ ქურთულუშმა** ოდნავ ააცილა მიზანს. ჰიიპიას გოლმა კი თითქოს მშვიდი "ლივერპული" საგრძნობლად გამოაცოცხლა. **რაფა ბენიტესის** შეგირდები დიდი ძალებით გადავიდნენ შეტევაზე და **ჰაქან არიქანსაც** ბევრი საქმე გაუჩნდა. მან ჯერ **ვორონინისა** და **რიისეს** დარტყმები მოიგერია, მერე კი **ჯერარდისა** და **კუიტის** კომბინაცია დროულად ჩაშალა.

ამ განწყობით დაიწყო "ლივერპულმა" მეორე ტაიმიც. თუმცა მასირებულმა იერიშებმა მატერიალურ უპირატესობაში ასახვა ვერ ჰპოვა. მაგალითად, კარგი მომენტი ჰქონდა ჯერარდს, რომელმაც ვორონინის გადაცემის შემდეგ მიზანში ვერ მოარტყა. მერე, ბენიტესმა მოედანზე **ბენაიუნი** შეუშვა. ამ უკანასკნელმა იმავე ჯერარდს კარგი მომენტი შეუქმნა, მაგრამ ამჯერზეც არიქანმა იმარჯვა...

ამასობაში, "ბეშიქთაშის" მეორე გოლიც გამოცხვა. სხვათა შორის, ამ ეპიზოდშიც ჰიიპია შეცდა. მან ვერ შეაჩერა **ბობო**, რომელიც **რეინასთან** პირისპირ გავიდა და ბურთი ფეხებშუაც გაუტარა. ეს უკვე დაცინვა იყო და ეტყობა, "ლივერპული" სინდისმა ნამეტანი შეაწუხა. ბენიტესმა აჭრილი ჰიიპია **კრაუჩით** შეცვალა (ალბათ, დაგვიანებით). ერთ-ერთი იერიშის დროს, ჯერარდმა, დაახლოებით საჯარიმოს ხაზიდან, თავურით ბურთი "ცხრიანში" გაახვია. მთლად საფინალო სასტვენის წინ კი "წითლების" უაღრესად მწვავე შეტევა ლამის მეორე გოლით დასრულდა, მაგრამ როგორც დასრულდა, ასე უფრო სამართლიანი იყო. თამაშის სწორი ორგანიზაციისა და კონცენტრირებულობის წყალობით, "ბეშიქთაშმა" აბსოლუტურად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

მიუხედავად მეორე მარცხისა, **რაფა ბენიტესს** იმედი ჯერ არ დაუკარგავს: *"კონკრეტულად იმაზე, თუ რატომ წავაგეთ, გუნდთან ერთად ვისაუბრებ. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ არ გაგვიმართლა, თუმც უხეში შეცდომებიც დავუშვით. ახლა ჩვენი მთავარი ობიექტივი მომავალი მატჩია, რომელიც ყოველ მიზეზგარეშე უნდა მოვიგოთ. ვფიქრობ, პლეიოფში გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და შესაძლოა, საამისოდ 7 ქულაც გვეყოს".*

"ბეშიქთაშის" მწვრთნელი **ერთუგრულ საგლამი** კი უფრო შორს წავიდა: *"ჩვენ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაც შეგვიძლია. ჩემი აზრით, დარჩენილ სამ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმის აღება სრულიად რეალურია".*

ბარემ დავამატებთ, რომ საგლამი დისკვალიფიცირებული იყო და თამაშს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალ-ყურს. წინა ტურში მას სამწვრთნელო სკამი უხეში პროტესტის გამო დაატოვებინეს...

### მარსელი-პორტუ 1:1

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ზუბარი, ფატი, ჟივე (68. ჟივე), კანა, შეირუ, ნიანგი, ვალბუენა, ზენდენი (55. არაში), ჯ. სისე (88. აიევი)

**პორტუ:** ელტონი, ბოსინგვა, ბრუნო ალვეში, სტეპანოვი, ფუჩილე, ლუჩო გონსალესი, პაულო ასუნსაო, რაულ მეირელესი (72. ლეანდრო ლიმა), კვარეშმა, ლისანდრო ლოპესი, მარიანო გონსალესი (46. ელდერ პოშტიგა).

**გოლები:** 1:0 ნიანგი (69), 1:1 ლუჩო გონსალესი (80-პენ)

**მაყურებელი:** 34 000

**არბიტრი:** მანუელ მ. გონსალესი (ესპანეთი)

მატჩის წინ ორივე გუნდის მწვრთნელი არ მალავდა, რომ მშვიდობიანი შედეგი სრულიად მისაღები იქნებოდა. ასეც მოხდა, მაგრამ ნამატჩევს, შეცდომებს **ერიკ გერეტსიც** ნანობდა და **ჟეზუალდო ფერეირაც** - აქაოდა, გამარჯვება დაგვხატავდაო...

სტარტი აშკარად სტუმრებისა იყო. შეიძლება ითქვას, "მარსელის" დაცვას **კვარეშმას** გასანეიტრალებლად ეფექტური იარალი არ აღმოაჩნდა. ერთ ეპიზოდში, პორტუგალიელმა დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა **პაულო ასუნსაო**, რომლის დარტყმამ ხარიხას გადაუფრინა. მერე "პორტუს" კიდევ ერთი შანსი ჰქონდა. აქ სულაც ანგარიშის გახსნა შეიძლებოდა. **ბოსინგვამ** ზუსტად გადააწოდა **მეირელეშს**, მაგრამ დარტყმა ძელმა მოიგერია.

"მარსელის" რიგებში **ნიანგი** გამოირჩეოდა და ნიშანდობლივია, რომ გოლიც მანვე გაიტანა. მაგრამ მანამდე **ზენდენის** ძალიან სახიფათო ჯარიმა და **პოშტიგას** სოლო-რეიდი იყო. რაც შეეხება ნიანგის გოლს, ამ შემთხვევაში, "პორტუს" დაცვა უნდა დავადანაშაულოთ. ჯერ **ჯიბრილ სისე** დატოვეს ფლანგზე, რასაც კარის წინ ჩაწოდება მოჰყვა, და მერე ვერც ნიანგს შეუშალეს ხელი იმაში, რომ ამ უკანასკნელს ახლო მანძილიდან არ შეეგორებინა ბურთი **ელტონის** კარში.

ბოლოს, "მარსელს" საქმე მეკარემ გაუფუჭა. **მანდანდამ** კარისკენ გაჭრილი **ლისანდრო ლოპესი** აკრძალული ილეთით შეაჩერა და წითელ ბარათს კი გადაურჩა, მაგრამ პენალტს ვერა - **ლუჩო გონსალესმა** ზუსტად დაარტყა მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში და **მანუელ მეხუტო გონსალესმა** ხელი ფრეზე მოაწერა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. პორტუ | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 3. ბეშიქთაში | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. ლივერპული | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

6 ნოემბერი

**ლივერპული-ბეშიქთაში**

**პორტუ-მარსელი**

## B ჯგუფი

### რუსენბორგი-ვალენსია 2:0

**რუსენბორგი:** ჰირშფელდი, სტრანდი (86. სტოორი), კვარმე, რიზეტი, დორსინი, ივერსენი, სკილბრედი, ტეტეი, საპარა, ტრაორე, კონე (80. სტორფლორი).

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი (78. ანგულო), ალბიოლი, ივან ელგერა, მორეტი, ხოაკინი, ალბელდა, მარჩენა (67. ბარახა), გავილანი (67. ჟიგიჩი), სილვა, მორიენტესი.

**გოლები:** 1:0 კონე (53), 2:0 რიზეტი (61)

**მაყურებელი:** 21 000

**არბიტრი:** კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

საკუთარ მოედანზე, "ესპანიოლთან" და "ჩელსისთან" წაგებების შემდეგ, "ვალენსიამ" პრიმერადივიზიონში "დეპორტივოსთან" ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვა და ის-ის იყო, "ლამურების" გულშემატკივრებმა იფიქრეს, გუნდმა თავისი თამაში იპოვაო, რომ **კიკე სანჩეს ფლორესის** ბიჭებმა კვლავ სამარცხვინო მარცხი განიცადეს - ამჯერად ჯგუფის აუტსაიდერად შერაცხულ "რუსენბორგთან", რომელიც, როგორც ჩანს, კიდევ არაერთ სენსაციას მოახდენს.

თამაში საკმაოდ ინერტულად დაიწყო და როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ინიციატივის დაუფლებას "ვალენსია" უფრო ცდილობდა, ვიდრე "რუსენბორგი". პირველი სახიფათო მომენტიც სწორედ სტუმრებმა შექმნეს: **ხოაკინმა** იდეალური პასით **მორიენტესი** მოძებნა, მაგრამ ამ უკანასკნელის დარტყმის შემდეგ ბურთი ნორვეგიელთა კარის ძელს მცირე მანძილით ასცდა. მასპინძლები მიხვდნენ, რომ მეტოქისთვის უპირატესობის დათმობა არ შეიძლებოდა და უფრო აგრესიულად ათამაშდნენ, რამაც შედეგი გამოიღო - "ვალენსია" ვერ გახდა მოედნის ბატონ-პატრონი. "რუსენბორგმა" კი ძალიან მალე და საკმაოდ იოლად შექმნა საგოლე მომენტი: ერთობ ჩვეულებრივი კომბინაციის შედეგად **ტრაორე** დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, მაგრამ ბურთი კარს ზემოდან გადააცილა. ორიოდ წუთში იმავე ტრაორეს მეორე შანსი მიეცა, მაგრამ ამჯერად უკვე **კანისარესმა** იმარჯვა. გუნდები შეტევებში ისე გაერთვნენ, რომ დაცვაზე ზრუნვა გადაავიწყდათ, რამაც ორივე მხარეს რამდენიმე საინტერესო შეტევების განხორციელების საშუალება მისცა: ჯერ **ალბელდას** შეეძლო სტუმრების დაწინაურება, მერე კი **კონეს** ჰქონდა კარგი შანსი. აღსანიშნავია, რომ "რუსენბორგი" უპირატესობას ფლანგებიდან შეტევას ანიჭებდა, "ვალენსია" კი მეტწილად ცენტრიდან ცდილობდა ნორვეგიული კლუბის უკანა ხაზის გარღვევას. პირველი ტაიმის მიწურულს "რუსენბორგის" უპირატესობა უკვე აშკარა გახლდათ, მაგრამ გოლთან უფრო ახლოს მაინც "ვალენსია" იყო - სანჩეს ფლორესის შეგირდებმა ორი შესანიშნავი კონტრშეტევა განახორციელეს, მაგრამ უშედეგოდ.

რა უთხრეს მწვრთნელებმა თავიანთ შეგირდებს შესვენებაზე, ეს, რა თქმა უნდა, საიდუმლოდ დარჩება, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ მეორე ტაიმი ორივე გუნდმა თავზეხელაღებულად, უსწრაფეს ტემპში დაიწყო. ხოაკინს "ვალენსიის" დაწინაურება მართებდა, მაგრამ ისევ ვერ ივარგა (**ჰირშფელდმა** აულო), რისთვისაც ესპანელები მალე დაისაჯნენ: 53-ე წუთზე **დორსინმა** მარცხენა ფლანგზე გაინავარდა და კონე მოძებნა, რომელსაც კანისარესის დამწუხრება არ გასჭირვებია - 1:0. ზუსტად 8 წუთში "რუსენბორგმა" მეორე გოლი გაიტანა: ნორვეგიელებმა კუთხური ჩააწოდეს, კანისარესის საჯარიმოში შექმნილი არეულობით კი **რიზეტმა** ისარგებლა, ყველას დაასწრო და სხვაობა ორამდე გაზარდა. 2:0 უკვე ის ანგარიში გახლდათ, რომელიც მასპინძლებმს სავსებით აკმაყოფილებდა და ამრიგად, "რუსენბორგმა" უკან დაიხია და დაცვას მიხედა, რაც საფინალო სასტვენამდე იმდენად კარგად გამოუვიდა, რომ გოლი არ მიუღია.

ამრიგად, აუტსაიდერად შერაცხული "რუსენბორგი", სამი ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა და რაკი ლონდონიდან ქულა წაიღო, ახლა კი "ვალენსიას" დაატოვებინა 3 ქულა, ნორვეგიელებს მერვედფინალში გასვლის ჩინებული შანსი აქვთ.

**კიკე სანჩეს ფლორესი:** *"გაშვებული გოლის შემდეგ მივხვდი, რომ ამ თამაშს ველარ მოვიგებდით, მანამდე კი იმის იმედი მქონდა, რომ გაგვიმართლებდა. ამის მიზეზი ის არის, რომ მეტოქემ დღეს ყველა ასპექტში დაგვჯაბნა."*

რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, მატჩის შემდეგ "რუსენბორგის" მთავარმა მწვრთნელმა **კნუტ ტერუმმა** თანამდებობა დატოვა. თუმცა თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ "რუსენბორგი" ნორვეგიის ჩემპიონატში ძალიან ცუდად ასპარეზობს და მეექვსე ადგილზეა, მწვრთნელის ასეთი გადაწყვეტილება აღარ გაგვაკვირვებს. *"მთავარი გუნდია და მეც ამ პრინციპით ვხელმძღვანელობ. მე არ ვარ ის კაცი, რომელიც ყველა ღონეს იხმარს, რათა თანამდებობა შეინარჩუნოს. ნორვეგიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილი გვიჩვენებს, რომ "რუსენბორგს" ძალიან ცუდი წელიწადი ჰქონდა. ამიტომაც მივდივარ,"* - განაცხადა ტერუმმა.

### ჩელსი-შალკე 2:0

**ჩელსი:** ჩეხი, პაულო ფერეირა, რიკარდო კარვალიო, ალექსი, ბრიჯი, ჯ. კოული (89. შევჩენკო), მაკელელე, ესიენი (70. ობი მიკელი), ლემპარდი, მალუდა (84. კალუ), დროგბა.

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, როდრიგესი (81. ბაირამოვიჩი), ერნსტი, გროსმიულერი (77. აზაუაგი), ჯონსი, ასამოა (61. რაკიტიჩი), კურანი, ლოვენკრანდსი.

**გოლები:** 1:0 მალუდა (4), 2:0 დროგბა (47)

**მაყურებელი:** 40 910

**არბიტრი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

თამამად შეიძლება ითქვას, რომ "შალკე" "ვალენსიასა" და "ჩელსიზე" უკეთეს მდგომარეობაშია იმ მხრივ, რომ გელზენკირხენული გუნდი ერთადერთია ამ ჯგუფში, რომელსაც "რუსენბორგთან" 6 ქულის მოპოვება შეუძლია (მეორე ტურში სწორედ ნორვეგიიდან წაიღო 3 ქულა). შეგახსენებთ, რომ "ჩელსიმ" პირველ ტურში "რუსენბორგს" ლონდონიდან ქულა გაატანა. მაგრამ **ლევან კობიაშვილის** გუნდს "ვალენსიასთანაც" წაგებული აქვს (პირველ ტურში) და ახლა ლონდონშიც დამარცხდა, რაც, თამამად შეიძლება ითქვას, პირველ რიგში, "ხუმარების" მეკარე **მანუელ ნოიერის** ბრალია, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან არასტაბილურად გამოიყურება და შეცდომებს ხშირად უშვებს.

**ავრაამ გრანტმა ტერი** და **ეშლი კოული** მოისაკლისა და 2 ცვლილებას მიმართა: **ბელეტისა** და **ობი მიკელის** ნაცვლად, **ბრიჯი** და **მაკელელე** ათამაშა. "შალკეს" თავკაც **მირკო სლომკას** კი ბოლო მომენტში **კევინ კურანი** გამოაკლდა, რომლის ნაცვლადაც "სტემფორდ ბრიჯზე" **სიორენ ლარსენმა** ითამაშა. შალკელები ამ მატჩისთვის ძალიან სერიოზულად ემზადებოდნენ და ინგლისში დიდი იმედებით გაემგზავრნენ, მაგრამ დაიწყო თამაში და მხოლოდ და მხოლოდ 4 წუთის შემდეგ "ჩელსი" უკვე იგებდა: **ფლორენ მალუდა** მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა და **რაფინიასთან** კატა-თაგვობანა გაათამაშა (ბრაზილიელი ძალიან დაჩაგრა), რის შემდეგაც კარისკენ არცთუ ისე მძლავრად გაისროლა. ნოიერი დაიხარა, მაგრამ ბურთი ჯერ ხელებშუა გაუძვრა, მერე კი ფეხებს შუა და კარში აღმოჩნდა. გულჩვილ ადამიანს "შალკეს" ახალგაზრდა მეკარე ძალიან შეეცოდებოდა - ნოიერს სახეზე ეწერა, ნეტავ მიწა გამისკდებოდესო.

გატანილი გოლის შემდეგ, "ჩელსი" შედარებით დამშვიდდა, რამაც "შალკეს" წინ წასვლის საშუალება მისცა, მაგრამ სლომკას შეგირდები ხშირად უაზროდ კარგავდნენ ბურთს. 26-ე და 33-ე წუთებზე **ესიენს** სხვაობის გაზრდა შეეძლო, შალკელთაგან კი, 28-ე წუთზე **გროსმიულერი** გამოირჩა, რომელმაც გოლის გატანა მოახერხა, მაგრამ მსაჯმა ამ უკანასკნელზე საკმაოდ საეჭვო თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

"შალკესთვის" მეორე ტაიმიც ისევე კატასტროფულად დაიწყო, როგორც პირველი: 47-ე წუთზე **პაულო ფერეირას** ჩაწოდებას **დიდიე დროგბა** გამოეხმაურა და ანგარიში ორამდე გაზარდა. აღსანიშნავია, რომ ნოიერმა ვერც ამ მომენტში დატოვა სტაბილური მეკარის შთაბეჭდილება. დროგბას გოლის შემდეგ "ჩელსიმ" მეტოქეს მეტი გასაქანი მისცა, მაგრამ ისე, რომ გრანტის შეგირდებს სიტუაციაზე კონტროლი არ დაუკარგავთ. თუმცა მე-60 წუთზე ლარსენის თავური დარტყმის შემდეგ ბურთი **ჩეხის** კარის ძელს მოხვდა. 85-ე წუთზე კი არბიტრს ლონდონელთა კარში პენალტის დანიშვნა მართებდა, როცა ლარსენის დარტყმის შემდეგ ბურთი **ალექსს** ხელზე მოხვდა, მაგრამ მსაჯის სასტვენი დუმდა.

**ავრაამ გრანტი:** *"3 თამაშის შემდეგ 7 ქულა გვაქვს და გულშემატკივრები ალბათ მეტს ითხოვენ და 9 ქულას ისურვებდნენ. თამაშებს ვიგებთ - აი, ეს არის მთავარი!"*

**მირკო სლომკა:** *"ვფიქრობ, უკეთესი შედეგის მიღწევა შეგვეძლო, მაგრამ გოლები ძალიან ცუდ მომენტებში მივიღეთ. საპასუხო შეხვედრაში მოგების იმედი მექნება."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. რუსენბორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 3. ვალენსია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. შალკე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |

6 ნოემბერი

**შალკე-ჩელსი**

**ვალენსია-რუსენბორგი**

# ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## C ჯგუფი

### ვერდერი–ლაციო 2:1

**ვერდერი:** ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი (46. ტოშიჩი), დ. იენსენი, ფრინგსი, დიეგო, ბოროვსკი (73. ანდრეასენი), უგო ალმეიდა, სანოგო (64. როზენბერგი).

**ლაციო:** ბალოტა, ბეჰრამი, სტენდარდო, ძაური, კორალოვი, მუდინგაი, მეგნი (51. დელ ნერო), მანფრედინი, მუტარელი, პანდევი (69. მაკინვა), როკი (82. ტარე).

**გოლები:** 1:0 სანოგო (28), 2:0 უგო ალმეიდა (54), 2:1 მანფრედინი (82)

**მაყურებელი:** 37 500

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია)

ბრემენის "ვერდერმა" შვებით ამოისუნთქა - ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ, **თომას შააფის** შეგირდებმა გულშემატკივრები გაახარეს, "ლაციოსთან" უმნიშვნელოვანესი თამაში მოიგეს და რომაელებს გადაასწრეს. "მუსიკოსებმა" დაპირებისამებრ პირველივე წუთიდან მედგრად შეუტიეს და აღსანიშნავია, რომ ისევ საუკეთესო იყო **დიეგო**, რომელმაც იტალიელებს უამრავი თავსატეხი გაუჩინა.

მატჩის წინ და მატჩის შემდეგ, გერმანელი ჟურნალისტები რომაელთა "მოხუც" კარის დარაჯ **ბალოტას** დასცინოდნენ. და "ლაციოს" კართან შექმნილი პირველი სახიფათო მომენტიც სწორედ 43 წლის მეკარის სინდისზე იყო: ბალოტამ ბურთი პირდაპირ **უგო ალმეიდასკენ** ისროლა, რომელმაც თავით დაარტყა, მაგრამ კარს მცირე მანძილით ააცილა. 28-ე წუთზე დიეგომ გენიალური პასით **ბოუბაკარ სანოგო** მოძებნა, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით გააცურა **ბეჰრამი, ძაური** და მერე ბალოტაც, რის შემდეგაც ბურთი კარში შეაგორა. ეს გახლდათ სანოგოს მე-10 გოლი მე-15 ოფიციალურ შეხვედრაში - ვერაფერს იტყვი, ჩინებული შედეგია. 30-ე წუთზე სიტუაცია ძალიან დაიძაბა: ბრემენელი **დანიელ იენსენი** მინდორზე ეგდო და შველას ითხოვდა. ბრემენელებმა იფიქრეს, რომ იტალიელები ბურთს აუტში გადააგდებდნენ, მაგრამ რომაელებს ეს აზრადაც არ მოსვლიათ და თამაში განაგრძეს. ამისათვის **პასანენმა** იძია შური და ბეჰრამი მოცელა, რისთვისაც მსაჯმა მას ყვითელი ბარათი ამოუღო. პასანენს გაუმართლა, რომ არ გააძევეს.

შესვენებაზე "ვერდერის" გენერალურმა მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** განაცხადა, მეორე გოლი აუცილებლად უნდა გავიტანოთო და ფეხბურთელებმაც მისი თხოვნა ყურად იღეს: 54-ე წუთზე **კლემენს ფრიტცმა** მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, სანოგო ბურთს ასცდა, სამაგიეროდ, ალმეიდამ ივარგა და 15 მეტრიდან მეორედ დალაშქრა ბალოტას კარი. წესით, ამ გოლის შემდეგ "ვერდერი" ძალიან თავდაჯერებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ "მუსიკოსებმა" აურიეს, რასაც ის მოჰყვა, რომ **კოლაროვის** ჯარიმის შემდეგ, **მანფრედინიმ** იმარჯვა და სხვაობა შეამცირა, მაგრამ დარჩენილ 8 წუთში "ლაციომ" ანგარიშის გათანაბრება ვეღარ შეძლო.

**თომას შააფი:** *"ეს არის ჩვენს მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი მერვედფინალისკენ, მეტი არაფერი. იმისთვის, რომ იმედიანად ვიყოთ, რომიდანაც 3 ქულა უნდა წამოვიღოთ, რაც ძალიან ძნელი იქნება."*

**დელიო როსი:** *"ჩემმა გუნდმა კარგად მხოლოდ პირველი 20 წუთის მანძილზე ითამაშა, მერე კი ავირიეთ. წაგება მტკივნეულია, მაგრამ უშანსოდ ნამდვილად არ ვართ. "ვერდერი" რომიდან ხელცარიელი უნდა გავუშვათ."*

### რეალი–ოლიმპიაკოსი 4:2

**რეალი:** კასილიასი, მიჩელ სალგადო (64. ა. იგუაინი), სერხიო რამოსი, მეტცელდერი, მარსელო, რობინიო, გუტი, გახო, სნეიდერი (82. ბალბოა), ვან ნისტელროოი, რაული (88. მიგელ ტორესი).

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, ანცასი, ჟულიო სეზარი, რაულ ბრავო (75. ჟევლაკოვი), გალეტი, პაცაცოღლუ, სტოლტიდისი, კ. რაულ ლედესმა (86. ნუნიესი), პ. ჯორჯევიჩი, ლუა ლუა (72. კოვაჩევიჩი).

**გოლები:** 1:0 რაული (2), 1:1 გალეტი (7), 1:2 ჟულიო სეზარი (47), 2:2 რობინიო (68), 3:2 რობინიო (83), 4:2 ბალბოა (90)

*78-ე წუთზე ვან ნისტელროოიმ ვერ გამოიყენა პენალტი (ააცილა)*

**გაძევება:** ტოროსიდისი (13. ოლიმპიაკოსი)

**მაყურებელი:** 60 000

**არბიტრი:** ტომ ჰ. ოვრებო (ნორვეგია)

"ოლიმპიაკოსმა" დაამტკიცა, რომ ბრემენიდან 3 ქულა შემთხვევით არ წაუღია. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები 75 წუთის განმავლობაში კაცნაკლულები იყვნენ, "რეალის" ქომაგები ძალიან მაგრად ანერვიულეს და თავად განსაჯეთ, "ოლიმპიაკოსი" 68-ე წუთამდე იგებდა!

გუნდებმა თამაში ძალიან ენერგიულად დაიწყეს და 70 წამის შემდეგ, "ოლიმპიაკოსმა" პირველი საგოლე მომენტი შექმნა, რომელიც გამოუყენებელი დარჩა (**სტოლტიდისი**). და ზუსტად ნახევარი წუთის შემდეგ, "რეალი" **რაულმა** დააწინაურა: **ანცასმა** ბურთი **რობინიოს** ჩააბარა, რომელმაც **ვან ნისტელროოი** მოძებნა, ამ უკანასკნელის დარტყმული **ნიკოპოლიდისმა** მოიგერია, მაგრამ დამატებაზე რაულმა ივარგა და ანგარიში გახსნა. მაგრამ სტუმრებმა მე-7 წუთზე წონასწორობა აღადგინეს: **ჯორჯევიჩმა** მარცხენა ფლანგზე გაილალა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბურთს **გალეტი** დახვდა, გააჩერა, დაარტყა და **კასილიასს** მოგერიების შანსი არ დაუტოვა. მე-13 წუთზე მსაჯმა ბერძნებს **ტოროსიდისი** გაუძევა - ამ უკანასკნელზე ვან ნისტელროოისთან ორთაბრძოლაში ბოლო იმედის ჯარიმა დაფიქსირდა. ცხადია, რომ პირველი ტაიმის დარჩენილ დროში მოედანზე "რეალი" დომინირებდა, მაგრამ რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, "ოლიმპიაკოსიც" უტევდა და თანაც საკმაოდ სახიფათოდ.

მეორე ტაიმი უდიდესი სენსაციით, სტუმართა გოლით დაიწყო: ჯორჯევიჩმა ჯარიმა შეასრულა და ბურთი კასილიასის საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ კი, "რეალის" მცველებს **ჟულიო სეზარი** უყურადღებოდ ჰყავდათ დატოვებული, რომელმაც ამით ისარგებლა "ოლიმპიაკოსი" წინ გაიყვანა. ამ გოლმა "რეალი" აშკარად შოკში ჩააგდო. მადრიდელები კი არა, გარკვეული დროის მანძილზე ისევ ბერძნები უტევდნენ, შუსტერის გუნდს კი გონს მოსვლა უჭირდა. 68-ე წუთამდე ბერძნები უდიდეს სენსაციას აცხობდნენ, მაგრამ ხსენებულ დროს რობინიომ მაინც გაათანაბრა ანგარიში.

78-ე წუთზე ვან ნისტელროოიმ პენალტი ვერ გამოიყენა (ააცილა), რამაც "სანტიაგო ბერნაბეუს" პუბლიკას სასო წარუკვეთა, მაგრამ მადრიდულ გრანდს მხსნელად ისევ რობინიო მოევლინა, რომელმაც 83-ე წუთზე მესამე გოლი გაუტანა "ოლიმპიაკოსს". მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე კი, შეცვლაზე შესულმა **ბალბოამ** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა და "რეალს" სამი ქულა მოუტანა.

**ბერნდ შუსტერი:** *"ძალიან ვინერვიულეთ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ვფიქრობ, "ოლიმპიაკოსს" ჯგუფიდან გასვლის სხვა გუნდებზე კარგი შანსი აქვს."*

**პანაიოტის ლემონისი:** *"ყველანი დამწუხრებულები ვართ. ჩემმა გუნდმა დღეს ძალიან კარგად ითამაშა და ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ ფრე მაინც ვერ შევინარჩუნეთ. იმედი მაქვს, რომ დღეს კარგი გამოცდილება მივიღეთ, რაც მომავალში გამოგვადგება."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-5 | 7 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| 3. ვერდერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 4. ლაციო | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |

6 ნოემბერი

**ოლიმპიაკოსი–რეალი**

**ლაციო–ვერდერი**

## D ჯგუფი

### ბენფიკა–სელტიკი 1:0

**ბენფიკა:** კუიმი, მაქსი პერეირა, ლუიზაო, კაცურანისი, ლეო, ნუნუ ასისი (62. დი მარია), ბინია, რუი კოშტა, კრისტიან როდრიგესი (84. ლუიშ ფილიპე), ბერხესო (61. ადუ), ოსკარ კარდოსო.

**სელტიკი:** ბორუცი, გ. კოლდუელი, კენედი, მაკმანუსი, ნეილორი, იაროშიკი, ს. ბრაუნი, ჰარტლი, დონატი (63. სნო), მაკგიდი, კილენი (74. მაკდონალდი).

**გოლი:** 1:0 ოსკარ კარდოსო (87)

**მაყურებელი:** 39 000

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

"ბენფიკამ" პირველი გამარჯვება მოიპოვა და ბოლო ადგილს თავი დააღწია. მატჩის დიდი ნაწილი საშუალო ტემპში წარიმართა, ეგ იყო, რომ მასპინძელი მეორე ნახევარში უფრო აგრესიული გახდა. თუკი პირველ ტაიმში "სელტიკიც" უტევდა, შესვენების შემდეგ თამაში ძირითადად მის ნახევარზე მიმდინარეობდა. პორტუგალიური გრანდი ყველა ხერხითა და საშუალებით ცდილობდა გოლის გატანას. **ბორუცის** კარი სხვადასხვა მხრიდან იბომბებოდა და ამ გაწამაწიაში იყო "სელტიკი", როცა კონტრშეტევის საშუალება მიეცა, მაგრამ იტალიელმა **დონატიმ** ანგარიშის გახსნის მშვენიერი მომენტი გაანიავა.

მაგრამ გოლების გატანა მასპინძლებსაც შეეძლოთ და თან არა ერთის. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მეორე ტაიმში **კარდოსომ** ორჯერ შეამოწმა გლაზგოელთა კარის ძელი. თუმცა მატჩის ერთ-ერთ ბოლო ეპიზოდში პარაგვაელს მაინც გაუმართლა, და გაუმართლა სრულიად დამსახურებულად. **დი მარიას** უზადო პასის შემდეგ, კარდოსო წამით ღიად დარჩა და ახლო მანძილიდან ბორუცი უსაქმოდ დატოვა.

"არწივების" მწვრთნელმა **ხოსე ანტონიო კამაჩომ** თამაში ასე შეაფასა: *"მთავარი იყო, სამი ქულა აგველო. ბიჭებს ენთუზიაზმი არ აკლდათ და შეგვეძლო, ნებისმიერ მომენტში შეგვეცვალა თამაშის ბედი. გამარჯვების გარდა, ფეხბურთელების მონდომებამაც გამახარა. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ბევრ მომენტს ვქმნით, მაგრამ ცოტა გოლი გაგვაქვს. კარგია, "მილანმა" "შახტარს" რომ მოუგო. მოვლენათა ამგვარი განვითარება ჩვენს შანსებს ზრდის".*

**გორდონ სტრაჩანი:** *"ფეხბურთელების თავგანწირვით მეც კმაყოფილი ვარ, მაგრამ ამან გამარჯვება ვერ მოგვიტანა და ეს ძალზე სამწუხაროა. შანსები ჩვენც გვქონდა, თუმც სიზუსტე და ცოტაც გამართლება გვაკლდა. ცუდი იყო ისიც, რომ საბრძოლო შემადგენლობა ვერ დავაყენეთ, ბევრი ტრავმირებული გვყავს... ასეთ სიტუაციაში, "ბენფიკამ" მოახერხა და თამაშის მისთვის სასურველი სცენარით წარმართა, ჩვენ კი ბურთს ხშირად ვკარგავდით. შარშან, ჯგუფიდან გასვლისთვის 9 ქულა გვეყო. ამდენის მოგროვება ახლაც შეგვიძლია და იმედი მაქვს, ამჯერზეც ასე იქნება".*

### მილანი–შახტარი 4:1

**მილანი:** კალაჩი, ოდო, კალაძე, ნესტა, ფავალი (61. ბონერა), გატუზო, პირლო, ამბროზინი (83. ემერსონი), კაკა, ზეედორფი, ჯილარდინო (75. სერჟინიო).

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, ჩიგრინსკი, კუჩერი (17. ჰუბშმანი), რატი, ილსინიო, ლევანდოვსკი, ფერნანდინიო, ჟადსონი (63. კასტილიო), ლუკარელი, ბრანდაო (75. გლადკი).

**გოლები:** 1:0 ჯილარდინო (6), 2:0 ჯილარდინო (14), 2:1 ლუკარელი (51), 3:1 ზეედორფი (62), 4:1 ზეედორფი (69)

**მაყურებელი:** 47 000

**არბიტრი:** ლუის მ. კანტალეხო (ესპანეთი)

ამ "სიბერეში" **კლარენს ზეედორფმა** ბომბარდირობასაც მიჰყო ხელი და "მილანისთვის" ეს უზარმაზარი რეზერვია. ჰოლანდიელს სერია A-შიც გააქვს და ჩემპიონთა ლიგაშიც. მაგრამ **კარლო ანჩელოტისთვის** მთავარი პრობლემა ფორვარდებია, ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ოთხშაბათამდე. ახლა კი, **ალბერტო ჯილარდინოს** დუბლმა, შესაძლოა, თავდამსხმელს საკუთარ ძალებში რწმენა დაუბრუნოს. ისე, მართალი იყო კარლეტო, როცა ამბობდა - "მილანი" ორსახოვანიაო. რა სჭირს გუნდს იტალიის ჩემპიონატში, ეს ჯერ მწვრთნელისთვისაც გამოცანაა. ვნახოთ, იქნებ "შახტართან" მოგება იქცეს წყალგამყოფად...

უცნაური კია, რომ დონბასური კლუბი მილანში ლიდერის სტატუსით ჩავიდა და თამაშიც ისე დაიწყო, როგორც ამ სტატუსს ეკადრებოდა. მაგრამ "როსონერიმ" მალევე გახსნა ანგარიში და ყველაფერი თავის ადგილას დადგა. მასპინძელს პირველივე კუთხურმა წარმატება მოუტანა. **პირლოს** ჩაწოდების შემდეგ, ჯილარდინომ ზუსტად შეარჩია ადგილი და "მილანი" დაწინაურდა. ის იყო, **მირჩა ლუჩესკუს** შეგირდებმა "რაღაც" დააპირეს, რომ "ჯილამ" მეორე გოლიც იზეიმა, ამჯერად, ზეედორფის პასით.

დონეცკელთა დაცვა ბოლომდე გაირღვა. ისე მოხდა, რომ უკვე მე-17 წუთზე **კუჩერის ჰიუბშმანით** შეცვლაც კი დაგვიანებული აღმოჩნდა. მაგრამ ლუჩესკუს შეტევაში ჰქონდა იარაღი **ლუკარელის** სახით. ვინ ვინ და, ექსლივორნოელმა თანამემამულეთა სუსტი წერტილები კარგად იცოდა. ეს წერტილი დაიჭირა სწორედ მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა "მილანის" მცველთა შეუთანხმებლობით ისარგებლა და **კალაჩს** ბურთი ბადიდან გამოატანინა.

რაღაც მომენტში სტუმრებმა [illegible] გამოასწორეს თამაში, მაგრამ მალე "მილანმა" მესამეც შეაგდო და მეტოქე კიდევ ერთხელ ჩააყენა კრიტიკულ სიტუაციაში. აქედან მოყოლებული, თამაშის ბოლომდე მხოლოდ ზეედორფის ფაქტორი მუშაობდა. 62-ე წუთზე მან ერთი შეხებით დასცხო და ბურთი შორეულ კუთხეში გაახვია. ცოტა ხანში კი კლარენსმა კიდევ ერთხელ დაარტყა ჰაერიდან და ამჯერად უფრო ეფექტურადაც გამოუვიდა - 4:1.

დარჩენილ დროში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. "მილანის" დაცვის ცენტრში კარგად ითამაშეს **კახა კალაძემ** და **ალესანდრო ნესტამ**, თუ არ ჩავთვლით ლუკარელის გოლის ეპიზოდს. სხვათა შორის, კალაძისა და ნესტას გარჯა ანჩელოტიმაც დააფასა.

**კარლო ანჩელოტი:** *"ჩვენ ვიცოდით, რომ "შახტარი" შემტევი გუნდია. ამიტომ, საშუალება გაგვიჩნდა, მეტოქისთვის ანგარიში სწრაფი კონტრიერიშებით გაგვესწორებინა. ამოცანა გაგვიადვილა ორმა სწრაფმა გოლმა. ამის შემდეგ, უკრაინულმა გუნდმა სივრცეები უფრო გახსნა და ამანაც გაგვიადვილა თამაში. ტაქტიკურად კარგად გამოვიყურებოდით. ეს იყო მიზეზი იმისი, რომ ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით... საერთოდ, ფეხბურთელების გამორჩევა არ მჩვევია, მაგრამ ტრადიციას დავარღვევ და გამოვყოფ მეკარე კალაჩს, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა, დაცვაში კარგად გაისარჯნენ ნესტა და კალაძე, აღარაფერს ვამბობ კაკაზე, ჯილარდინოსა და ზეედორფზე... ახლა, მთავარია სტაბილურობას მივაღწიოთ. ადრე, ჩვენ ვახერხებდით რთული მდგომარეობებიდან გამოსვლას და მჯერა, ამას ახლაც შევძლებთ. დონეცკში მძიმე მატჩი გველის. არც დღეს გვქონია იოლი თამაში. ვფიქრობ, ანგარიში მოედანზე განვითარებულ მოვლენებს მთლად ზუსტად ვერ ასახავს".*

**მირჩა ლუჩესკუ** კი მოხარული იყო, რომ მისმა გუნდმა უფრო დიდი ანგარიშით არ წააგო: *"ჩვენ დავმარცხდით ბრძოლაში, და დავმარცხით მეტად ძლიერ გუნდთან... მიხარია, რომ უფრო მეტად არ გავნადგურდით. მაგრამ საბოლოო ჯამში ვწუხვარ იმის გამო, რომ მეტოქეს ორი კუთხურიდან ორი გოლი ვაჩუქეთ. ამის შემდეგ, "მილანმა" თავისი ფეხბურთი ითამაშა. ცუდად მენიშნა ისიც, რომ ზოგიერთი ჩემი ფეხბურთელი მრისხანე მეტოქეს აშკარად შეუშინდა. აქედან იყო სწორედ ბევრი წუნი. წავაგეთ მოედნის ცენტრიც. შეტევაში არა გვიშავდა, მაგრამ მატჩი დაცვამ ჩაგვიგდო მატჩი, არადა, 1:2-ზე ანგარიშის გათანაბრება შეიძლებოდა".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 2. შახტარი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 3. ბენფიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 4. სელტიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |

6 ნოემბერი

**სელტიკი–ბენფიკა**

**შახტარი–მილანი**



როგორც იქნა, მილანმა ლამაზად მოიგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# ტურე დაუყოვნებლივ დაბრუნებას ითხოვს

## ანრის ასეთი საშინელი შედეგი მხოლოდ ერთხელ ჰქონდა



იაია ტურეს

დაახლოებით ოთხი კვირის წინათ **იაია ტურეს** ბარძაყის კუნთი გაუწყდა და ლაზარეთში ამოჰყო თავი. სარეაბილიტაციო პროცესი ნავარაუდევ დროში ჩაეტია. "ბარსელონის" ექიმები სიხარულით ამბობენ, რომ აფრიკელმა ნახევარმცველმა ტრავმა ფაქტობრივად, მოიშუშა. ტრადიციისამებრ, ტურეს ნელ-ნელა დატვირთავენ, რათა უმცირესი რისკიც კი აიცილონ თავიდან. **ფრანკ რაიკაარდს** ექიმებმა სთხოვეს, საწვრთნელ მოედანზე დაბრუნებული შეგირდი პირველივე დღეს სრული დატვირთვით არ ამუშავოს. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მათი რჩევა უსიტყვოდ მიიღო და პირობა დადო, რომ იაიას დატვირთვას ეტაპობრივად გაუზრდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საყრდენი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას კიდევ 10-14 დღე ვერ შეძლებს. მიუხედავად ამისა, თავად ტურე გაცილებით უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი. აი, რა განაცხადა მან: *"ფანტასტიკურად ვგრძნობ თავს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დედამიწას ამოვატრიალებ. ერთთვიანმა პაუზამ ენერგია შემმატა. ფეხი საერთოდ აღარ მტკივა. მწვრთნელთან დალაპარაკებას ვაპირებ. ჩემი ჯანმრთელობის შესახებ მას ჩემზე კომპეტენტურ სიტყვას ვერავინ ეტყვის. დარწმუნებული ვარ, რომ მთელი დატვირთვით ვარჯიში მინიმალურ პრობლემასაც არ შემიქმნის. იმედია, რიიკაარდი დამიჯერებს და ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას ამ უქმეებზევე შევძლებ."*

კაცმა რომ თქვას, ტურეს დაბრუნება მართლაც საშური საქმეა. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მისი ტრავმის შემდეგ "ბარსელონის" ნახევარდაცვამ თავდაჯერება და მობილურობა დაკარგა. ტანმორჩილი **ანდრეს ინიესტა** და **ჩავი ერნანდესი** მოწინაალმდეგეთა კუნთმაგარ ნახევარმცველებს საკადრის წინააღმდეგობას ვერ უწევენ. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მცირე ხნის წინათ ტრავმა **დეკუმაც** მიიღო. პორტუგალიელი სულ მცირე ერთი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს, რაც შუახაზში არსებულ პრობლემას კიდევ უფრო გაამწვავებს. ბუნებრივია, ამ გარემოებას რიიკაარდი ყველაზე კარგად აცნობიერებს და გამორიცხული არ არის, ჰოლანდიელი სპეციალისტი ცდუნებამ აიტანოს. ვნახოთ, ყველაფერს დრო დაგვანახებს.

"ბარსელონის" კიდევ ერთი პრობლემა დიდი ზარზეიმით შეძენილი **ტიერი ანრის** დაბალშედეგიანობაა. ფრანგმა ფორვარდმა მიმდინარე სეზონში 11 ოფიციალური ორთაბრძოლა ჩაატარა და გოლის გატანა მხოლოდ ორ მატჩში შეძლო. ასეთი საშინელი მაჩვენებელი ანრის "არსენალში" ჩაგდებული სეზონის გარდა არასოდეს ჰქონია. მიმომხილველთა ერთი ნაწილი დარწმუნებით აცხადებს, ტიერის საუკეთესო წლები წარსულში დარჩა და მისგან სერიოზულ პროგრესს აღარ უნდა ველოდოთ. თუმცა ისეთებიც არიან, რომლებიც სკეპტიკურ პროგნოზს არ იზიარებენ და დარწმუნებულები არიან, რომ ანრი "ბარსელონაში" სათქმელს რიხიანად იტყვის. სხვათა შორის, თავად ფრანგი ფორვარდიც ასევე ფიქრობს: *"კრიტიკა გარდაუვალია, როცა 11 მატჩიდან მხოლოდ ორში შეძლებ გატანას, მაგრამ მსურს, გულშემატკივრებს ვთხოვო, რომ ჩემს იმედს ნუ დაკარგავენ. რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ, თუმცა მჯერა, საუკეთესო წუთები წინ მელის. ბევრს ვმუშაობ იმისთვის, რომ სიტუაცია გავაუმჯობესო. მერწმუნეთ, გოლებს აუცილებლად გავიტან."*

რიიკაარდი კი უკმაყოფილო სულაც არ არის. კატალონიური გრანდის თავკაცი აცხადებს, რომ ანრი ძალიან სასარგებლოდ თამაშობს. მას მოსწონს, რომ თავდამსხმელი ბევრს მოძრაობს და ყოველი თამაშის განმავლობაში მოედნის 80-მეტრიან მონაკვეთზე მოქმედებს. მოკლედ, რიიკაარდს იმის თქმა სურს, რომ ტიერის უკან დახევა და მოედნის ცენტრიდან ბურთის წამოღება ხშირად უწევს. რის გამოც, უშუალოდ მოწინააღმდეგის კართან ახლოს მოქმედებისთვის შედარებით ნაკლები დრო რჩება.



რომარიომ მექსიკელებთან მატჩში მწვრთნელობაც მოსინჯა და ფეხბურთელობაც

სამწვრთნელო დებიუტი

# რომარიოს წარმატება და წარუმატებლობა

**რომარიომ** "ვასკო და გამის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე პირველი მატჩი ჩაატარა. ბრაზილიელებმა "კოპა სუდამერიკანის" განმეორებით მეოთხედფინალში მექსიკური "ამერიკა" მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს. მათდა სამწუხაროდ, ერთი გოლი მომდევნო რაუნდში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. "ვასკოს" პირველი შეხვედრა ორი ბურთის სხვაობით ჰქონდა წაგებული. 41 წლის რომარიომ მეორე ტაიმში ითამაშა. მან საკუთარი თავი შეცვლაზე შეიყვანა. ეს რომარიოს პირველი მატჩი გახლდათ ბოლო ოთხი თვის განმავლობაში. მოთამაშე-მწვრთნელს საუცხოო მომენტი ჰქონდა, მაგრამ თავით არაზუსტად დაარტყა. აქვე გეტყვით, რომ "კოპა სუდამერიკანას", რაც უეფას თასის სამხრეთამერიკული ანალოგია, მეორე ბრაზილიური კლუბი - "სან პაულუც" გამოეთიშა. ის კოლუმბიურმა "მილიონარიოსმა" დაამარცხა. "კოპა სუდამერიკანა" ბრაზილიელების გარეშე გაგრძელდება.

## მანჩესტერის შესაძლო ბასკური ტრანსფერები

"მანჩესტერ იუნაიტედი" ერთბაშად ხუთი ბილბაოელი ფეხბურთელით დაინტერესდა. ამ ინფორმაციას ესპანური გამოცემა "დიარიო სპორტი" ავრცელებს. გასულ უქმეებზე "წითელი ეშმაკების" სკაუტი **ანტონიო კრუსი** "ვალიადოლიდთან" ბასკების გასვლით შეხვედრას დაესწრო. მისი უმთავრესი სამიზნე ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **ხავი მარტინესი** გახლდათ. კრუსს მცველების - **ანდონი ირაოლასა** და **ფერნანდო ამორებიეტას** გვარებიც ჰქონდა მონიშნული. ის გარემარბ **მარკელ სუსაეტასა** და თავდამსხმელ **ფერნანდო ლორენტესაც** სიამოვნებით დააკვირდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელთ არ უთამაშიათ.

## რეალი ვილიას მაინც შეიძენს

მადრიდის "რეალი" "ვალენსიას" სასამართლოში უჩივლებს. სამეფო კლუბი იმ თანხის გასაჩივრებას აპირებს, რომელიც "ღამურებმა" თავდამსხმელ **დავიდ ვილიას** სანაცვლოდ მოითხოვეს. შეგახსენებთ, სამეფო კლუბი ვილიათი რამდენიმე კვირის წინათ დაინტერესდა. მაგრამ "ვალენსიამ" დედაქალაქელთა მადის გასანელებლად 150 ათასი ევრო მოითხოვა. "რეალს" მიაჩნია, რომ ეს არარეალური და დაუსაბუთებელი მოთხოვნაა. სამეფო კლუბი მხოლოდ რეალური ფასის გადახდას აპირებს. მადრიდელებს სურთ, ვილია იანვარშივე შეიძინონ. სეზონის დასრულების შემდეგ, მათ ეჭვიც კი არ ეპარებათ, რომ ფეხბურთელი "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადავა. გაისად ზაფხულს ვილიას კონტრაქტში ორი წელიწადი ექნება დარჩენილი. სატრანსფერო კანონმდებლობის თანახმად, "რეალი" მოთამაშეს ამ ორწლიანი კონტრაქტის საფასურად დაისაკუთრებს.

## მილანმა კანუტე დაადასტურა

"მილანი" ადასტურებს, რომ **ფრედერიკ კანუტეს** შეძენა სურს. "როსონერი" თავდასხმის გაძლიერებას იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე ეშურება. კანუტეს ტრანსფერს ორი გარემოება ახლავს. მალელი ფორვარდი ახალგაზრდა აღარაა. მას მალე 30 წელი შეუსრულდება. თანაც კანუტემ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა. ეს იმას ნიშნავს, რომ იტალიაში წასვლის შემთხვევაში, "როსონერის" ევროსარბიელზე ვერ დაეხმარება. იანვრის ტრანსფერებისას "მილანმა" და "იუვემ", შეიძლება, ფეხბურთელები გაცვალონ. **დარიო შიმიჩს** ტურინში, ხოლო **ჯონათან ზებინას** მილანში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. სპეკულაციების თანახმად, "როსონერიმ" "სპორტინგის" მარცხენა მცველ **რონისა** და "უდინეზეს" განაპირა მცველ **ანდრეა დოსენასაც** დაადგა თვალი. ეს ფეხბურთელები ვეტერანი **სერჟინიოსა** და ტრავმირებული **მარეკ იანკულოვსკის** შემცვლელებად განიხილებიან.

## ფრეი კანის შემცვლელად

"ბაიერნი" ფლორენციელი მეკარით **სებასტიან ფრეით** დაინტერესდა. მიუნხენური გიგანტი **ოლივერ კანის** შემცვლელზე იწყებს ფიქრს. ტიტანი პენსიაში გასასვლელად ემზადება. ის ბავარიელთა შემადგენლობაში ბოლო სეზონს ატარებს. 27 წლის ფრეის "ფიორენტინასთან" კონტრაქტი 2011 წელს ეწურება. ხელშეკრულებით განსაზღვრულია მისი გამოსასყიდი ფასი - 18 მილიონი ევრო. "ბაიერნისთვის" ეს თანხა პრობლემას არ წარმოადგენს. მთავარია იტალიურ კლუბთან შეთანხმება. თუმცა მიუნხენელებს საამისო გამოცდილება უკვე აქვთ. გასულ ზაფხულს "ფიორენტინიდან" "ბაიერნში" გადავიდა იტალიის ნაკრების თავდამსხმელი **ლუკა ტონი**. ის გერმანულ გრანდს იდეალურად მოერგო. ტონის აქტივში 11 მატჩი და 10 გოლია. ფრეის ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

## იტალია მშვიდდება

ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში იტალიის სტადიონებზე ძალადობის ფაქტები 80 პროცენტით შემცირდა. ასეთი ინფორმაცია იტალიის ფეხბურთის ფედერაციისა და ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა ერთობლივ ბრიფინგზე გაავრცელეს. თებერვალში "კატანიისა" და "პალერმოს" დერბი ტრაგიკულად დასრულდა. ნამატჩევს სტადიონის მისადგომებთან ატეხილ ჩხუბს ერთი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა. იტალიის მთავრობამ ჩემპიონატი შეწყვიტა და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში კლუბებმა სტადიონებზე უსაფრთხოების ნორმები გაამკაცრეს. გაძლიერდა სტადიონზე შესასვლელების კონტროლი. შემოიღეს სახელობითი ბილეთები. მათი მეშვეობით ძალიან მარტივად შეიძლება ხულიგნობაში ეჭვმიტანილი ადამიანების ვინაობის დადგენა. მართალია, წვრილმანი დაპირისპირებები კვლავაც ხდება, მაგრამ ფართომასშტაბიან არეულობებს წერტილი დაესვა. მთავრობა და ფედერაცია მიღწეულ პროგრესს გაზაფხულზე გატარებული ღონისძიებებით ხსნიან. ისინი მომავალშიც მჭიდრო თანამშრომლობას აპირებენ. მიზანი ერთია: იტალიური ფეხბურთი ძალადობისგან უნდა განიკურნოს.

სახელოვანი იუბილე

# შეფილდი 150 წლისაა

## როგორ იწყებოდა მსოფლიოს საკლუბო ფეხბურთის ისტორია...

ისეთ გრანდებს, როგორიც "მანჩესტერ იუნაიტედი" ან "რეალია", უთვალავი საკლუბო ტიტულით შეუძლიათ თავის მოწონება. მაგრამ არის მიღწევა, რომელსაც ისინიც კი ვერ შეწვდებიან. ეს მიღწევა სამუდამოდ ერთ კლუბს ეკუთვნის. ამ კლუბს "შეფილდი" ჰქვია. ის უფრო სახელოვან თანაქალაქელებში - "შეფილდ უენსდეისა" და "შეფილდ იუნაიტედში" არ აგერიოთ. საფეხბურთო კლუბი "შეფილდი" სამოყვარულო კოლექტივია. ის პრემიერლიგიდან რვა დივიზიონით ქვემოთ თამაშობს და ერთადერთი სიმდიდრე, რაც გააჩნია, მისი ასაკია - 150 წელი. "შეფილდი" მსოფლიოს უძველესი საფეხბურთო კლუბია. შეფილდელთა მწვრთნელი **დევიდ მაკარტი** სამართლიანად ამაყობს: *"ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს, შენზე მდიდარი კლუბი, შენზე უფრო წარმატებული ან ალმატებული ამა თუ იმ ასპექტში, მაგრამ შეუძლებელია, მოიძებნოს კლუბი, რომელიც ხანდაზმულობაში შეგვეცილება. ჩვენ ყოველთვის ყველაზე ძველი კლუბი ვიქნებით."* შეფილდელთა თავმჯდომარე **რიჩარდ ტიმსი** შენიშნავს, რომ მათი იუბილე სინამდვილეში ფეხბურთის თითოეული ქომაგის ზეიმია. საფეხბურთო კლუბები ხომ "შეფილდის" მიბაძვით შეიქმნა. მისმა დაარსებამ ფეხბურთის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა.

ეს 1857 წლის ოქტომბერში მოხდა. ფეხბურთს, უფრო ზუსტად, მის მიმსგავსებულ თამაშს იქამდეც თამაშობდნენ, მაგრამ განსხვავებული წესებით. ზოგჯერ მატჩში 500 ადამიანიც კი მონაწილეობდა. სათამაშო არეალი შემოსაზღვრული არ იყო და საყოველთაო ქაოსი, როგორც წესი, ძალადობითა და აყალ-მაყალით სრულდებოდა. 150 წლის წინანდელი ოქტომბრის ერთ დღეს კი კრიკეტის მოყვარულებმა, **უილიამ პრესტმა** და **ნათანიელ ქრესვიკმა** გადაწყვიტეს, ბურთის თამაშის უნივერსალური წესები შეექმნათ, აგრეთვე ჩამოეყალიბებინათ ორგანიზაცია, რომელიც ფეხბურთს ამ წესებით ითამაშებდა. ასე დაიბადა "შეფილდი". პრესტმა და ქრესვიკმა შემოიღეს საჯარიმოები, აგრეთვე განსაზღვრეს კარის სიმაღლე და ორ ძელს ხარიხა დაადგეს.

პირველი საფეხბურთო კლუბისათვის უმთავრესი პრობლემა მეტოქის მოძებნა იყო. ან სად იპოვიდა, როცა მეორე კლუბი ბუნებაში არ არსებობდა? სამი წლის განმავლობაში "შეფილდი" "შეფილდს", ანუ საკუთარ თავს ეთამაშებოდა. გუნდებად დაყოფის წესი მარტივი იყო: დაქორწინებულები დაუქორწინებლებს ხვდებოდნენ. სამი წლის თავზე მეზობელი "ჰალემის" კრიკეტის გუნდმა საფეხბურთო კოლექტივი ჩამოაყალიბა. პირველი საფეხბურთო დაპირისპირებაც მაშინ გაიმართა. 1862 წლისთვის ინგლისს უკვე 15 კლუბი ჰყავდა. 15-ვე ფოლადის წარმოებით განთქმულ შეფილდსა და მის შემოგარენში იყო დაფუძნებული. 1863 წელს კლუბებმა საფეხბურთო ასოციაცია შექმნეს. 1889 წელს "შეფილდმა" სათავე დაუდო "შეფილდ იუნაიტედს", რომელიც დღეს პირველ დივიზიონში ასპარეზობს. "შეფილდ უენსდეიც" იმავე ლიგაშია. "შეფილდი" კი დაარსების დღიდან დამოუკიდებლად მიუყვება გზას. მისი ყველაზე დიდი ტიტული ეროვნული სამოყვარულო თასია, რომელიც შეფილდელებმა შორეულ 1904 წელში მოიპოვეს.

21-ე საუკუნის დასაწყისში "შეფილდი" კინაღამ გაკოტრდა. ამ ქალაქის ფანები "იუნაიტედმა" და "უეისდეიმ" გაინაწილეს. ყველაზე მხცოვანს მეზობლად დრონფილდში მოუხდა გადასახლება. დრონფილდი დერბიშირის საგრაფოში მოზრდილი სოფელია. "შეფილდს" იქ 1 500-ათასიანი სტადიონი აქვს. არენას "ბრაით ფაინენს სთედიუმი" ჰქვია და თავის სამყოფ გულშემატკივარს ყოველთვის აგროვებს. 8 ნოემბერს "შეფილდი" ისტორიულ თამაშს გამართავს. "შეფილდ იუნაიტედის" "ბრემელ ლეინზე" ის მილანის "ინტერს" შეხვდება. "ნერაძური" ინგლისში ახალგაზრდულ გუნდს ჩაიყვანს. საერთაშორისო მატჩს მსოფლიო ფეხბურთის მეფე **პელე** დაესწრება.

თეგეტა მოტორსი TEGETA MOTORS
Austrian
ილიმპი
ოლიმპი სარბიელი
TBILISI 2007 Men's Challenge Trophy
თეგეტა მოტორსი TEGETA MOTORS
Austrian
იმედი
ოლიმპი სარბიელი



# და თუ კი სერგო გყავს...

**საქართველო-აზერბაიჯანი 36:24**

საქართველო: თევზაძე, ანდრიაძე, ქობელაშვილი (4), ანდრიაშვილი (1), ნიკოლაიშვილი, ო. ყიფიანი, გრიშიკაშვილი (1), კალანდაძე, წივწივაძე (3), ა. ყიფიანი, ჭანტურია (6), მსხვილიძე (1), რუსია (8), დათუკაშვილი (12)

აზერბაიჯანი: სკრებერცოვი, ქარიმოვი, ჰ. აიდამიროვი (2), ფარაჯოვი (6), ე. აიდამიროვი (1), აზიზოვი, პარშკოვი (3), ალხაზოვი, სალიმოვი, ო. გეორგიევსკი (6), ნაზარალიევი (3), ს. გიორგიევსკი (1), მუშკინი, გოჟი, ჰუსეინოვი (2),

მსაჯები: ანატოლი ნოვიკოვი, რუსლან პერეპილიცი (უკრაინა)

**მოლდოვა-სომხეთი 33:17**

მოლდოვა: ვაკარუკი, სერდიუკი, ანდრეევი, ჟედიცი (8), ალექსანდრ პერვანციუსი (7), პურიჩი, ნენიტა, გარგაუნი (1), ლუკასოვი (1), ჩემირტანი (3), სტარიკოვი (4), ალექსეი პერვანციუსი (4), ბორეტი (3), ნაზარკო (2)

სომხეთი: თუმასიანი, გასპარიანი, დარბინიანი, ტადევოსიანი (2), მატევოსიანი (1), ლუკასიანი (2), მატინიანი (5), გ. მელქოიანი, მარკოსიანი (2), ისრაელიანი (1), უზუნიანი (4), ა. მელქოიანი, ოჰანიანი, იერანოსიანი

მსაჯები: ქენან გოკმენი, აიჰან გოკი (თურქეთი)

**დღეს**

| | |
|---|---|
| მოლდოვა-აზერბაიჯანი | 16:30 |
| საქართველო-სომხეთი | 18:30 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-სომხეთი | 12:00 |
| საქართველო-მოლდოვა | 14:00 |



სერგო დათუკაშვილი

თამაში არ ნაგივიდა? დაწყნარდი, კონცენტრაცია მოიკრიბე და შენი თამაშის ძიება დაიწყე. სხვა დანარჩენისთვის კი **სერგო დათუკაშვილი** არსებობს – "ევროქარდ მასტერქარდის" ცნობილი რეკლამის ასეთი პერიფრაზით შეიძლება შევაფასოთ სერგოს ის თამაში, რაც გუშინ აჩვენა. ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო "ჩელენჯ ტროფი" და ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ აზერბაიჯანს გადაურბინა, დიდწილად სწორედ დათუკაშვილის დამსახურებაა. სწორედაც **დათუკაშვილის** (და არა დათუკიშვილის) რადგან საკუთარი გვარის ფორმა თავად ხელბურთელმა დაგვიზუსტა.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრების დანარჩენმა წევრებმა ცუდად ითამაშეს. კუთხეებიდან აზერთა უკანა ხაზს დიდებულად ანიოკებდნენ **რეზო ჭანტურია** და უბერებელი კაპიტანი **გიორგი ქობელაშვილი**, მეორე ტაიმიდან საკუთარი თამაში იპოვნა და ყველაფერს ტანკივით მუსრავდა **ვლადიმერ რუსია**, ხაზზე დამაჯერებელი იყო **გიორგი წივწივაძე**, კარგად შემოვიდნენ შეცვლაზე **გრიშიკაშვილი, ამირან ყიფიანი** თუ **კორნელი ანდრიაძე. შოთა თევზაძემ** კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე მეკარეა. მან ერთბაშად ოცი დარტყმა მოიგერია და მათ შორის, ერთი პენალტი. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ გუშინ, საქართველოს ნაკრები მთლიანობაში იყო მშვენიერი გუნდი და მისმა თითქმის ყველა წევრმა ლომივით იბრძოლა.

თუმცა, როგორც თავში ვთქვით, სერგო დათუკაშვილი იმდენად გამოსარჩევი ფიგურა იყო, რომ უალტერნატივოდ შეიძლება დავასახელოთ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ – იგი ყველგან იყო, გასატანს იტანდა, დასაცავს იცავდა და თანაგუნდელებსაც ჩინებული პასებით ამარაგებდა...

მატჩი საქართველოს ნაკრების ორი უშედეგო შეტევით დაიწყო და ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ამას მოჰყვა დათუკაშვილისა და რუსიას გოლები, 2:1 დავწინაურდით და ამის შემდეგ, ბოლომდე აღარ მივეცით აზერბაიჯანელებისათვის დაწევის საშუალება. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმის საწყის 15 წუთში, **მამუკა მჟავანაძის** შეგირდებს საკმაოდ გაუჭირდათ მეტოქის გატეხვა. არ მისდიოდა თამაში რუსიას, რომელმაც პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ გაიტანა, საკმაოდ გაუჭირდა **რატი მსხვილიძესაც**, დაცვაში კი **ომარ ყიფიანი** და **დავით ნიკოლაიშვილი** ვერ ახერხებდნენ უკანა ხაზის მტკიცედ შედუღაბებას. ასეთ ვითარებაში, თამაში საკუთარ თავზე აიღო დათუკაშვილმა, რომელსაც გოლი გოლზე გაჰქონდა. სერგოს მხარი კარგად აუბეს წივწივაძემ, ჭანტურიამ და ქობელაშვილმა. შესაბამისად, ანგარიშმა ნელ-ნელა დაიწყო ზრდა და შესვენებაზე ექვსბურთიანი ფორით გავედით – 19:13. აზერბაიჯანელთაგან ლიდერობას ველოდით **ვალერი პარშკოვისაგან**, რომელიც თურქულ "ბეშიქთაში" საკმაოდ კარგად თამაშობს და ბევრი გოლი გააქვს. თუმცა იგი გუშინ არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. სტუმართა რიგებში ყველაზე შედეგიანები იყვნენ თურქეთისავე "ტრაბზონის" ხელბურთელები – **ოლეგ გეორგიევსკი** და **ელდარ ფარაჯოვი**. აღსანიშნავია, რომ შარშან, იმ დროისათვის უგუნდოდ მყოფმა ფარაჯოვმა, საქართველოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე, "თბილისში" ითამაშა. საინტერესოა ისიც, რომ "თბილისის" თავკაცი მამუკა მჟავანაძე ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია, თანაც გუნდში რამდენიმე თბილისელი თამაშობს...

შესვენებისას მოეწყო "ჩელენჯ ტროფის" გახსნის საზეიმო ცერემონიალი. მოედანზე გამოვიდნენ პატარა მოცეკვავეები და მედოლეები, რომელთა ნომრების შემდეგ, ტურნირის მონაწილეებსა და მაყურებლებს მიესალმნენ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **თამაზ თევზაძე**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** და ევროპის ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ჟან ბრიოლი**.

მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრებმა ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა და ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. ჩვენი გუნდის დაცვა შეუვალი გახდა, შეტევაც მშვენივრად გამოიყურებოდა, კარს კი ვეფხვივით იცავდა თევზაძე. მეორე ტაიმში ვიხილეთ ის რუსია, რომელსაც პირველ ტაიმში ვნატრობდით და რომელიც იანვარში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბომბავდა აზერბაიჯანზე გაცილებით ძლიერ მეტოქეებს. დათუკაშვილის შემჩერებელი კი ისევ არავინ იყო...

მატჩის დასრულებამდე 11 წუთით ადრე, შეცვლაზე შემოსულმა **ანდრო ანდრიაშვილმა** გოლით აღნიშნა რვაწლიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში დაბრუნება და ტაბლოზე შეხვედრის უდიდესი სხვაობა აანთო – 32:18. სოლიდური სხვაობით წინ გაჭრილმა ჩვენებურებმა თავს უფლება მისცეს, მატჩის ისედაც ლამაზი სანახაობრივი მხარე კიდევ უფრო გაელამაზებინათ და ეფექტური გოლებიც შეყარეს.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა, პირველი მეტოქე ჩამოიშორა და ვიმედოვნებთ, კარგად დაწყებულ საქმეს ასევე დაამთავრებს.

რაც შეეხება მოლდოვა – სომხეთის მატჩს, ამ შემთხვევაში, ორივე გუნდის რეალური შესაძლებლობების განსაზღვრა გაგვიჭირდება. ყველანაირი ლოგიკით, მოლდოვას უპრობლემოდ უნდა დაემარცხებინა ჩვენი მეზობლები, რადგან "ჩელენჯ ტროფის" მოქმედი ჩემპიონია და კლასითაც გვარიანად აღემატება სომხებს. თუმცა პირველ ტაიმში დიდ წინააღმდეგობას გადააწყდა და მხოლოდ ბოლო ოცწუთიან მონაკვეთშილა გატეხა საბოლოოდ მეტოქე.

მოკლედ, გუშინდელი მატჩიდან გამომდინარე, მოლდოვას არაფერი ეტყობოდა იმ გუნდის, რომელიც ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება და რომელიც რამე პრობლემას შეუქმნის საქართველოს ნაკრებს. თუმცა ამას ჰქონდა რამდენიმე მიზეზი. ჯერ ერთი, რომ მოლდოველები თბილისში გუშინ, დილით ჩამოვიდნენ და ხეირიანად დასვენება ვერ მოასწრეს. ამასთან, სავარაუდოდ, სუსტ მეტოქესთან თავი არ გამოიდეს და ძალები დაზოგეს. მოლდოვის რეალური ძალა დღეს გამოჩნდება აზერბაიჯანთან მატჩში, ხოლო სომხები საქართველოს ნაკრებს ჩააბარებენ გამოცდას.

**კობა ხატისაშვილი**



ნუგზარ სულარიძის ფოტოები

შოთა თევზაძემ 20 ბურთი მოიგერია

# აზერბაიჯანს მოგება სურდა...

**"ჩელენჯ ტროფის" პირველი დღე ჩვენი ხელბურთელთა ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა. აზერბაიჯანელები 12-ბურთიანი სხვაობით დავამარცხეთ და პირველი დიდი ნაბიჯი გადავდგით ფინალში გასვლისაკენ. ნამატჩევს, საქართველოს ნაკრების სამ წევრს გავესაუბრეთ.**

**სერგო დათუკაშვილი**

- თავიდან ვერ ავაწყეთ თამაში და. გაგვიჭირდა. თუმცა, მერე ყველაფერი თავის ადგილას დავაყენეთ, ჩვენი თამაში ვიპოვნეთ და უპრობლემოდ გავიმარჯვეთ.

**- საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

- ცოტა არ იყოს, მძიმედ ვიყავი და ბოლომდე გახსნა გამიჭირდა.

**- შენ თუ მძიმედ იყავი...**

- (იცინის) არა, უკეთ თამაში შემიძლია.

**- მაშინ თანაგუნდელებიდან ვის გამოარჩევდი?**

- ვერავის, რადგან მთელმა გუნდმა ჩინებულად ითამაშა. შეხედეთ ამ ახალგაზრდებს, რამხელა ჟინი და პერსპექტივა აქვთ, ან შედარებით ასაკოვნები როგორ იბრძვიან. საქართველოს ნაკრებს აქვს მშვენიერი მომავალი და დიდი ყურადღება სჭირდება.

**რეზო ჭანტურია**

- გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. ამდენი ხნის პაუზის შემდეგ, პირველად ვითამაშეთ და შემდეგ შეხვედრებში, გაცილებით მოვუმატებთ. ერთადერთი, რაზეც ძალიან გვწყდება ყველას გული, არის ის, რომ "ჩელენჯ ტროფის" პირდაპირ რეპორტაჟებს არცერთი ტელეკომპანია არ გადასცემს.

**გიორგი ქობელაშვილი**

- პირველ ტაიმში შედარებით სუსტად თამაშს ჰქონდა რამდენიმე მიზეზი. მაგალითად, ვითამაშეთ ახალი, ჩემპიონთა ლიგის ბურთით, რომელსაც მიჩვეულები არ ვართ და სანამ ალღო ავუღეთ, ბურთის დამორჩილება ცოტა გვიჭირდა. ამას გარდა, დაცვაში მწვრთნელთა დავალებას ზუსტად ვერ ვასრულებდით. მწვრთნელებმა მითითება მოგვცეს, რომ დაცვის დროს, ზონიდან წინ არ გამოვსულიყავით. თუმცა ხანდახან არ ვასრულებდით ამ მითითებას და ვისჯებოდით კიდეც. საკმარისი იყო, ერთი ნაბიჯით მეტი გადაგვედგა წინ, რომ ამით უმალ სარგებლობდა მეტოქე. თუმცა, მერე დაცვა დავალაგეთ და პრობლემებიც საგრძნობლად შეგვიმცირდა. აზერბაიჯანელები ჩვენთან მოგებას აპირებდნენ და ამას არც მალავდნენ. ისინი შეეცადნენ, თავიდანვე შემოეტიათ და გავეტეხეთ. თუმცა ამის საშუალება არ მივეცით და მეორე ტაიმში აქეთ გავტეხეთ.

ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, რომ ქართულმა ტელეკომპანიებმა არ ისურვეს ჩვენი მატჩების პირდაპირ ეთერში გადაცემა. თანაც, ამ დროს ისინი რამე საინტერესოს კი არა, სერიალებს აჩვენებენ. მე მგონი, ვიმსახურებდით, რომ ჩვენთვის გამოეყოთ საეთერო დრო. ყოველ კვირა ხომ არაა ნაკრების მატჩები? ასევე გულნატკენი ვარ იმაზეც, რომ გულშემატკივარიც საკმაოდ ცოტა იყო.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ინტერვიუ ირაკლი ხოშტარიასთან

# ქართველი მწვრთნელი გვინდა თუ უცხოელი?



ირაკლი ხოშტარია (მარჯვნივ)

**საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურში "ავიამშენი" "მაკაბისთან" დამარცხდა. ეს ზოგმა სენსაციად მონათლა, ზოგის აზრით კი ჩვეულებრივი ამბავი იყო, რადგან "მაკაბისაც" კარგი შემადგენლობა ჰყავს. მაგრამ მხოლოდ გვარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, "ავიატორები" ჩემპიონობის ფავორიტები არიან. გუნდის კაპიტანი, ირაკლი ხოშტარიას აზრით, დადიანის თასზეც გამოჩნდა, რომ "ავიას" შეთამაშების პრობლემა აქვს, რაც თამაშიდან თამაშამდე უნდა აღმოიფხვრას.**

- გუნდში რამდენიმე ისეთი კალათბურთელი ჩაირიცხა, რომლებიც საკვანძო მოთამაშეებად უნდა იქცნენ. ამიტომ პირველი პრობლემა შეთამაშებაა. სეზონის დასაწყისში გუნდის ერთ მუშტად შეკვრა იოლი არ არის. ამისთვის დრო და ვარჯიშია საჭირო.

**- როგორ ფიქრობ, "ავიამშენი" შარშან უფრო ძლიერი იყო, თუ - წლეულს?**

- შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წლეულს უფრო კარგი გუნდი გვყავს. ვიმედოვნებ, სეზონის მეორე ნაწილში ყველა ოპტიმალურ ფორმას მიაღწევს, ხოლო "ავია" დასახულ მიზანს შეასრულებს.

**- ამბობ, საკვანძო მოთამაშეები დაგვემატნენო. ვის გულისხმობ?**

- კოტე ტულუშს, ვახტანგ მინაშვილს, ლუკა შანიძეს, დავით იმნაძეს. მათ სადაც უთამაშიათ, ყველგან გუნდის ხერხემალს წარმოადგენდნენ. ახლა მთავარია, ისინი "ავიამშენს" უმტკივნეულოდ შეერწყან.

**- ვახტანგ მინაშვილი დუდუ დადიანის მემორიალზე "ავიამშენის" სნაიპერი გახდა. არადა, შარშანდელი სეზონი, ფაქტობრივად, ჩააგდო...**

- შარშან როგორ თამაშობდა, ჩემი შესაფასებელი არ არის, რადგან სხვა გუნდში იყო. თუმცა ცხადია, რომ "აიაში" ფობიმ (მინაშვილის მეტსახელი) თავისი ადგილი მონახა და ნელ-ნელა იხსნება.

**- როგორ ფიქრობ, თქვენი გუნდი სათანადოდაა დაბალანსებული?**

- ყველა რგოლი თანაბარი ძალისაა. ახლა მთავარია, თამაშებისას რგოლებს შორის კავშირი დაიხვეწოს.

**- როგორ ფორმაში ხარ?**

- სეზონის დასაწყისია და ოპტიმალურ ფორმაში არავინაა. მათ შორის მეც. ცოტა სათამაშო პრაქტიკა მაკლია.

**- როგორ ფიქრობ, "ავიას" შეუძლია შარშანწინდელი შედეგის გამეორება?**

- საჩემპიონო გუნდი გვყავს თუ - არა, სეზონის ბოლოს გამოჩნდება. დასაწყისიდან ფინიშამდე ყველა ეტაპი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გავიაროთ. ბოლო ეტაპი, წესითა და რიგით, ფინალი უნდა იყოს.

**- წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრებში თამაშობდი. მაინტერესებს შენი მოსაზრება ეროვნული გუნდის წლევანდელი გამოსვლის შესახებ.**

- სამწუხაროა, რომ A ლიგაში აღზევება კიდევ ორი წლით გადაიდო, არადა ყველა მოუთმენლად ველოდით ნაკრების წარმატებას. წარუმატებლობის მიზეზებს ბევრი ეძებს. ამ საკითხზე მეც მიფიქრია და ვერ დავეთანხმები იმას, ვინც ნაგების მიზეზებს ერთ პიროვნებაში, ან მოვლენაში ეძებს. კალათბურთი უამრავი დეტალისგან შედგება და წარმატება მხოლოდ მაშინ მოდის, როცა ეს დეტალები წინაღობებს არ ქმნიან. სახლის ასაშენებლად აგური აგურს უნდა დაადო. თუ ერთი მაინც დააკელი, შენობა ჩამოინგრევა. ერთი შეხედვით უმნიშვნელო საკალათბურთო დეტალებმა ჩვენი ნაკრების თამაშზე უარყოფითად იმოქმედა და შედეგი ვერ მივიღეთ. კაცი შეცდომებზე სწავლობსო, ნათქვამია, მჯერა, რომ გაისად ყველაფერი გამოსწორდება. ამისთვის კი საჭიროა, ნაკრების წლევანდელი გამოსვლიდან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.

**- ყოველთვის ვფიქრობდი, რომ საქართველოს ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი სჭირდებოდა. სამი მწვრთნელ-ლეგიონერის გამოცვლის შემდეგ კი გადაჭრით ველარ ვამბობ, უცხოელი დამრიგებელი უფრო გამოგვადგება, თუ - ქართველი. ამ საკითხზე თუ გიფიქრია?**

- ბევრი მიფიქრია. თუკი, შილდსის შემცვლელი კვლავ უცხოელი იქნება, მას აუცილებლად უნდა მოვთხოვოთ ქართული ხასიათისა და მენტალიტეტის დეტალურად შესწავლა, თორემ მხოლოდ ტაქტიკურ მეცადინეობებს შედეგი რომ არ მოაქვს, უკვე დავრწმუნდით. თუკი სათანადო დონის სპეციალისტს ვერ მოვნახავთ, ვგონებ, არც ქართველი მწვრთნელის დანიშვნა იქნება გაუმართლებელი, რადგან ნაკრებში ყველა პროფესიონალია, ტაქტიკურად კარგადაა განსწავლული და თავისი საქმე კარგად იცის. თუ სამუშაოს ყველა პროფესიონალურად მიუდგება, მწვრთნელის პირველი ამოცანა გუნდის მოტივირება იქნება... ვფიქრობ, სწორად გამიგეთ, რისი თქმაც მინდა - თუ ნაკრებს კვალიფიკაციური და "გაგებული" უცხოელი მწვრთნელი ჩაიბარებს, ამას რა სჯობს, თუ არა - არც ქართველი სპეციალისტის დანიშვნაში ვხედავ ტრაგედიას. თუმცა, ეს საკითხი ჩემზე უკეთ კალათბურთის ფედერაციამ იცის.

ვაჟა სიმონიშვილი






არიკ შივეკი

ევროთასი

# აზოტის ენთუზიაზმი თუ ამსტერდამის გამოცდილება?

რთული მატჩი ელის რუსთავის "აზოტს" 30 ოქტომბერს. სპორტის სასახლეში ქვემოქართლელები ჰოლანდიის საუკეთესო გუნდს დაუპირისპირდებიან. "ამსტერდამმა" სეზონის დასაწყისიდან დღემდე თამაში საგრძნობლად გააუმჯობესა - ახლა უკვე გასვლით მატჩებსაც იგებს, თანაც 30-ქულიანი სხვაობით. მე-5 ტურში ამსტერდამელები "ლეიდენს" ესტუმრნენ და 93:63 დაამარცხეს.

გამარჯვებულთა შორის ყველაზე ეფექტური სტატისტიკა გამთამაშებელ **ტედი გიბსონს** ჰქონდა: 13 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა, 1 დაფარება. სნაიპერობა **ჯერონ რობერტსმა** და **ავის ვეიტმა** გაიყვეს - 19-19 ქულა მიითვალეს. ჰოლანდიის ნაკრების ორი წევრი **შტეფან ვესელსი** და **პეტრი პასანენი** შესაბამისად 13 და 11 ქულას დასჯერდნენ.

... ჩვენ მხოლოდ სტატისტიკას არ დავჯერდებით და გთავაზობთ "ამსტერდამის" მწვრთნელის არიკ შივეკის მოსაზრებას ევროთასსა და რუსთავის "აზოტზე". ქვემოთ მოცემული პუბლიკაცია ჰოლანდიური გუნდის ოფიციალური ვებ-გვერდიდან ავიღეთ.

ბელგიაში გატარებული ორი სეზონის შემდეგ **არიკ შივეკი** "ამსტერდამში" დაბრუნდა. იგი 2005 წელს მიღწეული შედეგის გამეორებას აპირებს - ჰოლანდიის ჩემპიონატის მოგება სურს. მწვრთნელი წარმატებაზე ფიქრობს ევროთასზეც, სადაც საქარველოს ნაკრების სამი კალათბურთელით გაძლიერებული "აზოტი-ენერჯი ინვესტი" დაუპირისპირდება. ქართველებს ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ, ხოლო ნიდერლანდელებს - გამოცდილი.

"აზოტის" წამყვანი მოთამაშე 21 წლის **ლაშა გამყრელიძეა**, რომელიც ორი წლის წინათ ავსტრიაში თამაშობდა და იტალიის სერია A-ს ერთ-ერთ კლუბში გადიოდა სინჯებს ("რეჯო ემილიაში"). იგი 2006 წელს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს B-დან A დივიზიონში გადასვლაში დაეხმარა. "ამსტერდამის" მეტოქეს ნაკრებში მოთამაშე კიდევ ორი კალათბურთელი ჰყავს. ახლახან კი ამერიკის კოლეჯების ლიგიდან ორი ახალგაზრდა დაიმატეს (**ბელტონ რივერსი და ანვარ ფერგიუსონი**).

*"ქართული კალათბურთი მაღალი ტემპით ვითარდება. ამის თქმის უფლებას მათი ნაკრები მაძლევს, რომელშიც NBA-ს კალათბურთელები თამაშობენ. ამიტომ არ შეიძლება ქართული კალათბურთი არ დააფასო"*, - აცხადებს "ამსტერდამის" ებრაელი თავკაცი არიკ შივეკი. იგი იქვე ევროთასის მეტოქეზეც საუბრობს.

*"როცა ახალგაზრდა გუნდის წინააღმდეგ თამაშობ, ყოველთვის მაქსიმალური ყურადღებაა საჭირო. ვნახოთ, ჩვენი გამოცდილება გადაწონის, თუ "აზოტის" ენთუზიაზმი".*

შივეკის აზრით, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, პირველი მატჩი ჰოლანდიაშია, თუ საქართველოში: *"თუკი ზოგადად ვიმსჯელებთ, საპასუხო შეხვედრის მასპინძლობა, შეიძლება უპირატესობად მოჩანდეს, მაგრამ მე სხვაგვარად ვფიქრობ - მნიშვნელობა არა აქვს შინ ვითამაშებთ, თუ გარეთ - ორივე მატჩი უნდა მოვიგოთ".*

"ამსტერდამის" მწვრთნელი სამომავლო გეგმებზეც საუბრობს: *"სადღეისოდ ჩვენი მთავარი მიზანი ევროთასის ჯგუფურ ეტაპზე შეღწევაა. ეს იოლი არ იქნება, ქართველთა გარდა ბელგიური "მონსის" ბარიერიც გადასალახავი გვექნება, მაგრამ მჯერა, რომ ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა შეგვიძლია. შემდეგი ნაბიჯი ჰოლანდიის ჩემპიონატში წარმატებული გამოსვლა უნდა იყოს. კლუბის მფლობელი საკმარის თანხას დებს, რათა უახლოეს 5 წელიწადში "ამსტერდამის" სახელი ევროპაში ხმაურიანად ჟღერდეს".*

ვაჟა სიმონიშვილი



ტედი გიბსონი

## მშვილდოსნობა

აზიის თასი

# ვერცხლი და ბრინჯაო ირანში

ისფაჰანში დასრულებულ აზიის თასის გათამაშებაში ხათუნა ნარიმანიძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა, ქრისტინე ესებუამ - ბრინჯაოსი, ასმათ დიასამიძემ - მეხუთე ადგილი დაიკავა. ნაკრები გუნდურ პირველობაშიც მესამე ადგილზე გავიდა.

სამწუხაროდ, ინდოელ დევი ბომბაილასთან ვერც ხათუნა ნარიმანიძემ გაიმარჯვა ფინალში ფინალში. ჯერ იყო და ბომბაილამ მეოთხედფინალოიდან ასმათ დიასამიძე გამოაგდო, მერე ქრისტინე ესებუასაც მოუგო, ფინალში კი ნარიმანიძეც დაჯაბნა - 111:103. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ასეთი ანგარიშით მოიგო ბრინჯაოსთვის ბრძოლა ესებუამ ტაივანელ ლაი იუ-სინთან.

გუნდურში ჩვენებმა მესამე ადგილი კი დაიკავეს, მაგრამ ტურნირში მხოლოდ... ოთხი გუნდი გამოდიოდა. პირველ წრეში ჩვენები ტაივანელებთან დამარცხდნენ - 215:210, ბრინჯაოსთვის გამართულ ბრძოლაში კი ირანელებს 215:200 მოუგეს.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სამბო**

## ჯერი უფროსებზეა

სერბულ სომბორში, ახლახანს, დამთავრებულ ახალგაზრდათა და ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენმა გუნდმა 11 მედალი მოიპოვა. აქედან 5 ჭაბუკებმა (1 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო), 6 - ახალგაზრდებმა (1 ვერცხლი და 5 ბრინჯაო)., ჭაბუკებმა ხარისხობრივი მაჩვენებლით იმარჯვეს, რადგან ერთადერთი ოქროს მედალი ამ გუნდის წევრმა **ილია ტყეშელაშვილმა** (56) მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ იგი აქამდე 52 კილოში გამოდიოდა. მისი თანაგუნდელებიდან **ირაკლი მერკვილაძემ** (81) და **მირიან გონჯილაშვილმა** (+87) ფინალები დათმეს, **გენადი ჩირგაძე** (52) და **გიორგი ბოლოთაშვილი** (87) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

ახალგაზრდებიდან ფინალში **მხოლოდ ბექა იმერლიშვილი** (68) გავიდა, **გიორგი გეჯაძემ** (48), **გიორგი ბახტაძემ** (62), **გიორგი იაძემ** (74), **ნუგზარ ბადაშვილმა** (100) და **ვახტანგ ზოიძემ** (+100) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

გუშინ, სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ეროვნული ნაკრების თავკაცმა **ოლეგ იაძემ,** სხვა ფედერაციების ანალოგიური ასაკის ნაკრებებთან შედარებით, ამ შედეგს წარმატებული უწოდა, თუმცა თავად სამბოს მიღწევებიდან გამომდინარე, მაინც უკმაყოფილოა. ისტორია ერთია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდებს მოსამზადებელი შეკრება არ გაუვლიათ და სერბეთში ავტობუსით გაემგზავრნენ, ბიჭებს საყვედური არ ეთქმით. იაძემ ისიც განაცხადა, რომ რადგან შეკრებებს ვერ გადიან, რაიონების წარმომადგენლებს, პრაქტიკულად, არც იცნობს და იმდენიც არ იცის, როგორ სტილში ჭიდაობენ, რომელ ილეთს იყენებენ და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. ამასთან, ბევრი მათგანი პირველად ჭიდაობდა უცხოეთში. მაგალითად, ჩირგაძე, რომელიც ასაკით გუნდშიც და ტურნირზეც ერთ-ერთი ყველაზე უმცროსი ყოფილა, მაგრამ ამას არ შეუშინდა და ბრინჯაოს გარდა, გუშინ, მწვრთნელთაგან ბევრი ქებაც დაიმსახურა. ისიც სათქმელია, რომ რამდენიმე მონაწილე მშობლიურმა ქალაქმა დააფინანსა - ქუთაისმა, ხაშურმა და გორმა, ორი კი კერძო პირთა დახმარებით წავიდა სერბეთში. იაძემ თურქეთის საზღვრებთან წარმოქნილი ხელოვნური ბარიერებიც გაიხსენა, როცა თურმე ყოვლად უმიზეზოდ 4-4 საათი აყურყუტეს და საგარეო საქმეთა სამინისტროს მსგავს ფაქტებზე რეაგირება სთხოვა, ვინაიდან ეს რეგულარული ხასიათისაა. ცხადია, შედეგებზე ამანაც იქონია გავლენა.

პრესკონფერენციაზე რამდენიმე მედალოსანზეც გამოხატეს გულისტკივილი, რადგან მათ დასანანი შეხვედრები წაუგიათ. მაგალითად, იმერლიშვილი დამთავრებამდე 3 წამით ადრე იგებდა, მაგრამ წააგო. მისი მარცხი ერთ-ერთი ყველაზე გულსატკენი აღმოჩნდა, რადგან ოქრომდე ასე მცირე დააკლდა.

იაძემ რამდენიმე სიტყვით ისაუბრა ეროვნულ ნაკრებზეც, რომელიც 7 ნოემბერს პრაღაში მიემგზავრება მსოფლიო პირველობაზე და აღნიშნა, რომ ისინი უკვე დღეს გლდანში დაიწყებენ შეკრებას. მსოფლიოზე 4-5 მედლის მოპოვებას გეგმავენ. მათ შორის, 2 ოქროსას.

**ირაკლი თავაძე**

**კრივი** — **მსოფლიო ჩემპიონატი**



კობა ფხაკაძე

## ლვამიჩავა+ფხაკაძე

**ჩიკაგოში გაიმართა მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დღის ორთაბრძოლები. სამწუხაროდ, კიდევ ორი ქართველი გამოეთიშა მსოფლიო ჩემპიონატს ნაადრევად, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხრიდან ექვსი ქართველილა იბრძოლებს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის.**

57 კილოგრამში, **კობა ფხაკაძემ** ქულებით, საკმაოდ დამაჯერებლად (24:10) მოუგო ბოსნიელ ადნან ჰაძინაჯიჩს. მეორე წრეში კობა 27 ოქტომბერს შეხვდება ჩინელ იანგ ლის.

75 კილოგრამში, **გიორგი ნაკანი** პირველსავე წრეში ათენის ოლიმპიადის ჩემპიონს, ყაზახ ბახტიარ არტაევს გადაეყარა. პირველ რაუნდში, გიორგიმ შეუპოვარი ბრძოლა გაუმართა მრისხანე მეტოქეს და მხოლოდ 6:7 დამარცხდა. მეორე რაუნდიდან კი ყაზახმა იგდო ხელთ ინიციატივ და 16:8 დაწინაურდა. იქვე, ნაკანმა ტრავმაც მიიღო და რეფერიმ გამარჯვება არტაევს უბოძა.

დამარცხდა მძიმეწონისანი **ბექა ლობჟანიძეც,** რომელმაც ბულგარელ კუბარტ ფულევს ვერ მოუხერხა ვერაფერი - 2:12.

შეგახსენებთ, პირველ დღეს მეორე წრეში გავიდა **ლევან ლვამიჩავა** (64), დამარცხდა **ნიკოლოზ იზორია** (54). ასპარეზობის მესამე დღეს რინგზე გამოვა კიდევ ორი ქართველი. **ვასილ ყაზიშვილი** (60 კგ) ხვდება სამხრეთ აფრიკელ ოვეტუ მბირას, ხოლო **კახა ჟვანიას** (69 კგ) მეტოქეა მასპინძელი დემეტრუს ანდრადე.

**კობა ხატისაშვილი**

**ჭადრაკი**

## შავლეგ შამუგია და პატარა გალელი მოჭადრაკეები

**შავლეგ შამუგია** ფიდეს ოსტატია და მოსკოვში, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეორე კურსზე სწავლობს. იშვიათად რომ საქართველოში, კერძოდ თბილისში ვიხილოთ, რადგანაც აფხაზეთიდან, გალის რაიონის სოფელ გაგიდიდან არის და თუკი სამშობლოში ჩამოსვლა უხერხდება, პირველ რიგში, ოჯახში მიდის, სადაც დედა ელოდება. - სამწუხაროდ, დედას ჯანმრთელობის გამო, შვილის ყურადღება ყველაზე მეტად სჭირდება...

შავლეგი მშობლიურ სოფელში ისეთ საქმეს აკეთებს, მთელი ქვეყნის ყურადღების ღირსია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამით ვერ ანებივრებენ. სამაგიეროდ, აფხაზების თვალსა და ყურს ესმის ხშირად ცუდად მისი საქმენი და, მართალია, აშკარა კონფრონტაციამდე ჯერ საქმე არ მისულა, გზავნილი ხშირად მიუღია - ჭკუით იყავი, თორემო...

საქმე ის გახლავთ, რომ შავლეგი გაგიდის სკოლაში ჭადრაკს ასწავლის და, როცა გაწეული სამუშაოს ნაყოფის ხილვა, ბავშვების ცოდნის შემოწმება სურს, ენგურის გაღმოლმა გადმოდის და ხან ზუგდიდ-სენაკში აჯიბრებს თანატოლებს, ხანაც ქუთაისში ჩაჰყავს. დამეთანხმებით, მეტად საშარო საქმეა - აფხაზები ასეთ "თვითშემოქმედებას" არ ეთაყვანებიან და ქართველ პედაგოგს დანის პირზე სიარული უწევს. მიუხედავად ამისა, შამუგია მეტის გაკეთებას ცდილობს და სულაც არ აშინებს პრობლემები, თავის გეგმებზეც დიდი სიამოვნებით გაესაუბრა "ლელოს".



შავლეგ შამუგია მოწაფეებთან

**- შავლეგ, ამჯერად დედაქალაქში მარტო ხართ, რა არის ჩამოსვლის მიზეზი?**

- 2004 წელს გალში, ჩემ სოფელში დავაფუძნე საჭადრაკო კლუბი "ირაკლი". რამდენიმე ტურნირიც ჩავატარე, სადაც გალის რაიონის მოჭადრაკეებმა მიიღეს მონაწილეობა. ამათგან გამორჩეული ტურნირი აბელ გოგუას მემორიალია, რომელიც გალის გამგებელი იყო და აფხაზებმა რამდენიმე წლის წინათ სასტიკად აწამეს და მოკლეს.

კლუბს სახელი კი დავარქვი, მაგრამ მისი ოფიციალური რეგისტრაცია არ მომხდარა. თბილისში ამ მიზნით ვარ - დავრეგისტრირდებით, გვექნება ჩვენი ანგარიში ბანკში, ბეჭედი და ყველა ის ატრიბუტიკა, რაც კლუბის ფუნქციონირებისთვის არის საჭირო. ამის შემდეგ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთანაც უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლებთ და პერიოდულად ჩავერთვებით საჭადრაკო ცხოვრებაში.

**- როგორც ვიცით, ასეთი თანამშრომლობა უხიფათო არ არის - მწარე გამოცდილებაც გაქვთ...**

- მართალი ბრძანდებით: 2006 წელს ქუთაისში სტუმრობისას სოხუმში მცხოვრები აფხაზი გოგონა მილანა ხაფავა მყავდა გუნდში. ეს აფხაზებმა გაიგეს, დაბრუნების შემდეგ მილანას დედა დაიჭირეს და სამი დღე პატიმრობაში ჰყავდათ. არც მე მიყურებდნენ კარგი თვალით და რომ არა ჩემი მოსკოვში გამგზავრება, ალბათ, დამაპატიმრებდნენ. ნაცნობმა აფხაზმა მილიციელმა მითხრა - სტუდენტი რომ გახდი, ამან გიშველაო. ეტყობა ბრაზმა გაუარათ, თორემ სტუდენტობა რა იმუნიტეტის მატარებელია...

**- ხაფავების ოჯახთან დღეს თუ გაქვთ კონტაქტი?**

- სამწუხაროდ, არა - თავად აღარ სურთ, რაც სრულიად გასაგებია. მთავარია, რომ ოჯახს არაფერი დაუშავდა.

**- იმის ნაცვლად, რომ მუშაობა შეგენყვიტა, უფრო აფართოებ საზღვრებს. ეს მეტად არ გაალიზიანებს აფხაზებს?**

- არ ვიცი, შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ არ მეშინია და ჩემი საყვარელი საქმე უნდა ვაკეთო. ადრე ჩემს სახლში ვამეცადინებდი ჩუმად ბავშვებს, ახლა სოფლის სკოლაში გადავედით. მსურველთა რიცხვი დღითიდღე მატულობს, თუმცა ჯერ მხოლოდ ქართველები სწავლობენ. მჯერა, მალე აფხაზი მოწაფეებიც გამოჩნდებიან.

**- რამდენი მწვრთნელი მუშაობს ბავშვებთან და ფინანსურად ვინ უზრუნველგყოფთ?**

- ფინანსურად ჩემი ძმა - ირაკლი გვეხმარება, რომელიც ბიზნესმენია და სანკტ პეტერბურგში ცხოვრობს. კლუბსაც მისი სახელი ჰქვია. სამწუხაროდ, მწვრთნელი მარტო მე ვარ - სხვა ასეთ პირობებში სამუშაოდ ვერ ჩამოვა. ამის გამო, ნიჭიერ ბავშვებს თბილისსა და სენაკში ვაგზავნი და ცნობილი ქართველი მწვრთნელები მეხმარებიან. მაგალითად, თემურ ლურწკაიას სენაკში გოჩა ტყებუჩავა ავარჯიშებს; ვეფხვია ხუბულავას კი თბილისში დავით გურგენიძე და გიორგი მაჭარაშვილი წვრთნიან. სხვათა შორის, ესენი გახდნენ პრიზიორები წლეულს გამართულ აბელ გოგუას მემორიალზე: ვეფხვია ხუბულავამ 7 შესაძლებლიდან 6.5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა; თემურ ლურწკაია კი 5 ქულით მესამეზე გავიდა. მეორე ადგილი 6 ქულით გამოცდილმა რომეო საჯაიამ დაიკავა - საჯაია უფროსი თაობის მოჭადრაკეა. აღსანიშნავია, რომ ხუბულავა 12 წლის არის, ლურწკაია კი - 9-ის.

გამარჯვებული გოგონათა შორისაც გამოვლინდა: გამარჯვებული 13 წლის ნონა ფარულავა გახდა. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს სპეციალური პრიზები, მედლები და დიპლომები გადავეცით, სადაც ქართული ტექსტი იყო ჩაბეჭდილი.

**- კლუბის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის მეტი ყურადღება და ხელშეწყობაა საჭირო. თქვენს გარდა გაგიდში მწვრთნელი არ არის, თქვენ კი მოსკოვში სწავლობთ...**

- საქმე ის არის, რომ დაუსწრებელ ფაკულტეტზე უნდა გადავიტანო საბუთები და სოფელში დავბრუნდები. დედა ვერ არის კარგად და მასაც სჭირდება ყურადღება.

**- საჭადრაკო ინვენტარი თუ გაქვთ?**

- ბევრიც არაფერი: 20 მაგიდა ფიგურებით და ხუთიოდე საათი. ცხადია, ინვენტარი უმნიშვნელოვანესია და ნელნელა ამ პრობლემასაც მოევლება. ძირითადად, ჩემი ძმის იმედად ვარ - საჭირო თანხებს შემოგვაშველებს; იმის იმედი მაქვს, რომ საქართველოშიც გამოჩნდებიან ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც ხელს გაგვიმართავს; ამ მხრივ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაც დაგვპირდა დახმარებას და წინასწარ დიდ მადლობას მოვახსენებ ფედერაციის ხელმძღვანელობას.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## ჰოვარდმა მაჯა დაიზიანა

"დალას მავერიქსის" ფორვარდმა **ჯოშ ჰოვარდმა**, "ჩიკაგოსთან" საკონტროლო შეხვედრაში მაჯის ტრავმა მიიღო. ჰოვარდმა ხელი მაშინ იტკინა, როცა ჩიკაგოელი **ბენ გორდონის** ტყორცნის დაფარება სცადა.

სამედიცინო შემოწმებამ მოტეხილობა არ დააფიქსირა, თუმცა კალათბურთელს მაინც მოუწევს გარკვეული ხანი უქმად ყოფნა. თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს იძულებითი პაუზა, ამას მორიგი სამედიცინო გამოკვლევა დაადგენს.

ისე კი, ჰოვარდს ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს რეგულარული ჩემპიონატის პირველი ორი მატჩის გამოტოვება: მას ერთ-ერთ საწვრთნელ შეხვედრაში ჩხუბის გამო, ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

## ანტუან უოკერი მგელი გახდა

რეგულარული ჩემპიონატის წინ, მოთამაშეები გაცვალეს "მაიამი ჰიტმა" და "მინესოტა ტიმბერვულვზმა".

"მაიამიმ" "მგლებთან" გაუშვა "ყველა ვარსკვლავის მატჩის" სამგზის მონაწილე **ანტუან უოკერი**, სათადარიგო ცენტრი **მაიკლ დოლეაკი** და ფორვარდი **უეინ სიმიენი**, მათ სანაცვლოდ კი, ორი მოთამაშე - მცველი **რიკი დევისი** და ცენტრი **მარკ ბლაუნტი** მიიღო. გარდა ამისა, "ჰიტს" მომავალი დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის უფლების დათმობაც მოუწია.

## ამარემ ვარჯიში დაიწყო

"ფინიქს სანზის" ძირითადმა ცენტრმა **ამარე სტაუდმაიერმა** ვარჯიშები განაახლა. NBA-ის ვარსკვლავმა 2 ოქტომბერს გაიკეთა მუხლზე ოპერაცია და გუშინ, პირველად გამოჩნდა მოედანზე.

ამარემ დაახლოებით ერთი საათი დაჰყო პარკეტზე და საკმაოდ ენერგიულადაც გამოიყურებოდა - წერს სააგენტო AP.

## ევროლიგაზე ყრუ კალათბურთელმა ითამაშა

უცნაური ფაქტი დაფიქსირდა ევროლიგის ჯგუფური ტურნირის პირველ ტურში. იტალიის "მონტეპასკისა" და სლოვენიის "ოლიმპიას" შეხვედრაში, პირველად ტურნირის ისტორიაში დებიუტი ჰქონდა ყრუ კალათბურთელს.

"ოლიმპიას" 25 წლის ფორვარდმა **მიჰა ჟუპანმა** მოედანზე 13 წუთი დაჰყო და საკმაოდ ნაყოფიერადაც გაისარჯა. მის ანგარიშზე 5 ქულა, 3 მოხსნა, 2 შედეგიანი პასი და 1 ჩაჭრა იყო. თავად შეხვედრა "მონტეპასკიმ" დიდი ანგარიშით - 80:52 მოიგო.

ჟუპანი მოედანზე ყურში სპეციალური მოწყობილობით გადის, რომლის მეშვეობითაც ახლო ხმების გაგონების საშუალება. სლოვენიელ ფორვარდს შარშან უნდა ჰქონოდა დებიუტი ევროლიგაში, მაგრამ მას ამაში ხელი იურიდიული სახის გარემოებებმა შეუშალეს.

ჰოკეი

## ედმონტონმა ძირითადი მცველი დაკარგა

"ედმონტონ ოილერზის" მცველ **იონი პიტკანენს** ტრავმირებულ მუხლზე ართროსკოპიული ოპერაცია ესაჭიროება. ასეთი დასკვნა გამოიტანეს ექიმებმა მას შემდეგ, რაც 24 წლის ჰოკეისტმა "კალგარისთან" მატჩში ტრავმა მიიღო.

წლევანდელ რეგულარულ ჩემპიონატში პიტკანენმა 8 მატჩის ჩატარება მოასწრო და ორი ქულა (1+1) დააგროვა.

## ეიბიშერი ფარმკლუბში გაუშვეს

"ფინიქს კოიოტსის" ხელმძღვანელობამ ფარმკლუბში გაუშვა ცნობილი შვეიცარიელი მეკარე **დავიდ ეიბიშერი**.

ამ ჰოკეისტმა "ფინიქსთან" კონტრაქტი 2007 წლის ზაფხულში გააფორმა, მაგრამ **ალექს ოლდთან** და **მიკაელ ტელკვისტთან** კონკურენციას ვერ გაუძლო. 10 ოქტომბერს, "კოლამბუსთან" წაგების შემდეგ, ეიბიშერი "კოიოტსის" კარში აღარ ჩამდგარა.

2001 წელს, შვეიცარიელი გოლკიპერი "კოლორადო ეველანშის" რიგებში სტენლის თასის მფლობელი გახდა.

## სალმელაინენი სამშობლოში დაბრუნდა

"ტორონტო მეიპლ ლივზმა" ფინელი ფორვარდი **ტონი სალმელაინენი** დისკვალიფიკაციით დასაჯა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ფარმ-კლუბში გაგზავნილმა ფინელმა, დაბალ ლიგაში თამაში არ მოისურვა, სამშობლოში დაბრუნდა და იქ ერთ-ერთ კლუბში გააგრძელა კარიერა.

26 წლის სალმელაინენმა, აგვისტოში გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი "ტორონტოსთან", მაგრამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ვერ მოახერხა.

## პროფკავშირს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

დადასტურდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ პროფესიონალ ჰოკეისტთა პროფკავშირის ახალ თავმჯდომარედ ბოსტონელი ადვოკატი **პოლ კელი** უნდა დანიშნულიყო.

გუშინ, ამის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდა ტორონტოში გამართული სპეციალური პრესკონფერენციის დროს.

კელიმ ამ პოსტზე მაისში განთავისუფლებული **ტედ სასკინი** შეცვალა, რომელიც ჰოკეისტების პირად მეილ-ბოქსებს უნებართვოდ ამოწმებდა.

## მსოფლიო თასი გაუქმდა

გუშინ, ციურიხში ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციისა და ეროვნული ფედერაციების ხელმძღვანელთა მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

მთავარი სიახლე ის არის, რომ შეიცვალა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ფორმულა. ამიერიდან, წლის მთავარ ტურნირზე არა 16, არამედ 14 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

მეორე გადაწყვეტილება ნამდვილად არ ესიამოვნებათ ჰოკეის მოყვარულებს. გაუქმდა სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო თასის გათამაშება, ვინაიდან საერთაშორისო ფედერაციისა და NHL-ის ხელმძღვანელობა, ამ ტურნირის საორგანიზაციო საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ.

შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად, 70-იანი წლებიდან მოყოლებული, კანადის თასი ტარდებოდა. მთავარი პრიზის ხუთჯერ გათამაშების შემდეგ, 1991 წელს ტურნირმა არსებობა შეწყვიტა, მაგრამ იქვე შეიქმნა ანალოგიური შეჯიბრი, სახელწოდებით - მსოფლიო თასი, რომელიც სულ ორჯერ გათამაშდა (1996, 2004).

ამ ტურნირებზე ხუთჯერ გაიმარჯვა კანადის ნაკრებმა, თითო-თითო გამარჯვება ჰქონდათ სსრკ-სა და აშშ-ის ნაკრებებს.

ტურ დე ფრანსი

# განონასწორებული ტურ დე ფრანსი

ტურ დე ფრანსის ორგანიზატორებმა პარიზში მოაწყვეს მომდევნო სეზონის ველომარათონის მარშრუტის პრეზენტაცია. ორგანიზატორთა განცხადებით, მათ ყველაფერი ილონეს იმისთვის, რომ მაქსიმალურად დაბალანსებული მარშრუტი შეედგინათ.

ამჯერად, აქცენტი სამთო ეტაპებზეა გადატანილი, დროზე რბოლის სპეციალისტებს კი თავის გამოჩენის ნაკლები შანსი ექნებათ. წინასწარვე შეიძლება იმის თქმა, რომ ერთ-ერთი გადამწყვეტი იქნება ლეგენდარული ალპ დ'უზის აღმართი, რომლის შემდეგაც, ჩემპიონობის პრეტენდენტთა ვიწრო წრე გამოვლინდება.

რბოლა სტარტს 5 ივლისს, პროვინცია ბრეტანის ქალაქ ბრესტში აიღებს. პელოტონი საათის ისრის საწინააღმდეგოდ იმოძრავებს. პირველ რიგში, ის პირენეის მთიანეთს მიაკითხავს, შემდეგ კი ფრანგულ რივიერას გვერდს აუვლის და ალპებს მიადგება, სადაც გადამწყვეტი ეტაპები გაიმართება. სულ გასავლელია 3 554 კილომეტრი, დროზე ორი ინდივიდუალური რბოლა და ხუთი სამთო ეტაპი, რომელთაგან ოთხი აღმართზე დასრულდება.

*"მარშრუტის შედგენისას, ჩვენ გვინდოდა, რომ რბოლის პირველი კვირა სამთო ეტაპების გარეშე ჩაგვეტარებინა. ჩვენ სწრაფად გავივლით გზას ბრეტანიდან პირენეის მთიანეთამდე, რის შემდეგაც ველომარათონი გადამწყვეტ ფაზაში შევა და თავის გამოჩენის საშუალება ფავორიტებსაც მიეცემათ. რაც მთავარია, სხვადასხვა სტილის ველომრბოლელებს ნებისმიერ ეტაპზე შეეძლებათ შეტევის დაწყება და შესაბამისად, მათ ეტაპის მოგების შანსიც ექნებათ",* - განაცხადა ფრანგული ტურის დირექტორმა **კრისტიან პრიუდომმა**.

რაც მთავარია, პრიუდომმა იმედი გამოთქვა, რომ ამიერიდან, ფრანგულ ტურს აღარ დაამძიმებს დოპინგ სკანდალები, რომელთა გამოც, ველოსპორტს სახელი აქვს გატეხილი. *ჩვენი დევიზია - "დაუბრუნდით სპორტს"*, - განაცხადა ტურის ორგანიზატორის, "ამორი სპორტ ორგანიზასიონის" (ASO) პრეზიდენტმა **პატრის კლერმა**.

შეგახსენებთ, რომ გასული ტურის დროს, ასპარეზობა დაატოვებინეს რბოლის ყაზახ ფავორიტ **ალექსანდრ ვინოკუროვს** და რბოლის ლიდერს, დანიელ **მიქაელ რასმუსენს**. პირველმა დოპინგ-ტესტი ჩააგდო, მეორე კი დოპინგტესტების შეგნებულად გაცდენაში იყო ექვმიტანილი.

სიახლეებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამიერიდან, ეტაპების მოგებისთვის, ველომრბოლებს დროითი ბონუსები აღარ დაეწერებათ. ტურის საშეჯიბრო დირექტორი **ჟან-ფრანსუა პეშო** ამბობს, რომ პირველ ეტაპებზე გამარჯვების შანსი სპრინტერების გარდა, სხვა (უნივერსალ) ველომრბოლებსაც ექნებათ. მაგალითად, პირველი ეტაპის ბოლო, ორკილომეტრიანი მონაკვეთი დაღმართზე იქნება, რაც ამ ტიპის გზების სპეციალისტებს თავის გამოჩენის საშუალებას აძლევს.

*"ჩვენ გვინდა, რომ ტური კვლავ რომანტიული გახდეს და ყველაფერს ვილონებთ ამ მიზნის მისაღწევად"*, - ამბობს პრიუდომი.

აღსანიშნავია, რომ წარმოშობით ბრეტანიდან არიან ტურის ხუთგზის ჩემპიონი **ბერნარ ინო**, სამგზის ჩემპიონი **ლუისონ ბობე** და ორგზის ჩემპიონი **ლუსიენ პეტიტ-ბრეტონი**. ამ პროვინციას სამი ჩემპიონი ჰყავს და პელოტონიც იქ სწორედ სამ ეტაპს გაივლის.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი - 1966 წლის შემდეგ პირველად, რბოლა პროლოგით არ დაიწყება. ველომრბოლებს დროზე პირველი რბოლა მეოთხე ეტაპზე ელით. ოღონდ, მარშრუტი მოკლეა (29 კმ).

შარშანდელთან შედარებით, ველომრბოლელებს ერთით ნაკლები სამთო ეტაპი ექნებათ გასავლელი. სამაგიეროდ, აღმართზე ფინიში ერთით მეტი იქნება. სამთო გადასასვლელთა რაოდენობა 21-დან 19-მდე შემცირდება.

ყველაზე რთული ალპ დ'უზის ეტაპი იქნება, რომელზეც ველომრბოლებს ორი უმაღლესი კატეგორიის სამთო მონაკვეთის (კრუა დე ფერი და ლეგენდარული გალიბიერი) გავლა მოუწევთ. ამ ურთულესი ეტაპის შემდეგ კი ფავორიტებს საბოლოო ადგილების განაწილებაში დროზე ინდივიდუალური რბოლა (მეორე, 53 კმ-იანი) დაეხმარება. და, როგორც ყოველთვის, რბოლა პარიზში, შონზ ელისეზე დასრულდება, სადაც პელოტონი რამდენიმე საალუთო წრეს გაივლის.

პრიუდომის თქმით, დასვენების დღეებში ველომრბოლებს აღარ მოუწევთ სხვა ტრანსპორტით მგზავრობა, რაც მათ ძალების აღდგენისთვის გამოადგებათ. დაბოლოს, მართალია, ამჯერად რბოლა ბრიტანეთში არ იწყება, მაგრამ პელოტონს საზღვრის გადალახვა ერთხელ მაინც მოუწევს. კერძოდ, მე-15 ეტაპზე ველომრბოლები იტალიას ეწვევიან და ეტაპს პრატო ნევოზოში დაასრულებენ. მომდევნო დღეს მათ დასვენება იტალიისვე კუნეოში მოუწევთ, რის შემდეგაც, მომდევნო ეტაპზე ევროპის უმაღლეს გადასასვლელს, 2 802-მეტრიან კოლ დე ლა ბონეტს გაივლიან.

სულ მარშრუტში შედის: 10 ეტაპი ვაკე ადგილებში, 5 სამთო და 4 გორაკიანი ეტაპი და ორიც დროზე ინდივიდუალური რბოლა, რომელთა საერთო მანძილი 82 კილომეტრია. ამჯერად არ იქნება დროზე გუნდური რბოლა. ველომრბოლელები ორჯერ დაისვენებენ, სამაგიეროდ, მათ ოთხი ურთულესი სამთო ფინიში ელით. საერთო ჯამში, გასავლელი იქნება პირველი, მეორე და უმაღლესი კატეგორიის 19 სამთო მონაკვეთი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



პრიუდომი ტურის მარშრუტს წარმოადგენს

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 5:3**

1:1, 3:1, 1:1

**გოლები:** 1:0 კ. კლარკი-1 (ოვეჩკინი-3), 1:1 ჯ. უორდი-1 (ბ. რიჩარდსი-4, რეინჯერი-7), 2:1 სტეკელი-1 (ოვეჩკინი-4, ვიქ. კოზლოვი-2), 2:2 რეინჯერი-1 (ბ. რიჩარდსი-5, ჯ. უორდი-2), 3:2 ლეიჩი-2 (პეტინგერი-1, შ. მორისონი-1), 4:2 კ. კლარკი-2 (პოტიე-3, ნიულანდერი-4), 4:3 სენტ ლუისი-2 (პროსპალი-3, დერჩი-2), 5:3 ოვეჩკინი-5 (პოტიე-4).

**კაროლინა-ბაფალო 6:2**

1:1, 1:1, 4:0

**გოლები:** 1:0 ბრინდამორი-2 (ჯასტინ უილიამსი-9, ვალინი-1), 1:1 პომინვილი-4 (კონოლი-8, ჰეხტი-3), 2:1 რეი უიტნი-4 (ბრინდამორი-11, ჯასტინ უილიამსი-10), 2:2 პომინვილი-5 (დ. რუა-4, კონოლი-9), 3:2 ე. სტაალი-7 (ჰედიკანი-1, კ. ოკუანი-1), 4:2 ჯ. ჰემილტონი-3 (ე. სტაალი-4, კულენი-5), 5:2 სტილმანი-4 (კომოდორი-1, ჰედიკანი-2), ჰედიკანი-2 (სტილმანი-6, ე. სტაალი-5).

**ფლორიდა-ფილადელფია 4:3**

2:0, 1:2, 1:1

**გოლები:** 1:0 ო. იოკინენი-3 (ბოუმისტერი-2, ჟედნიკი-1), 2:0 ო. იოკინენი-4 (ჟედნიკი-2, კ. მერფი-6), 2:1 ლუპული-3 (მ. რიჩარდსი-5, ტიმონენი-5). 2:2 ჯ. კარტერი-5 (უმბერგერი-4), 3:2 გ. კემპბელი-1 (კრეპსი-1, ალენი-1), 4:2 გ. კემპბელი-2 (დვორაკი-3, ალენი-2), 4:3 კუკონენი-1 (ლუპული-6, ბრიერი-8).

**დეტროიტი-ვანკუვერი 3:2**

1:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ელისი-2 (სამუელსონი-4, რაფალსკი-7), 2:0 ჰოლმსტრიომი-6 (რაფალსკი-8, ლიდსტრიომი-6), 2:1 კუკი-2 (ედლერი-1, ბაროუზი-4), 3:1 ჰოლმსტრიომი-7 (ზეტერბერგი-11, დაციუკი-9), 3:2 დ. სედინი-4 (ჰ. სედინი-7, კრაიჩეკი-4).

**კალგარი-მინესოტა 5:3**

0:3, 3:0, 2:0

**გოლები:** 0:1 როლსტონი-4 (ბუშარი-6, შეპარდი-1), 0:2 პერიში-3 (კ. იონსონი-2, გაბორიკი-6), 0:3 ვალცი-1 (რადივოევიჩი-3, გაბორიკი-7), 1:3 იგინლა-6 (ლენგკოუ-5), 2:3 ფანოფი-3 (ტანგეი-9, ა. ოკუანი-4), 3:3 ტანგეი-1 (იგინლა-9, ლენგკოუ-6), 4:3 ტანგეი-2 (ა. ოკუანი-5, იგინლა-10), 5:3 რეგერი-1 (ნოლანი-2, ლომბარდი-3).

**ტურის მიმოხილვა**

- "ვაშინგტონმა" შეწყვიტა ოთხმატჩიანი წაგებათა სერია.

- გუშინდელ დღემდე, "კეპიტალზს" საშუალოდ მატჩში ორი შაიბა გაჰქონდა და სეზონის არცერ შეხვედრაში არ გაეტანა ორზე მეტი გოლი.

■ ■ ■

- "კაროლინამ" 2005-06 წლების სეზონის შემდეგ პირველად მოუგო "ბაფალოს". შარშან, "სეიბრზმა" ოთხიდან ოთხივე შემთხვევაში შეძლო "ჰარიკეინზის" დამარცხება.

- კაროლინელთა მეკარე **კემ უორდს** ამ სეზონში ექვსიდან ექვსი შეხვედრა აქვს მოგებული.

- "ბაფალომ" ამ რეგულარულში სამივე შეხვედრა წააგო სტუმრად და მხოლოდ ექვსი გოლი გაიტანა.

- "სეიბრზი" ზედიზედ სამი მატჩია წაგებული ტოვებს ყინულს.

- "კაროლინას" ლიდერი **როდ ბრინდამორი** ზედიზედ შვიდი მატჩია უქულოდ არ ტოვებს მოედანს.

■ ■ ■

- ფინელი ფორვარდი **ოლი იოკინენი** "ფლორიდას" ყველა დროის ლიდერი გახდა გოლებითა და ქულების რაოდენობით. "პანტერზის" კაპიტანმა ამ გუნდის რიგებში 355-ე ქულა და 158-ე გოლი მიითვალა, რითაც **სკოტ მელანბის** ორი რეკორდი გააუმჯობესა.

- შეწყდა "ფილადელფიას" ხუთმატჩიანი მოგებათა სერია.

- "ფლორიდამ" 42 ზუსტი დარტყმა შეასრულა.

- წინა მატჩებში, "ფილადელფია" ზედიზედ 15 პერიოდი ერთ გოლზე მეტს არ უშვებდა თითო 20-წუთეულში.

■ ■ ■

- "ვანკუვერმა" მხოლოდ 15 ზუსტი დარტყმა შეასრულა.

- "კენაქსის" მეკარე **რობერტ ლუონგომ** 36 დარტყმა მოიგერია.

- "დეტროიტმა" სეზონში მეათე შეხვედრა ჩაატარა და თითოეულ მატჩში, შვედი **ჰენრიკ ზეტერბერგი** მინიმუმ ერთ ქულას აკეთებდა. ეს ფორვარდი ლიგის საუკეთესო ბომბარდირია - მას 7 გოლი და 11 შედეგიანი პასი დაუგროვდა.

■ ■ ■

- "მინესოტამ" სეზონში პირველად წააგო ძირითად დროში. მანამდე, "ველურებს" 16 შესაძლებლიდან 15 ქულა ჰქონდათ მოპოვებული - 7 მოგება და ერთი მარცხი ოვერტაიმში.

NBA. სეზონის წინ

# ვინ, სად, როდის?

## ფინიქსის ოთხწლიანი გარანტია და კობის ფაქტორი

ძალიან მალე დაიწყება პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ჩემპიონატი, რომელსაც NBA-ის რეგულარული ჰქვია. გუნდები თითქმის სრულად დაკომპლექტდნენ და წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობაც გაირკვა. დამდეგ რეგულარულში აქცენტი ბევრ საინტერესო ნიუანსზე გაკეთდება, ამჯერად კი გთავაზობთ 5 გამორჩეულ მოვლენას, რომლებსაც, ალბათ, ყველაზე დიდი ყურადღება დაეთმობა.



ამარე სტაუდმაიერი

### დარჩება სონიქსი სიეტლში?

**კევინ დიურანი** "სიეტლ სუპერსონიქსის" ახალი სახე უნდა გახდეს. ამ მიზეზით ბოსებმა გუნდიდან გაუშვეს **რეი ალენი** და **რაშარდ ლუისს** ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს, მაგრამ ყველაფერი გაქარწყლდება, თუ სიეტლის მერია, ერთი-ორი მილიარდერი და კიდევ ორი-სამი ორგანიზაცია საერთო ენას ვერ გამონახავენ. "სიეტლის" "ქი არენა" კიდევ ორი წლით ოკლაჰომელ მილიარდერს, ვინმე **კლეი ბენეტს** ეკუთვნის, რომელიც უკმაყოფილოა ბილეთების რეალიზაციითა და ორგანიზაციის პიარმენეჯმენტით, რის გამოც უკვე მესამე სეზონია "სონიქსის" გაყიდვას ლამობს.

"სონიქსის" საბაზრო ფასი 678 მილიონი დოლარია.

### ნიქსი: ფავორიტი თუ იმედგაცრუება?

"ნიქსის" ახალწვეული **ზაკ რენდოლფი**, გუნდში ლამის **ქარიმ აბდულ-ჯაბარად** ალიქვეს, **სტეფონ მარბერი** კი, თითქოსდა წესიერ კაცად იქცა და მეს ნაცვლად პირველ ადგილზე გუნდი ჰყავს დაყენებული.

აღმოსავლეთის უფსკრულიდან ლიგის ფავორიტობამდე ერთ სეზონში აღზევება უამრავ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. მთავარ მწვრთნელ **აიზია ტომასს** კონფერენციაში ერთ-ერთი უძლიერესი ტანდემი (მარბერი-რენდოლფი) ჰყავს, დანარჩენები კი, ამ ორ კაცს გვერდით მაგრად თუ დაუდგებიან, შედეგიც იქნება.

მოკლედ, "ნიქსში" ძალიან ბევრს ელიან გუნდისგან, რომელიც სახელებით (მარბერი, რენდოლფი, **ჯამალ კროუფორდი, ედი კარი, ჯარედ ჯეფრიზი, დევიდ ლი, კვენტინ რიჩარდსონი**) აღმოსავლეთში მხოლოდ "დეტროიტს", "მაიამისა" და "ბოსტონს" თუ ჩამოუვარდება. ამავე დროს, ატმოსფერო უნდა შეიცვალოს და ერთსულოვნების ხარჯზე აიზია ტომასმა ისეთი გუნდი უნდა დააყენოს, რომელიც ფლეი ოფში, მინიმუმ, პირველ წრეს მაინც გაივლის.

### სანზის გადამწყვეტი სეზონი

თავის დროზე, **მაიკლ ჯორდანმა, სკოტი პიპენმა** და **ჰორას გრანტმა** ჩემპიონობა ერთად ყოფნიდან მეოთხე სეზონში მოიპოვეს. იგივე განმეორდა "ლეიკერსში" **შაკილ ონილისა** და **კობი ბრაიანტის** შემთხვევაშიც. "ბულზი" ტრიუმფისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა, "ლეიკერსმა" კი მას მერე მოახერხა ყველას დამარცხება, რაც **ფილ ჯექსონმა** გუნდში პირველი სრული სეზონი ჩაატარა.

იგივე სიტუაციაა "ფინიქსშიც", სადაც **შონ მერიონი, ამარე სტაუდმაიერი** და **სტივ ნეში** ერთად მეოთხე სეზონს დაიწყებენ. პრინციპში, იგივე სიტუაციაა "დალასშიც"- ტეხასში **ეივერი ჯონსონს** ზედიზედ მეოთხე სეზონია **დირკ ნოვიცკი, ჯეისონ ტერი, ჯოშ ჰოვარდი** და **ჯერი სტექჰაუზი** ეყოლება. ამ ორ გუნდში უპირატესობა მაინც "ფინიქსის" მხარესაა, რადგან წელს, არიზონელებს "მავერიქსზე" კარგი გუნდი ეყოლებათ, მით უმეტეს, რომ მათ თვით **გრანტ ჰილი** დაიმატეს.

"ფინიქსის" კოზირი ამჯერადაც უსწრაფესი შეტევა იქნება, მაგრამ საკითხავია, რამდენად გაქაჩავენ "მორზენლები" ფლეი ოფში, სადაც დაცვისა და გამოცდილი ცენტრის გარეშე წარმატების მოპოვება პრაქტიკულად შეუძლებელია.

### სელტიქსის ამბიციები

ლიგის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი სეზონს უდიდესი ამბიციებით ხვდება. დიდი სამეული (**კევინ გარნეტი-პოლ პირსი-რეი ალენი**) ლიგაში უდავოდ საუკეთესოა, მაგრამ მათ ზურგს არათუ საფლეიოფო, არამედ რეგულარულისთვისაც კი გამოუსადეგარი ხალხი "უმაგრებს".

**ლარი ბერდის, კევინ მაქჰეილის, რობერტ პერიშის,** მანამდე კი **ბილ რასელისა** და **ბობ კოუზის** ეპოქალური გუნდები ამ საეჭვო ფორმაციამ უნდა შეცვალოს? ვნახოთ, თუმცა სამ კაცს რომ მთელი მარათონის ერთ ამოსუნთქვაზე გავლა გაუჭირდება, ესეც ფაქტია.

სამეული ერთ თამაშში მინიმუმ 60 ქულასა და 20 მოხსნას (12 შედეგიან გადაცემასთან ერთად) კი გააკეთებს, მაგრამ მთავარი მაინც დაცვა და დანარჩენებისთვის თვითრწმენის განმტკიცება იქნება. "მაიამიდან" **ჯეიმს პოუსის** აყვანა კარგი და ჭკვიანური ნაბიჯი იყო. ჯეიმსი საშუალოზე მაღალი დონის დამცველია, რომელიც გარნეტთან ერთად, სამწამიანსა და პერიმეტერს გადაკეტავს და ნურც იმას გამორიცხავთ, რომ კევინმა ხშირად ოპონენტის ცენტრები აიყვანოს. მიზეზი მარტივია - "სელტიქსს" აღნიშნულ პოზიციაზე გამოუცდელი და საკალათბურთო ინტელექტის მხრივ სუსტი **კენდრიკ პერკინსი** ჰყავს.

კონფერენციის რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრა "სელტიქსისთვის" პრობლემა არ უნდა იყოს, მაგრამ ჩემპიონობა წელს არანაირად არ გამოვა. შემადგენლობა არ არის საკმარისად დაბალანსებული, "დიდი სამეულის" შემდეგ, თუნდაც 10 ქულის გამკეთებელი არავინაა და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "სელტიქსის" საჩემპიონო ამბიციები უკეთ მომდევნო სეზონში გამოჩნდება, იქამდე კი, მთავარ მწვრთნელ **დოკ რივერსს** ყველაფრის აწონ-დაწონვა მოუწევს.

### კობი ბრაიანტი

თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე და ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავი დღესაც იმ აზრზეა, რომ "ლეიკერსმა" შემადგენლობა რომ არ გააძლიეროს, იგი გუნდს დატოვებს. კობი ბრაიანტი ულტიმატუმებით აღარ საუბრობს, მაგრამ ერთხელ რაც თქვა, ესეც საკმარისია.

ბრაიანტი "ლეიკერსისთვის" ყველაფერს ნიშნავს, თუმცა ორი კვირის წინ, კალიფორნიელთა მფლობელმა **ჯერი ბასმა** აღნიშნა - გუნდში შეუცვლელი არავინაა და თუ სეზონის დაწყებამდე (რაც უკვე არარეალურია) ან იანვარში, კობის სანაცვლოდ ვინმე კარგი წინადადებით მოგვმართავს, გაცვლას ულაპარაკოდ განვახორციელებთო.

ბოლო ორ თვეში, ბრაიანტს ყველაზე მეტი ყურადღება "დალასმა" და "ჩიკაგომ" დაუთმეს, თუმცა "მავერიქსის" მფლობელი **მარკ კიუბანი** ბრაიანტში არაფრის დიდებით არ დათმობს დირკ ნოვიცკის სხვა მხრივ კი აგერ, ჯოშ ჰოვარდი, ჯეისონ ტერი და **ერიკ დემპიე** წაიყვანეთო.

კობის წლიური ანაზღაურება 22 მილიონს უკაკუნებს, რაც მისი პოტენციური მყიდველისთვის გასათვალისწინებელი ფაქტორია.

"ლეიკერსი" თავისი დღევანდელი შემადგენლობით, მძლავრ დასავლეთში რვა საუკეთესოში მაინც გავა, მაგრამ იქ რომ არაფრის პერსპექტივა არ აქვს, გუნდის წარმომადგენლებმაც მშვენივრად იციან. კობი, **ლამარ ოდომი,** ნარკომანი და განგსტერი **კვამე ბრაუნი,** რის მერეც ნული პერსპექტივა და უშანსობა აპრილის მეორე კვირიდან, ანუ ფლეი ოფიდან.

ზურაბ თალაკვაძე



**26 ოქტომბერი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. არსენალი-სლავია.
14:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ტოქ-შოუ - 2:1.
17:05 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:35 ჩვენი ფეხბურთი.
20:30 საფეხბურთო კლუბი.
21:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ჰანოვერი (LIVE).
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:40 რუსეთის ჩემპიონატი.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. დეფენსორი-რივერ პლეიტი.
08:57 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:26 სპორტდოსიე. ხელბურთი.
09:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსენბორგი-ვალენსია.
11:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რეალი-ოლიმპიაკოსი.
13:33 ფეხბურთი. Barca TV.
13:43 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ჩივასი-არსენალი.
15:33 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ოლიმპიაკოსი-ტაუგრესი.
17:18 მშვილდოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი.
17:47 ფეხბურთი. Barca TV.
17:57 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:55 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
19:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:38 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ტორონტო.
21:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:41 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 რეტრო-ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. 1978 წელი. ინგლისი-ბრაზილია.
00:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:18 კრივი. რინგ-საიდი.
01:23 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:38 სპორტის სამყარო.
01:58 სპორტდოსიე. ხელბურთი.
02:28 ფეხბურთი. Barca TV.
02:36 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსენბორგი-ვალენსია.
04:32 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი.
11:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
11:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
12:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
13:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
14:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
15:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. ATP-ს ტური. 1/4 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ს ტური. 1/4 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
21:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
22:30 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი.
00:00 რესტლინგი.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
02:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
11:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. აპელდორნი (ჰოლანდია)-რუზელარე (ბელგია).
12:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია (LIVE).
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
17:00 რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია (LIVE).
17:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
18:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).
19:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
20:00 ახალი ამბები.
20:45 რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
21:30 კალათბურთი. ევროლიგა.
22:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).
00:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. გალათასარაი-სიონი.
00:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ერჩიესი-ატლეტიკო.
01:00 ახალი ამბები.
01:15 რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია.
01:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
02:15 ახალი ამბები.
02:30 რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია.
02;45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-რეალი | 72:80 |
| მაკაბი-ლე მანი | 74:71 |
| მილანი-ლეტუვოს რიტასი | 76:83 |
| ოლიმპიაკოსი-ტაუგრესი | 95:90 |
| ბამბერგი-რუანი | 61:64 |

**ჰოკეი**

| რუსეთი | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-ს. იულაევი | 1:2 |
| ტრაქტორი-ლადა | 3:4 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-ჰპკ | 4:3 |
| კერპეტი-ესეტი | 5:3 |
| ლუკო-ტაპარა | 2:2 ო.ტ. 2:3 |
| პელიკანსი-კიეკო | 2:3 |
| ტპს-კაიპა | 2:0 |
| ჰიფკ-საიპა | 0:0 ო.ტ. 1:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 5:3 |
| **შვეიცარია** | |
| ჟენევა-ბერნი | 1:3 |
| **შვედეთი** | |
| მორა-ლულეა | 2:5 |
| ტიმრა-ბრიუნესი | 3:5 |
| ფერიესტადი-ფროლუნდა | 4:1 |
| ჰვ 71-მოდო | 3:2 |
| იურგორდენი-ლინჩოპინგი | 1:3 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ბაზელი | |
|---|---|
| გონსალესი-კარანუშიჩი | 6:4, 7:6 |
| კარლოვიჩი-ბლეიკი | 4:6, 7:6, 6:4 |
| კანიასი-ნიემინენი | 4:6, 6:3, 5:7 |
| ბერდიხი-ვავრინკა | 7:5, 6:4 |
| კიფერი-კუბეკი | 6:3, 6:2 |
| ფედერერი-დელ პოტრო | 6:1, 6:4 |
| ბაღდატისი-კალერი | 6:7, 6:3, 6:3 |
| **ATP. ლიონი** | |
| ფიში-ო. როხუსი | 7:6, 6:7, 6:7 |
| ლუბიჩიჩი-ასკიონე | 6:3, 6:7, 7:6 |
| გასკე-ცონგა | 4:6, 4:6 |
| ფალა-მარაში | 6:2, 6:1 |
| სიმონი-ბენეტო | 5:7, 4:6 |
| **ATP. სტ. პეტერბურგი** | |
| სტარაჩე-ლედვოსკიხი | 7:6, 6:2 |
| ვერდასკო-ბოლელი | 6:4, 6:4 |
| ანჩიჩი-იუჟნი | 4:6, 2:6 |
| დავიდენკო-ჩილიჩი | 6:1, 5:7, 1:6 |
| მიურეი-დლუჰი | 6:2, 6:4 |
| **WTA. ლინცი** | |
| ვაკულენკო-სუგიამა | 6:0, 6:2 |
| ჰანტუხოვა-დულკო | 6:3, 6:1 |
| ა. ბონდარენკო-დანილიდუ | 6:4, 6:3 |
| ვაიდიშოვა-მოისბურგერი | 6:3, 6:1 |
| შნიდერი-მოლიკი | 6:4, 6:4 |
| ბარტოლი-პაჩეკი | 6:2, 6:1 |



ფორმულა 1

# ღამის რბოლა ფორმულა ერთში

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია - ფედერასიონ ინტერნასიონალ აუტომობილ) მოტორ სპორტის საბჭომ სინგაპურის დიდი პრიზის ორგანიზატორებს ოფიციალური ნებართვა მისცა იმაზე, რომ მათ ღამის რბოლა ჩაატარონ. ეს იმას ნიშნავს, რომ მერმის, ფორმულა ერთის ისტორიაში პირველად, ღამის რბოლა ჩატარდება.

*"ჩვენ უკვე ჩავატარეთ ორი ტესტი, რომელზეც განათების სისტემები გამოვცადეთ. ამ ტესტების შედეგები კი იმის თქმის უფლებას მაძლევს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული ღამის რბოლა უსაფრთხოების ყველანაირ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს",* - განაცხადა სინგაპურის დიდი პრიზის საპრომოუტერო კომპანიის აღმასრულებლის თანაშემწე **კოლინ სინმა.**

შეგახსენებთ, რომ მომდევნო სეზონში სინგაპური პირველად უმასპინძლებს ფორმულა ერთის რბოლას, რომელიც ქალაქის ცენტრის სანაპირო ზოლში (მარინას სანაპირო), 28 სექტემბერს ჩატარდება. ეს იქნება პირველი რბოლა, რომელიც აზიის ქალაქის ქუჩაში ჩატარდება. სინგაპურის სარბოლი ტრასის სიგრძე 5.067 კილომეტრი იქნება, მის ორგანიზატორებს კი ფორმულა ერთის რბოლის ჩატარებაზე ფია-სთან ხუთწლიანი კონტრაქტი აქვთ დადებული.

ამავდროულად, ფია-ს მოტორ სპორტის საბჭოს "სპაიკერის" ახალ მეპატრონეს გუნდისთვის სახელის გამოცვლის ნება დართო. შეგახსენებთ, რომ ერთ დროს "ჯორდანის" სახელით ცნობილი გუნდი ჰოლანდიელი მეპატრონისგან ინდოელმა მილიარდერმა **ვიჯეი მალიამ** შეიძინა, ვინც მერმის რბოლებში პირველ ინდურ გუნდს გამოიყვანს. ამ გუნდის სახელი კი "ფორს ინდა" (ინდოეთის ძალა) იქნება.

მალიამ განაცხადა, რომ გუნდის ტექნიკური პერსონალის დატოვებას აპირებს. ამასთან, არსად გაუშვებს გერმანელ ამომავალ ვარსკვლავ **ადრიან ზუტილს,** ვისაც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მანვე დასძინა, რომ გუნდში ინდოელი პილოტის მიწვევა სურს, თუმცა აუცილებელი არაა, რომ ეს პირველივე სეზონში მოხდეს.

რაგბი

# ლაპორტი ლივრემონმა შეცვალა

საფრანგეთის მორაგბეთა ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. მსოფლიო თასის შემდეგ, ამ გუნდს ახალგაზრდა სპეციალისტი, ნაკრების ყოფილი მოთამაშე **მარკ ლივრემონი** გაწვრთნის.

წინასწარვე იყო ცნობილი, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებდა **ბერნარ ლაპორტი**, რომელმაც საფრანგეთის პრეზიდენტის **ნიკოლა სარკოზის** შეთავაზებით, ქვეყნის სპორტის სამინისტრო ჩაიბარა.

აქამდე ლივრემონი საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ხელმძღვანელობდა და ამ გუნდს შარშან, მსოფლიო ჩემპიონატი მოაგებინა.

ჩოგბურთი

# კორიას უიღბლო დაბრუნება

უიღბლო გამოდგა არგენტინელი **გილერმო კორიასთვის** დიდ ჩოგბურთში დაბრუნება. 25 წლის ჩოგბურთელს ტრავმის გამო ერთი წელი გაუცდა და ამ კვირას, ბრაზილიის ქალაქ ბელუ-ორიზონტიში გასამართი "ჩელენჯერის" სერიის ტურნირის უაილდ-ქარდი მიიღო.

13-თვიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული კორიას პირველი მეტოქე თანამემამულე **ხუან-პაბლო ბრუეზიცკი** იყო. პირველი სეტის ნაგების (3:6) შემდეგ, 2004 წლის როლან გაროსის ფინალისტმა, ზურგის ტკივილის გამო შეხვედრის გაგრძელება ველარ შეძლო.

ფორმულა 1

# მაკლარენის ფული ავტოსპორტს

"მაკლარენმა" უახლოეს ხანებში უნდა გადაიხადოს იმ გრანდიოზული ჯარიმის დიდი ნაწილი, რომელიც მას ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA) ჯაშუშური სკანდალის შემდეგ დააკისრა.

როგორც იცით, ჯარიმის ოდენობა 100 მილიონ დოლარს შეადგენს. აქედან 50 მილიონი, უკვე დეკემბრისთვის უნდა იქნეს გადახდილი.

FIA-მ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ის საზოგადოებას ამცნობს, რომ "მაკლარენის" მიერ გადახდილი ფული სრულად მოხმარდება მთელს მსოფლიოში ავტოსპორტის განვითარებას. პირველ რიგში, ფინანსურ დახმარებას მიიღებენ ის ქვეყნები, სადაც სარბოლო ტრასების ნესრიგში მოყვანაა აუცილებელი.

ოლიმპიზმი

# ჯეკი ჩანმა ჰიმნი ჩაწერა

ცნობილმა მსახიობმა **ჯეკი ჩანმა** პეკინის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური სიმღერა ჩაწერა.

კომპოზიციის სახელწოდებაა "ჩვენ მზად ვართ". ჩანმა პეკინის ერთ-ერთ სტუდიაში მის ჩაწერას, სულ რაღაც სამი საათი მოანდომა. სიმღერა ჩინურ ენაზეა, თუმცა მსახიობი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა მალე მისი ინგლისური ვერსიაც შეიქმნას.

პეკინის ოლიმპიადის ოფიციალური სიმღერის ავტორია **პიტერ კამი**. ეს კომპოზიტორი ბერლინის კინოფესტივალზე ფილმისთვის შექმნილი საუკეთესო მუსიკის ნომინაციაში "ვერცხლის დათვით" დაჯილდოვდა.

ამერიკული ფეხბურთი

# სიმპსონის მდგომარეობა დამძიმდა

ერთი თვის წინ, ლას ვეგასში მომხდარი შეიარაღებული ძარცვის ორი მონაწილე მზად არის გამოძიებასთან ითანამშრომლოს და ცნობილი მსახიობისა და ფეხბურთელის, **ო ჯეი სიმპსონის** წინააღმდეგ მისცეს ჩვენება.

როგორც იცით, სიმპსონი ამ დანაშაულის ორგანიზატორი იყო. ის თანამზრახველებთან ერთად სასტუმრო Palace Station-ში შეიჭრა, სადაც იმ სპორტული პრიზების გატაცება სცადა, რომლებიც მას ადრე ეკუთვნოდა. ეს პრიზები აუქციონზე გასაყიდად უნდა გაეტანათ. აუქციონის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა პოლიციას განუცხადა, რომ რამდენიმე ადამიანი და მათ შორის სიმპსონიც, მას იარაღით ემუქრებოდა.

სპორტსმენის ერთ-ერთი სავარაუდო თანამზრახველი, **უოლტერ ალექსანდერი** აღიარებს, რომ კავშირში შევიდა სიმპსონთან შეიარაღებული ძარცვის მოწყობის მიზნით, მეორე ეჭვმიტანილი, ჩარლზ კაშმორი კი, ძარცვაში თანამონაწილეობას აწერს ხელს.

# უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური

### A ჯგუფი

#### ზენიტი–ალკმაარი 1:1

**ზენიტი:** ჩონტოფალსკი, ანიუკოვი, დონ ჟინ კიმი, ლომბერტსი, შკრტელი, დომინგესი (81. მაქსიმოვი), შირლი, ტიმოშჩუკი, ზურიანოვი, არშავინი, ფათიჰ თექე.

**ალკმაარი:** ვატერმანი, დონკი, იალიენსი, კუნდერსი, ოპდამი, აგუსტინი, კზიომერი (90. მედუნჯანინი), მარტენსი (49. პოკონიოლი), და სილვა (59. ელ ჰამდაუი), არი, დემბელე.

**გოლები:** 0:1 არი (20), 1:1 ტიმოშჩუკი (43-პენ), 2:1 კლეიტონი (65)

**გაფრთხილება:** 1-6

**გაძევება:** არი (39. ალკმაარი)

**მაყურებელი:** 20 000

#### ევერტონი–ლარისა 3:1

**ევერტონი:** ჰოვარდი, ბაინესი, ჰიბერტი, ლესკოტი, იობო, არტეტა, კაჰილი (65. გრავესენი), კარსლი, ოსმანი, პიენაარი (87. სტაბსი), მაკფადენი (65. ანიჩებე).

**ლარისა:** კოცოლისი, დაბიზასი, ფიორსტერი (79. ვენეტიდისი), გალიციოსი, ვენეტიდისი, კლეიტონი, ფოტაკისი, კირიაკიდისი (75. ლაბროპულოსი), სარმიენტო, ბაკაიოკო, პარა (58. კალანცისი).

**გოლები:** 1:0 კაჰილი (14), 2:0 ოსმანი (50), 2:1 კლეიტონი (65), 3:1 ანიჩებე (85)

**გაფრთხილება:** 3-1

**მაყურებელი:** 33 777

#### ვილიარეალი–ფიორენტინა 1:1

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელი, კაპდევილია, ფუენტესი, გოდინი, კანი (64. ნიჰათი), ფერნანდესი, ხოსიკო (63. კასორლა), სენა, როსი, ტომასონი (79. პირესი).

**ფიორენტინა:** ფრეი, ბალცარეტი, დაინელი, კროლდრუპი, უიფალუში, იორგენსენი (58. ვანდენ ბორე), კუჟმანოვიჩი (74. დონადელი), ლივერანი, პაციენცა, მუტუ, ვიერი (65. ოსვალდო).

**გოლები:** 0:1 ვიერი (49), 1:1 კაპდევილია (88)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 15 000

### B ჯგუფი

#### პანათინაიკოსი–აბერდინი 3:0

**პანათინაიკოსი:** მალარცი, ფისასი, გუმასი, მორისი, დიმუცოსი, ივანშიტცი (71. სერიჩი), მატოსი, ნილსონი, ციოლისი, ნდოიე (59. პაპადოპულოსი), სალპინგიდისი (71. მანციოსი).

**აბერდინი:** ლანგფილდი, კონსიდინი (61. მეირი), დაიმონდი, ფოსტერი, ჰარტი, მაკნამარა (75. დე ვიშერი), კლერკი, ნიკოლსონი, სევერინი (86. ალუკო), მილერი, იანგი.

**გოლები:** 1:0 გუმასი (11), 2:0 პაპადოპულოსი (73), 3:0 სალპინგიდისი (77)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 8 154

#### ლოკომოტივი–ატლეტიკო 3:3

**ლოკომოტივი:** პელიცოლი, ეფიმოვი (60. იანბაევი), გურენკო (90. მამინოვი), ივანოვიჩი, როდოლფო, სენიკოვი, სპაჰიჩი, ბილიალეტდინოვი, სამედოვი (81. კოჩიში), ოდემვინგი, სიჩოვი.

**ატლეტიკო:** აბიატი, ანტონიო ლოპესი, ელერი, პაბლო, პერნია, კლებერ სანტანა (65. როდრიგესი), რაულ გარსია, სიმაო საბროსა (69. ლუის გარსია), აგუერო, ფორლანი, ხურადო (75. მანიშე).

**გოლები:** 0:1 აგუერო (16), 1:1 ბილიალეტდინოვი (27), 1:2 ფორლანი (47), 2:2 ოდემვინგი (61), 3:2 ოდემვინგი (64), 3:3 აგუერო (85)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 17 000

#### ბრანი–ჰამბურგი 0:1

**ბრანი:** ოპდალი, ბიარნსონი, დალი, ელ ფაქირი, ჰანსტვეიტი, სიგურდსონი, ბაკე (47. კარადაში), იატე (47. ჰუსეკლეპი), მუნი (85. ბიორნსონი), სოლი, ჰელსტადი.

**ჰამბურგი:** როსტი, ატუბა, ბოატენგი (90. ჩუპო-მოტინგი), დემელი, კომპანი, მატიისენი, რაინჰარდტი, იაროლიმი, ტროხოვსკი (88. ბენჟამინი), ოლიჩი, ზიდანი.

**გოლი:** 0:1 კომპანი (62)

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 13 000

### C ჯგუფი

#### ელფსბორგი–აეკ 1:1

**ელფსბორგი:** ვილანდი, მ. ანდერსონი, აუგუსტსონი, ბიორკი, კარლსონი, მობეკი, ილოლა, იშიზაკი (87. ბერგლუნდი), ა. სვენსონი, ალექსანდერსონი, მ. სვენსონი (78. კინი).

**აეკ:** მორეტო, არუაბარენა, ბურბოსი, ჟერალდო, პაპაცოფულოსი, ჟულიო სეზარი (76. კონე), მანდუკა, მანუ (46. პაპასი), ნსალივა (62. კაფესი), ტოშერი, ბლანკო.

**გოლები:** 1:0 მობეკი (14), 1:1 ბლანკო (49)

**გაფრთხილება:** 2-0

**მაყურებელი:** 4 175

### D ჯგუფი

#### ბაზელი–რენი 1:0

**ბაზელი:** კოსტანცო, ჰოდელი, მაისტროვიჩი, მარკე, ზანი, კარლიტუში (86. ფრაი), ჩიპერფილდი, ერგიჩი, ჰუგელი, კაისედო (60. დეჟენი), შტრელერი (88. ედუარდო და სილვა).

**რენი:** ბერნარდი, ფანი, ჰანსონი, ჟენეშამი, შეირუ, დიდო (65. ვილტორი), ეტუნდი (59. ბორნი), მარვო, სორლენი, ბრაინდი, პაჟისი.

**გოლი:** 1:0 შტრელერი (55)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 11 407

### E ჯგუფი

#### სპარტა–ციურიხი 1:2

**სპარტა:** პოსტულკა, ბუეზინსკი, კადლეცი, რუეპკა, კისელი, ლიმბერსკი (82. ნადენიჩეკი), მატუსოვიჩი, სილვესტრი, დოზეკი, რეჟეკი (72. პეტრჟელა), შლეპიჩკა.

**ციურიხი:** ლეონი, კოლარი, როშა, შნაიდერი, შტაჰელი, ტიჰინენი, აბდი, შიხაუი, კონდე, ალფონსი (87. ლამპი/90. გაში), რაფაელი (77. ჰასლი).

**გოლები:** 1:0 შლეპიჩკა (24), 1:1 კონდე (38), 1:2 ალფონსი (62)

**გაძევება:** ჰასლი (80. ციურიხი)

**გაფრთხილება:** 3-2

**მაყურებელი:** 6 007

#### ლევერკუზენი–ტულუზა 1:0

**ლევერკუზენი:** ადლერი, ფრიდრიხი, ჰაგი, ბარბარესი (78. ზინკივიჩი), ბარნეტა, კასტრო, როლფესი, შარპეი, გეკასი (59. ფრაიერი/90. პაპადოპულოსი), კისლინგი, ვიდალი.

**ტულუზა:** დუშე, ჩეტო, კონგრი, ებონდო, ილუნგა, ემანა, ფაბინიო (74. ბერგუნუა), პაულო სეზარი, სირიო (87. დიეზი), ჟინიაკი (90. დუპუი), მანსარი.

**გოლი:** 1:0 კისლინგი (35)

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 15 267

### F ჯგუფი

#### ბოლტონი–ბრაგა 1:1

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სიდი, ჰანტი, მეიტე, ო'ბრაიენი, გარდნერი (82. თეიმურიანი), გუტრი (61. დიუფი), მაკკანი, სპიდი, ანელკა, დეივისი.

**ბრაგა:** პაულო სანტუში, როდრიგესი, პეიშოტუ, ჟოაო პერეირა, პაულო ჟორჟე, კაშტანიერა (68. კრუსი), ჟორჟინიო, მადრიდი (76. ჟაილსონი), ვანდინიო, ლინცი, ვენდერსონი (67. ჟოზე მანუელი).

**გოლები:** 1:0 დიუფი (66), 1:1 ჟაილსონი (87)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 10 848

#### ცრვენა ზვეზდა–ბაიერნი 2:3

**ცრვენა ზვეზდა:** რანჯელოვიჩი, ანჯელკოვიჩი, ბასტა (46. ბაიალიცა), გუაიე, კასტილიო, კორომანი, ლუკასი, მილიაში, მოლინა (90. ბოგდანოვიჩი), ტუტორიჩი, ბარკოსი (69. ბურჟანოვიჩი).

**ბაიერნი:** რენზინგი, ჰამით ალთინთოფი (71. შლაუდრაფი), იანსენი, ლამი, ლელი, ლუსიო, შვაინშტაიგერი, ვან ბომელი (81. კროოსი), ზე რობერტო, კლოზე, პოდოლსკი.

**გოლები:** 1:0 კორომანი (16), 1:1 კლოზე (20), 2:1 მილიაში (74), 2:2 კლოზე (86), 2:3 კროოსი (90)

**გაძევება:** ბაიალიცა (90. ცრვენა ზვეზდა)

**გაფრთხილება:** 3-2

**მაყურებელი:** 41 000

### G ჯგუფი

#### ანდერლეხტი–ჰაპოელი 2:0

**ანდერლეხტი:** ციტკა, დეშახტი, იუჰაში, პარეია, ვასილევსკი, ბილია, გოორი (69. ვან დამი), ლეგერი (83. ტერო), პოლაკი, ფრუტოსი (86. დე მანი), ჰასანი.

**ჰაპოელი:** ენეიამა, ანტები, დოანი, გაბრიელი, მანცური, ასულინი (62. საბაგი), ბადირი (69. აბედი), მაცოვა, ნაჩო, ჟუნიორი, ოვედი (7. შური).

**გოლები:** 1:0 ფრუტოსი (38), 2:0 ფრუტოსი (70)

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 16 586

#### ტოტენჰემი–ხეტაფე 1:2

**ტოტენჰემი:** ჩერნი, შიმბონდა, გარდნერი (43. დოუსონი), ქაბული, ლი, ჰადლსტოუნი, ლენონი, მალბრანკი (71. კინი), სოკორა (73. ტაინიო), ბერბატოვი, დეფო.

**ხეტაფე:** უსტარი (46. აბონდანსიერი), ბელენგერი, კორტესი, დიასი, სინიორინო, ალბინი, კასკერო (62. სოუსა), გრანერო (76. კოტელო), პერეს ნაჩო, ბრაულიო, დე ლა რედი.

**გოლები:** 1:0 დეფო (19), 1:1 კორტესი (21), 1:2 ბრაულიო (70)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 23 664

### H ჯგუფი

#### ჰელსინგბორგი–პანიონიოსი 1:1

**ჰელსინგბორგი:** დ. ანდერსონი, კ. ანდერსონი (85. ლანდგრენი), იაკობსონი, რონინგბერგი, ტამბურა, ვალსტედტი, დალი, სკულასონი (46. ლანტცი), ლარსონი, მაკონდელე, ომოტოიოსი.

**პანიონიოსი:** კრესიჩი, ბერტი, მანიატისი, სპიროპულოსი, გუნდულაკისი, კრეპტანოსი (85. პლეტჩი), კუმორძი, მაისტროვიჩი, მაკოსი (88. სკუფალისი), ნიკალაუ, ჯებური (72. კონდი).

**გოლები:** 0:1 გუნდულაკისი (45), 1:1 ლარსონი (83)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 6 451

#### ბორდო–გალათასარაი 2:1

**ბორდო:** რამე, შალმი, დიავარა, ჟემალი (28. პლანუსი), მარანჟი, ტრემულინასი (75. ვენდელი), დუკასი, მენეგაცო (61. დიარა), მიკუ, კავენაგი, შამახი.

**გალათასარაი:** ორქუნი, ჩეთინი, ბარიში (72. თოფალი), სონგი, ვოლქან იამანი, ლინდეროტი (86. სერქანი), არდა, უგური (78. კარუსკა), უმით ქარანი, ნონდა, ჰასან შაში.

**გოლები:** 0:1 ნონდა (21-პენ), 1:1 კავენაგი (52), 2:1 შამახი (63)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 10 863



ცრვენა ზვეზდა-ბაიერნი. კორომანი ზე რობერტოს შეჩერებას ცდილობს. ბავარიელებს მძიმე ბრძოლა გადახდათ

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა